პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81

ხელისმოწერის ფასი

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ სათვის – 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- მემაღაროეთა გაფიცვა საფრანგეთში.
- მექსიკოში მოკლეს კომუნისტების ლიდერი ხულიო მელია.
- გაფიცვა იაპონიის წარმოებებში და გემებზე ხანკოუში.
- დამატებითი არჩევნები ელზასში.
- გაფიცულთა შეტაკება შტრეიკბრეხერებთან ადელაიდაში (ავსტრალია)
- ამსტერდამში ჩავიდა საბჭოთა კინო-რეჟისორი პუდოვკინი.
- არჩევნები სამეცნიერო აკადემიაში.

სამშაბათი, 15 იანვარი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 11 (2357)

1929 წლის 21 იანვარს, საღ. სრულ 6 საათ., სასახლის წითელ დარბაზში

დანიშნულია

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მეოთხე მორიგი პლენუმი

დღის წესრიგი:

1) მოხსენება თვითკრიტიკის მსვლელობის შესახებ.
2) მოხსენება ც. ს. კ. და მ/გ. ინსპექციის 1928/29 წ. სამუშაო გეგმის შესახებ.
3) მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების კანდიდატთა შემადგენლობის გადასინჯვის შედეგების შესახებ.
4) მოხსენება ს. კ. პ. (ბ) სოფლის უჯრედების გაწმენდის შესახებ.
5) მიმდინარე საკითხები.

ს. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის თავმჯდომარე — **ივანოვ-კავკასიელი.**

იმპერიალისტების სამხედრო ჯაშუშები

ამ ცოტა ხნის წინედ გაზეთებში გამოქვეყნებული იყო მასალა ქართველ მენშევიკების ჯაშუშური მუშაობის შესახებ. ისინი ჩვენში აგროვებდნენ სამხედრო ხასიათის ცნობებს და აწვდიდენ მათ ჩვენდამი მტრულად განწყობილ კაპიტალისტურ სახელმწიფოების გენარალურ შტაბებს. ამით სოციალ-ჯაშუშები ორ საქმეს აკეთებდნენ: იმპერიალისტებს ეხმარებოდენ მუშურ-გლეხურ ქვეყანაზე გამოლაშქრებისათვის მზადებაში და ამავე დროს თვითონაც საკმაო სასყიდელს იღებდნენ ევროპის რესტორანებსა და კაფე-შანტანებში დროის გასატარებლად.

მენშევიკებს და პროლეტარიატის დიქტატურის ყველა მტრებს ჩვეულებად აქვთ მათი გამანადგურებელი მხილებანი ბოლშევიკების „გამოგონებად" გაასაღონ, რომ ამ გზით თავი დაიძვრინონ „უხერხულ" მდგომარეობიდან. მაგრამ ასეთი ხერხი ამ შემთხვევაში, ისე როგორც სხვა დროსაც, გამოუსადეგარი გამოდგა. ყველაფერ ზემოთქმულს აშკარად ამბობენ სწორედ თვით ბოროტმოქმედნი და არა სხვა ვინმე. მათი ხელით დაწერილი ჩვენება მოთავსებული გვქონდა თავის დროზე, და იგი ალბად ყველას ახსოვს.

ამ დოკუმენტებმა, თავისთავად ცხადია, საყოველთაო აღშფოთება გამოიწვიეს ფართე მოსახლეობაში.

როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მენშევიკები, რომ ცოტათი მაინც შეენელებიათ ამ დოკუმენტებით შექმნილი შთაბეჭდილება? მათი ცარიელი უარყოფა და ყალბად გამოცხადება ხომ არ იქნებოდა დამაჯერებელი. და აი, ისინი სხვა ფანდს მიმართავენ.

ჩვენ ხელთ არის არალეგალურად მომუშავე მენშევიკების ფურცელი, სპეციალურად დაწერილი მენშევიკების გამომჟღავნებასთან დაკავშირებით. ფურცელს ხელს აწერს „ცენტრალური კომიტეტი" (!) და საინტერესოა, თუ როგორ ცდილობენ იმპერიალიზმის აგენტები და მისი გენშტაბის დაქირავებულნი თავის დაღწევას ზემოხსენებულ დოკუმენტების გამოქვეყნებით მათთვის შექმნილ გამოუვალ მდგომარეობიდან.

ფურცელი აცხადებს, რომ თითქო მენშევიკური „პარტია" მხოლოდ იდეურ და ორგანიზაციულ ბრძოლას აწარმოებს კომუნისტების წინააღმდეგ და ამიტომ ჯაშუშობა მას ვითომ მიუღებლად მიაჩნდეს. „ცენტრალური კომიტეტი" სიტყვიერად იმიჯნება ამ საკითხში საზღვარგარეთის ბიუროსაგან, რომლის დავალებით მენშევიკები ჯაშუშობას აწარმოებდნენ, და ამასთან აღნიშნავს, თითქო საქართველოს სოც.-დემ. „ცეკას" და მის „ორგანიზაციებს" არაფერი ჰქონდათ საერთო მენშევიკური ჯაშუშობის იმ ფაქტებთან, რომლებიც პრესაში იყო გამოქვეყნებული.

თავის დაძვრენის ამაო ცდაა. აბა ვინ დაიჯერებს, რომ მენშევიკების საზღვარგარეთული ბიურო და მისი ადგილობრივი ფილიალი კონტაქტით არ „მუშაობენ". პასუხისმგებლობა სამხედრო ჯაშუშობისათვის საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ცხადია, ორივეს ერთნაირად აწევს. შემდეგ: სასაცილოა მტკიცება, რომ მენშევიკები ბოლშევიკებს ებრძოდენ „მარტო იდეურად და ორგანიზაციულად". ამ „ორგანიზაციულ" ბრძოლის მეთოდებში, როგორც ერთი აუცილებელი ელემენტი, უეჭველად შედის სამხედრო ჯაშუშობაც. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ვინც სთქვა ანი, მან უნდა სთქვას ბანიც. ვინც ბრძოლა გამოუცხადა მუშათა კლასის დიქტატურას და მის ხელმძღვანელ პარტიას, ის ლოღიკური აუცილებლობით უნდა მივიდეს იმპერიალისტებთან თანამშრომლობამდე და ჯაშუშობამდე მშრომელთა ქვეყნის წინააღმდეგ. აქ არაფერია გასაკვირი: სამხედრო ჯაშუშობა უკანასკნელი ეტაპია, დამთავრებაა სოციალ-გამცემლობის მთელი „მოღვაწეობის" და პოლიტიკისა. ფაქტებიც ამას ადასტურებენ.

და ცხადია, რომ მენშევიკები იმპერიალისტებისაგან მოსყიდულ სამხედრო ჯაშუშების დაღს ვერ მოიცილებენ შუბლიდან. მუშათა კლასი და მისი ხელისუფლება ისე გაუსწორდება მათ, როგორც განთავისუფლებულ მშრომელთა სახელმწიფოს მოღალატეებს და ჯაშუშებს.

კრედიტების საკითხი ჩაის კულტურისათვის *)

1926-27 და 1927-28 წ. განმავლობაში საქართველოს სახ.სამ. ბანკისა და სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების მეშვეობით ჩაის კულტურისათვის კრედიტების მისაწოდებლად გაიცა 880.695 მანეთი, ხოლო ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 17.894.000 მანეთის გაცემა.

იმის გამოსარკვევად თუ რამდენად შეეფერება ჩაის კულტურისათვის კრედიტების მიწოდების პრაქტიკული შედეგები სახელმწიფოს პოლიტიკას, ჩატარებულ იქნა სპეციალური გამოკვლევა, ამ გამოკვლევის მასალა საფუძველს გვაძლევს დავსვათ მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრან.

ჯერ-ერთი, მიუღებელია კრედიტების განაწილების თვით მეთოდი.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი საკრედიტო-კოოპერატიული ქსელი სავსებით პასუხისმგებელია სესხების თავის დროზე დაბრუნებისათვის და სესხების სწორი სოციალური მიმართულებისათვის კრედიტების განაწილების არსებული წესი ფაქტიურად აქცევს ამ ქსელს ტეხნიკურ ორგანოდ—სახელმწიფო სახსრების გამანაწილებლად, რომელიც პასიურ როლს თამაშობს სესხის ამღებთა კონტინგენტის შერჩევისა და ამა თუ იმ საზოგადოებრივ—სამეურნეო პროცესებზე ზეგავლენის მოხდენის საქმეში.

„საქართველოს ჩაი"-ს საზოგადოების უკანასკნელი დირექტივების თანახმად, თესვის სათემო კომისიაში, რომელშიაც შედიან აღნიშნული საზოგადოების, აგრეთვე ადგილობრივი აღმასკომისა და პარტორგანიზაციების წარმომადგენლები, რატომღაც მოსაზრებით სრულებით არ არის შეყვანილი საკრედიტო ამხანაგობის წარმომადგენელი. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს კომისიები მეტ ნაწილად ფაქტიურად არსებობენ და მათი მუშაობა იმით განისაზღვრება, რომ ისინი ხელს აწერენ „საქართველოს ჩაი"-ს საზოგადოების ინსტრუქტორების მიერ შედგენილ პლანტატორთა სიებს, დამახასიათებელია, რომ ეს საზოგადოება თავისი ინსტრუქტორების სახით (და არა საკრედიტო საზოგადოება) სდებს ჩაის მეურნეებთან ცალკე ხელშეკრულებებს, რომლებითაც განისაზღვრებიან არა მარტო ვალდებულებანი (ჩაის მეურნისათვის სურსათის, სამრეწველო საქონლის და სასუქის მიწოდება, აგრო-ტეხნიკური დახმარების გაწევა—საზოგადოების მხრივ და პლანტაციის გაშენება და მოვლა—ჩაის მეურნის მხრივ) არამედ წმინდა საკრედიტო ხასიათის პირობებიც. ამრიგად, კრედიტის უშუალო და პასუხისმგებელი გამტარებელი—კოოპერაცია — იმ წევრთა მასის თვალში, რომლებსაც ის სესხებს აძლევს, ამ შემთხვევაში ავტორიტეტულ ორგანოს კი არ წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია მომწესრიგებელი ზეგავლენა მოახდინოს კრედიტების სამეურნეო ნაყოფიერებასა და სოციალურ მიმართულებაზე, არამედ მხოლოდ „საქართველოს ჩაი"-ს საზოგადოების ტეხნიკურ დამხმარე აპარატს, რომელიც ასრულებს მის დავალებებს, ასე ვთქვათ, საკომისიო საფუძვლებზე. ჩვენ არ უარვყოფთ ამ საზოგადოების როლს და მის უდიდესად ხეირიანულ მუშაობას, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საჭიროა საკრედიტო - კოოპერატიული ორგანიზაციების როლის გაძლიერება და მათი აქტივიზაცია ვინაიდან ამ ორგანიზაციების მეშვეობით სახელმწიფო ჩაის კულტურისათვის დანიშნული კრედიტების გარდა, უდიდეს სახსრებს აწვდის სოფლის მეურნეობას.

მეორე კითხვაზე—საკმაოდ მკაფიოდ ტარდება თუ არა ცხოვრებაში სახელმწიფო საკრედიტო პოლიტიკა გლეხობის სოციალური ჯგუფების მიმართ—იძულებულნი ვართ უარყოფით ვუპასუხოთ, ჩაის კულტურის ხუთი მთავარი რაიონის გამოკვლევა საქართველოში შემდეგ სურათს იძლევა:

სოციალური ჯგუფის დასახელება	სესხის ამღებთა შემადგენლობა		კრედიტების მიღება 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის.		სესხის აღების საშუალო დავალიანება.
	რიცხვი	პროც. საერთო რიცხვთან შედარებით.	საერთო თანხა.	პროც. საერთო თანხასთან შედარებით.	
ღარიბი გლეხი.	2.404	75,7	2 0.005 მან.	73,6	83 მან.
საშუალო გლეხი.	726	22,9	67 257 „	24,7	92 „
შეძლებული.	44	1,4	4.473 „	1,7	101 „
	3,174	100	271,7 5	100	85 „

ჩაის კულტურის კოლექტიურ მეურნეობებს იმავე რაიონებში მიღებული აქვთ კრედიტი 31.278 მანეთის რაოდენობით, რაც შეადგენს კრედიტების საერთო თანხის 10.3 პროცენტს, ხოლო ერთ კოლმეურნეობაზე—125 მანეთს.

როგორც ცხრილიდან სჩანს ერთი მეურნეობის მიერ ჩაის კულტურისათვის მიღებული კრედიტის თანხა თანდათან ძლიერდება უფრო შეძლებულ ფენებში—შეძლებულებს საშუალოდ მიღებული აქვთ 22 პროცენტით მეტი კრედიტი, ვიდრე ღარიბ გლეხებს, ხოლო ცალკე რაიონებში—208 პროცენტითაც კი.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობების მიერ მიღებული კრედიტის საშუალო თანხა თვალსაჩინოდ აღემატება ინდივიდუალური შეძლებული მეურნეობის მიერ მიღებულ კრედიტს. თუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში დადებითი მდგომარეობა გვაქვს, სამაგიეროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ინდივიდუალურ მეურნეობებს შორის კრედიტების განაწილების არსებული წესი გაძლიერების საშუალებას აძლევს სოფლის შეძლებულ ელემენტებს და ისიც სახელმწიფო სახსრებით.

დამახასიათებელია, რომ აჭარისტანის ერთ-ერთ რაიონში შეძლებული „ღარიბებისათვის" კრედიტების მიცემას იმით ხსნიდნენ, თითქოს ისინი მოსახლეობის თვალში თითქმის კულტურტრეგერებს წარმოადგენენ. თუ მართლა ასეა, სამწუხაროა, რომ სადგილ-მამულო ორგანოების აპარატმა დღემდე ვერ შესძლო დაეჭირა სოფლად ამ „კულტურტრეგერების" ადგილი საცდელ-საჩვენებელი სადგურების მოწყობით და სხვა ღონისძიებებით.

ჩაის კულტურისათვის გასაცემი კრედიტების სოციალური მიმართულების პრობლემის განხილვის დროს, არ შეგვიძლია ანგარიშში არ გავუწიოთ ჩაის კულტურის განვითარების ყოველნაირად წახალისების საჭიროებას და მექანიკურად გადავწყვიტოთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ მივცეთ კრედიტები შეძლებულ ელემენტებს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ჩაშლის საფრთხეს შეუქმნის საწარმოო გეგმას ამ ფაქტიდან გამომდინარე ყველა შედეგით.

ამიტომ, თუმცა ჩვენ საერთოდ უარვყოფთ შეძლებული ფენებისათვის კრედიტების მიწოდებას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობანი და ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობანი გეგმას ვერ შეასრულებენ. გამონაკლისის სახით შეიძლება დაშვებულ იქნას კრედიტის მიცემა შეძლებულებისთვისაც. აშკარაა, რომ თუ კოოპერაციის მუშაობა გაცხოველდა და თუ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებს შორის სათანადო სააგიტაციო ახსნა-განმარტებითი კამპანია ჩატარდა, ზედმეტი იქნება ლაპარაკი იმაზე, რომ გეგმა ვერ შევასრულოთ.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა **მოვახდინოთ თვით კრედიტების რაოდენობის დიფერენციაცია მსესხებლის სოციალური მდგომარეობის მიხედვით.** კრედიტები ერთ ჰექტარ პლანტაციაზე უდიდესი რაოდენობით უნდა მიეცეს კოლმეურნეობებს შემდეგ—ღარიბ, საშუალო გლეხობას და ბოლოს შეძლებულ გლეხებს, ასეთ დიფერენციაციას უკვე ვიყენებთ თამბაქოს კონტრაქტაციის დროს და არავითარი საფუძველი არ არის, რომ ჩაის კულტურა ამ მხრივ განცალკევებულ მდგომარეობაში ჩავაყენოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება ინტენსიურად გაიზრდება ჩვენ დავდგებით სოფლის ღარიბ და საშუალო ფენების შორის კავშირის გაწყვეტის ფაქტის წინაშე. კავშირის გაწყვეტისა, რომელსაც სრულებითაც არ მოჰყვება სოციალურად საშიში მოვლენების აღმოფხვრა; კრედიტის ეს გადიდებული რაოდენობა საშუალებას მისცემს ღარიბ გლეხს გააშენოს მეტი პლანტაციები, რაც მას ამჟამად არ შეუძლია რადგან საშუალება არა აქვს გასწიოს ისეთი ხარჯები, რომლებიც გათვალისწინებული არაა არსებული კრედიტებით.

ჩვენ ამ საკითხს არა ვსვამთ იმგვარად, რომ მისმა დაუყოვნებლივმა გადაწყვეტამ გამოიწვიოს სასწორო მუშაობის შეცვლა. მაგრამ არ შეგვიძლია არ გაუსვათ ხაზი იმას, რომ საჭიროა ეს საკითხი დეტალურად, პრაქტიკულად იქნას დამუშავებული უახლოეს ხანში.

რადგან საკმაოდ არის შესწავლილი ჩაის კულტურის განვითარების თავისებური პირობები, ამიტომ დროულია დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ ამ შრომის ტევადი კულტურისათვის (1 ჰექტარის გასაშენებლად საშუალოდ საჭიროა 1.500 მან., თუ შრომასაც ჩავთვლით) გადიდდეს კრედიტების რაოდენობა, გაგრძელდეს კრედიტების ვადები და შემცირდეს საპროცენტო განაკვეთების რაოდენობა.

განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს კრედიტები ნატურით (ტრაქტორები), წერაქვები, ნიჩბები, ფარცხები, სექტორები, დანები და სხ.) რაც ხელს უწყობს კულტურის ინტენსიფიკაციას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ აჭარისტანის ზოგიერთ რაიონში არის ჩაის ძველი პლანტაციები, ამ პლანტაციების პროდუქციის კონსტრუქცია დღემდე არ ხდება, რასაც, რასაკვირველია, ადგილი არ უნდა ჰქონდეს მომავალში.

თვით საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობაში აღმოჩნდა მრავალი დეფექტი. მაგალითად: იყო შემთხვევები, როცა ჩაის კრედიტების თანხებს პლანტაციებს უჭერდნენ ძველი ვალების დასაფარავად; შემდეგ, ადგილი ჰქონდა ანგარიშების არევას, სუსტი კავშირი არსებობდა პლანტატორებთან და კოლმეურნეობებთან, რაიც გამოიხატებოდა მხოლოდ სესხის მიცემაში და სხ. ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად სათანადო ზომები უნდა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზედასაფეხურის ორგანოებმა.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს **ჩაის კოლმეურნეობათა მშენებლობის** მსვლელობა, აღვნიშნავთ რა მათ გაძლიერებულ ზრდას უკანასკნელ ხანებში, არ შეიძლება არ შევჩერდეთ თვით მშენებლობის ხასიათზე, რომელიც დეტალურ ანალიზს და სათანადო საორგანიზაციო დასკვნებს მოითხოვს.

ჩაის კოლმეურნეობათა ბევრმა წევრმა ჯერ კიდევ კოლმეურნეობაში წევრად შესვლამდე ჩაის პლანტაციები საკუთარ მეურნეობაში გააშენა იმ თანხებით, რომლებიც მათ სესხად მიიღეს საკრედიტო ამხანაგობათაგან, სადაც ისინი წევრად ითვლებიან ინდივიდუალური წესით.

ზოგიერთ გაუყოფელ ოჯახში მამა, მაგალითად, საკრედიტო ამხანაგობის წევრია და აქვს თავისი ჩაის პლანტაცია, ხოლო შვილი ჩაწერილია კოლმეურნეობაში, რომელსაც მიცემული აქვს საფონდო მიწა, შედარებით მნიშვნელოვანი კრედიტები და აგრეთვე წილი აქვს ჩაის კოლმეურნეობათა მომავალ პროდუქციაში.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში გლეხის ერთ განუყოფელ ოჯახში პარალელურად არსებობს ორი მეურნეობა: ინდივიდუალური მეურნეობა, რომლის დამუშავებასაც ეს ოჯახი ანდომებს უდიდეს ძალ-ღონეს და კოლექტიური მეურნეობა, რომელშიაც ის მუშაობს სხვათა შორის, ამასთან ზეგავლენის ობიექტს წარმოადგენს ერთი და იგივე ჩაის კულტურა.

სხვათა შორის, ზოგიერთი ჩაის კოლმეურნეობა ფართოდ იყენებს მოჯამაგირეების და სამუშაოდ ჩამოსული სვანების დაქირავებულ შრომას.

ცხადია, რომ როცა სახელმწიფო ჩაის კოლმეურნეობებს აძლევს მნიშვნელოვან კრედიტებს და საფონდო მიწას, მას მიზნად აქვს სოფლის მეურნეობის ნამდვილი სოციალისტური სექტორის, და არა ინდივიდუალური მეურნეობის გაძლიერება, რისთვისაც სხვა თანხების გაცემა ხდება; ამჟამად კი ჩაის კულტურის განვითარების პროცესში საქმე გვაქვს სწორედ ამ უკანასკნელ მოვლენასთან.

მეორეს მხრით, რადგან დასავლეთ საქართველოში, სადაც მეურნეობანი მეტად დაქსაქსულია და სადაც ნამდვილი კოლმეურნეობის ფორმების დანერგვა ძალიან ძნელია, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვეულებრივი წესით გადავწყვიტოთ ეს საკითხი: კოლმეურნეობაში შესვლაზე უარს ვერ ვეტყვით საკრედიტო ამხანაგობათა იმ წევრებს, რომლებსაც ჩაის პლანტაციები აქვთ და რომლებიც არ დასთანხმდებიან ეს პლანტაციები სათანადო კომპენსაციით გადასცენ კოლმეურნეობას. მაგრამ ჩვენის აზრით, მიზანშეწონილი არ არის მიწები მიეცეთ ასეთ გლეხებს.

ყოველ შემთხვევაში ჩვენს წინაშე სდგას დილემა: ან უნდა დაუშვათ, როგორც დროებითი მოვლენა, გლეხის ერთსა და იმავე ოჯახში ორი მეურნეობის—ინდივიდუალური და კოლექტიური მეურნეობის—არსებობა, კოლექტივიზაციის იდეის თანდათანი დანერგვისა და საქონლის პროდუქციის გადიდებისათვის სტიმულის მიცემის მიზნით. ან ეხლავე უნდა შევუდგეთ მშენებლობის მტკიცე პრინციპით—„უკეთესია ცოტა და კარგად" და კოლმეურნეობაში უნდა მივიღოთ მხოლოდ ის გლეხები, რომლებიც თავიანთ ეკონომიურ ინტერესებს მჭიდროდ უკავშირებენ თავიანთ კოლორგანიზაციის ბედ-იღბალს.

გაფართოვებულმა თათბირმა, რომელიც 15 იანვარს იქნება მოწვეული ჩაის კულტურის შესახებ, თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა სთქვას ჩვენ მიერ დასმულ საკითხებზე.

ს. გამყრელიძე.

---

*) კამათის წესით.

პრესა კომენტარიებს უკეთებს პოლონეთის პასუხს და საბჭ. საპასუხო ნოტას

„მოსკოვის წინადადებამ დავთრები დაუბნია ვარშავას"

„ლიტვინოვის ახალი ნოტა წარმოადგენს ბრწყინვალედ შედგენილ დიპლომატიურ ნაწარმოებს"

იან-იუ-ტინის და ჩჟან-ინ-ხუაიას დახვრეტამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იაპონიაში

კომენტარიები პოლონეთის პასუხის გამო

მოსკოვის წინადადებამ დავთრები დაუბნია ვარშავას

კოვნო, 13 იანვარი. „ლეტუვოს აიდას"-ს მოჰყავს უკანასკნელი ცნობები იმის შესახებ, რომ პოლონეთი ენერგიულად აძლიერებს შეიარაღებას, რომ პოლონეთს გენარალური შტაბის დახმარებით გაცხოველდა პეტლიურას მიმდევართა მუშაობა და რომ პილსუდსკის მომხრენი მოუთმენლობის იჩენენ—ისინი არწმუნებენ პილსუდსკის, მომენტი უკვე დადგა. გაზეთი სწერს:

ჩვენ თითონ მოვახერხეთ გვენახა ლეგიონერების ხელმძღვანელთა იმ საიდუმლო სხდომის ოქმი, რომელიც გასული წლის 11 აგვისტოს შესდგა ლანდვაროვში (ვილნოს მახლობლად). ამ სხდომაზე გამომუშავებულ იქნა ლიტვაზე თავდასხმის გეგმა. ჩვენ ვნახეთ ამ გეგმის წინასწარი პროექტი".

დასასრულ გაზეთი სწერს:

„სავსებით აშკარაა, რომ პოლონეთი მალე არ აიღებს ხელს იმ ზრახვებზე, რომლებიც აქვს მას ლიტვის მიმართ, ამიტომაც პოლონეთს არ მოსწონს საბჭოთა წინადადება. მოსკოვის წინადადებამ დავთრები დაუბნია ვარშავას" (ადს).

პოლონეთი გაურბის პირდაპირ პასუხს

ბერლინი, 13 იანვარი. გერმანული პრესა კომენტარიებს უკეთებს პოლონეთის საპასუხო ნოტას და სასტიკად აკრიტიკებს მას.

„კელნიშე ცეიტუნგ"-ის მოწინავე წერილს სათაურად აწერია „პოლონეთის მიკიბულ-მოკიბული პასუხი". წერილში ნათქვამია:

„ნოტის შინაარსი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც არაპირდაპირი უარი. ზალესკის პოზიციიდან შეიძლება გამოყვანილ იქნას მხოლოდ ერთი დასკვნა: ზალესკი მიკიბულ-მოკიბულ პასუხს იძლევა, რათა თავიდან აიცილოს ოქმზე ხელის მოწერა.

ზალესკი ფიქრობს, რომ ლიტვინოვის წინადადება წარმოადგენს მისთვის უკანასკნელ. მაგრამ მეტად ხელსაყრელ საშუალებას ბალტიის ქვეყნების ბლოკის საბოლოოდ შექმნისათვის. მაგრამ ზალესკის ამ განზრახვას ნიადაგი გამოეცალა, ვინაიდან ლიტვის მთავრობამ უკვე მიმართა ლატვიისა და ესტონეთის მთავრობებს, რომლებიც, თავაზიანობის გამო, უარს ვერ იტყვიან ლიტვის შუამავლობაზე. ზალესკი კისრულობს განაპირა სახელმწიფოების მზრუნველის როლს, თუმცა ეს მისთვის არავის დაუვალებია, ამით იგი სცდილობს ხელი შეუშალოს იმას, რომ აღმოსავლეთ ევროპაში კელოგის პაქტი ვადამდე შევიდეს ძალაში. ამით ის ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ პოლონეთს სრულებითაც არ სურს განამტკიცოს თავისი უშიშროება, თუ ამავე დროს არ განმტკიცდა მისი სამხედრო უპირატესობა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე".

„ბერლინერ ბერზენ კურიერ"-ი, რომელიც ჩვეულებრივად მეგობრულადაა განწყობილი პოლონელების მიმართ. ეხლა სწერს:

„ვარშავის მთავრობა „პრინციპიალურ თანხმობას" აცხადებს საბჭოთა წინადადებაზე, მაგრამ ისეთ გაჯავრებულ კილოზე ლაპარაკობს, თითქო მას დამბაჩა მიუშვირეს—იგი იწონებს წინადადების შინაარსს, მაგრამ არ იწონებს თვით იმ ფაქტს, რომ მან ასეთი წინადადებით მიმართეს" (ადს).

„პილსუდსკის რომ სიბრძნე გააჩნდეს"

ლონდონი, 13 იანვარი. „მანჩესტერ გარდიან"-ი კომენტარიებს უკეთებს პოლონეთის პასუხს და სწერს:

„პილსუდსკის რომ სიბრძნე გააჩნდეს, ის დაუყოვნებლივ მიიღებდა საბჭოთა წინადადებას კელოგის პაქტის ძალაში შესვლის შესახებ. ამის ნაცვლად ის სანახევროდ იღებს ამ წინადადებას და სანახევროდ უარყოფს" (ადს).

ვარშავის პოლიტიკა ჩიხში მოემწყვდა

ბერლინი, 13 იანვარი. გერმანული გაზეთები დაწვრილებით ათავსებენ ლიტვინოვის მიერ პოლონეთის მთავრობისათვის გაგზავნილი საპასუხო ნოტის შინაარსს. მეტ წილად გაზეთები ისეთ სათაურებს უკეთებენ წერილებს, რომ ხაზგასმით აღნიშნავენ თავიანთ სოლიდარობას ნოტისადმი.

სახალხო პარტიის მემარჯვენე ფრთასთან ახლო მდგომი „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ი იმ წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „მოსკოვი ამტკიცებს, რომ მას გულწრფელად სურს მშვიდობიანობა", სწერს:

„ვარშავას დიდი დრო დასჭირდა პასუხის გასაცემად, ლიტვინოვმა კი 24 საათში გასცა პასუხი და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, თუ რამდენად სერიოზულად და გულწრფელად სცდილობს მოსკოვი მშვიდობიანობის უზრუნველყოფას. **ლიტვინოვის ახალი ნოტა წარმოადგენს მონოლიტურ, ბრწყინვალედ შედგენილ დიპლომატიურ ნაწარმოებს.** იგი ძირიანად განსხვავდება პოლონეთის ნოტისაგან, რომლის არეული სტილი აშკარად მოწმობს, რომ მის შედგენაში რამდენიმე პირი იღებდა მონაწილეობას. **სწრაფი და მოსწრებული პასუხით საბჭოთა მთავრობამ მეტად მოხერხებულად მოამწყვდია ჩიხში ვარშავის პოლიტიკა. ვარშავამ ეხლა საქმით უნდა დაამტკიცოს, თუ რამდენად გულწრფელია მისი პათეტიური განცხადებანი მშვიდობიანობისაკენ მისწრაფების შესახებ".**

დემოკრატიული პარტიის ორგანო „ბერლინერ ტაგებლატ"-ი სწერს:

„პოლონეთის დაგვიანებულ ნოტაზე საბჭოთა მთავრობა პასუხს აძლევს საუცხოვო სისწრაფით, დაწვრილებით და ძლიერ. იმედი ვიქონიოთ, რომ შემდგომი მოლაპარაკება მალე გამოიღებს დადებით შედეგებს. ეს ყოველ შემთხვევაში ბოლოს მოუღებს მორალურად და ფსიქოლოგიურად დაჭიმულ მდგომარეობას აღმოსავლეთ ევროპაში".

„ფოსიშე ცეიტუნგ"-ი აქვეყნებს საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტას სათაურით „ენერგიული პასუხი პოლონეთის ორაზროვან ნოტაზე".

„ლოკალ ანცეიგერ"-ი აქვეყნებს საბჭოთა საპასუხო ნოტას სათაურით „ლიტვინოვი პოლონეთის მიკიბულ-მოკიბული პასუხის წინააღმდეგ" (ადს).

„პესტერ ლოიდ"-ი კმაყოფილია

ვენა, 13 იანვარი. უნგრეთის ოფიციოზი „პესტერ ლოიდ"-ი მოწინავე წერილში კომენტარიებს უკეთებს პოლონეთის მთავრობის საპასუხო ნოტას და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პოლონეთის ნოტა „ფორმალურად თუ არა, ფაქტიურად მაინც უარჰყოფს საბჭოთა წინადადებას" (ადს).

რუმინეთის პრესა საბჭოთა მთავრობის წინადადების შესახებ

ვენა, 13 იანვარი. მთელი რუმინული პრესა განაგრძობს წერას ლიტვინოვის ოქმის საკითხის შესახებ

მთავრობასთან მეგობრულად განწყობილი ეკონომიური გაზეთი „არგუს"-ი სწერს, რომ რუმინეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია განიხილოს ეს საკითხი, თუ პირდაპირ საბჭოთა კავშირისაგან მიიღებს წინადადებას. გაზეთის აზრით, პოლონეთის საპასუხო ნოტა შეეფერება არა მარტო პოლონეთ-რუმინეთის კავშირის პრინციპებს, არამედ ევროპის დიდი სახელმწიფოების აზრსაც.

მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთი „ლუპტა" აცხადებს, რომ რუმინეთი მზად არის დასდოს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ მხოლოდ იმ პირობით, თუ საბჭოთა კავშირი ტერიტორიალურ სტატუს-კვოს აღიარებს.

ლიბერალური პარტიის ორგანო „ინდეპანდანს რუმენ"-ი და „ვიიტორულ"-ი აცხადებენ, რომ რუმინეთს არ შეუძლია შეთანხმება დასდოს ისეთ ქვეყანასთან, რომელთანაც ნორმალური ურთიერთობა არა აქვს. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დამყარების წინასწარ პირობას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მიერ რუმინეთის უფლებების აღიარება ბესარაბიაზე „ვიიტორულ"-ი დასძენს, რომ ბესარაბიის საკითხის გარდა რუმინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ზოგიერთი ფინანსიური საკითხებიცაა სადავო, რომლებიც წინასწარ უნდა გადაიჭრასო (ადს).

საბჭოთა მთავრობა ყველაზე უფრო მტკიცეა ევროპის მთავრობებში

ვაშინგტონი, 13 იანვარი. სენატში გრძელდება კამათი კელოგის პაქტის შესახებ. როგორც ორატორების სიტყვებიდან სჩანს, სხვადასხვა ჯგუფები ხელს უშლიან პაქტის რატიფიკაციას, რათა დათმობის საშუალებით განახორციელონ ამ ჯგუფებისათვის სასურველი ღონისძიებანი სხვა დარგებში. ბორა მოითხოვს პაქტის უპირობოდ დამტკიცებას.

სენატის 11 იანვრის სხდომაზე სენატორმა რიდმა მკაცრად გააკრიტიკა პაქტი, განსაკუთრებით ინგლისის შენიშვნები. რიდმა განაცხადა, რომ ინგლისის იმპერიალიზმი და ინგლისის საზღვაო ძლიერება საფრთხეს წარმოადგენს შეერთებულ შტატებისათვის. მან გაშალა მსოფლიოს დიდი რუკა, რომელიც თან ჰქონდა მოტანილი, და აღნიშნა ინგლისის ის სამფლობელოები, რომლებზედაც ჩემბერლენის შენიშვნებით ინგლისს უნდა ჰქონდეს მოქმედების თავისუფლება. კერძოდ რიდმა აღნიშნა, რომ ინგლისელების მიერ ვანკუვერში (ბრიტანეთის კოლუმბია), ბერმუდის კუნძულებზე და იამაიკაზე აგებული საფორტიფიკაციო სიმაგრენი აშკარა მუქარას წარმოადგენენ შეერთებულ შტატებისათვის. რიდმა ურჩია სენატს, სცადოს იმის გამორკვევა, თუ რაშია კელოგის პაქტის დედა-აზრი, ვინაიდან ეს თითქოს არავის არ ესმის.

სენატორმა ბრუკჰარდტმა განაცხადა, რომ კელოგის პაქტი სცნობს საბჭოთა კავშირს, თუ ტეხნიკურად არა, ფაქტიურად მაინც. მან მოითხოვა საბჭოთა კავშირის ფორმალურად ცნობა. ბრუკჰარდტი დაწვრილებით შეეხო საბჭოთა კავშირის მდგომარეობას, გამოაქვეყნა ინჟინერ კუპერის დადებითი მოხსენება და, დასასრულ, განაცხადა, რომ **საბჭოთა მთავრობა ყველაზე უფრო მტკიცეა ევროპის მთავრობებში.** სენატორმა კინგმა გაილაშქრა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რისთვისაც მოიმიზეზა ეგრედ წოდებული „კომინტერნის პროპაგანდა" (ადს).

ლიტვინოვის ნოტა ამსხვრევს პოლონეთის „არგუმენტაციას"

ბერლინი, 13 იანვარი. „კიოლნიშე ცეიტუნგ"-ი კომენტარიებს უკეთებს საბჭოთა მთავრობის პასუხს პოლონეთის ნოტაზე და სწერს

„საბჭოთა მთავრობის სწრაფი პასუხი პოლონეთის ნოტაზე წარმოადგენს სასიამოვნო წინააღმდეგობას იმისას, რომ ვარშავამ ასე ძალიან დააგვიანა თავისი პასუხი. ლიტვინოვის მკვეთრი ლოღიკა ამსხვრევს პოლონეთის უმწეო არგუმენტებს, ამ არგუმენტებისათვის არა ხელსაყრელი ფორმით.

ლიტვინოვის ნოტა წარმოადგენს დიპლომატიური დიალექტიკის ოსტატურ ნიმუშს და მას არ შეუძლია განსაზღვრული სათანადო გავლენა არ მოახდინოს".

„ჰამბურგერ ფრემდენბლატ" სწერს:

„მოსკოვისა და ვარშავის ნოტებში მოსკოვის ნოტა გაცილებით უკეთესია ვარშავის ნოტაზე როგორც ტაქტიკისა, ისე პოლიტიკური პოზიციის მხრით. მოსკოვის მოქმედება გვიჩვენებს, რომ მას სურს გასწმინდოს აღმოსავლეთ ევროპის ატმოსფერო, რომელსაც შეიძლება ქარიშხალი მოჰყვეს, ან, ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობა მაინც გამოარკვიოს. პოლონეთი კი აშკარად გაურბის თავისი პოზიციის სისწორით განსაზღვრას, ეჭვი არ არის, რომ ვარშავის შეურიგებელ პოზიციას მხარს უჭერს დასავლეთი ან შეიძლება ნაკარნახევიც იყოს დასავლეთის მიერ (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ჩჟან-სუე-ლიანის ცირკულიარული დეპეშა

პეკინი, 13 იანვარი. ჩჟან-სუე-ლიანმა პროვინციალურ ხელისუფლებას მიმართა ცირკულიარული დეპეშით, რომელშიაც ჩამოსთვლის იან იუ ტინის და ჩჟან ინ-ხუაის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს, რისთვისაც ისინი დახვრეტილ იქნენ. იან იუ-ტინი და ჩჟან-ინ-ხუაი დეპეშის სიტყვით, პასუხისმგებელნი არიან სამოქალაქო ომისთვის, რომელიც სწარმოებდა 1924 წლიდან. მათ ჰბრალდებათ აგრეთვე ის, რომ ისინი ილაშქრებდნენ სამხრეთთან შეთანხმების წინააღმდეგ და საკუთარ საქმეებზე ხარჯავდნენ სახაზინო ფულს. (ადს).

ტოკიო, 13 იანვარი. იან-იუ-ტინის და ჩჟან-ინ-ხუაიას სიკვდილით დასჯამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იაპონიაში. ცნობის მიღებისთანავე გაიმართა სასწრაფო თათბირი რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სამხედრო საზღვაო და საგარეო საქმეთა მინისტრებმა და უმაღლესმა მოხელეებმა. იაპონიის მთავრობისათვის მოულოდნელი იყო მანჯურიიდან მიღებული ცნობა პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ რომ იან-იუ-ტინის დახვრეტა დიდ ზიანს მიაყენებს იაპონიის პოლიტიკას მანჯურიაში, ვინაიდან იან-იუ-ტინი მუკდენის პარტიის იაპონური ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი იყო.

ტოკიო, 13 იანვარი. სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარემ იამამოტომ სიმბონ რენგოს სააგენტოს წარმომადგენელს განუცხადა, რომ იან-იუ-ტინის სიკვდილით დასჯა ძალიან შეაფერხებს იაპონია-მუკდენის მოლაპარაკებას სარკინიგზო მშენებლობის შესახებ მანჯურიაში. ამაზე უფრო მნიშვნელოვანია,—განაცხადა იამამოტომ,—ის, რომ იან-იუ-ტინ-ს სიკვდილის შემდეგ პოლიტიკური სისტემა მანჯურიაში შეიცვლება გაცილებით უფრო ჩქარა ვიდრე გომინდანის დროშის აღმართვით (ადს).

ანტიიაპონური მოძრაობა ჩინეთში

შანხაი, 13 იანვარი. რამდენადმე შენელდა დაჭიმული მდგომარეობა ხანკოუში, სამაგიეროდ ძლიერდება იაპონელთა ბოიკოტი და საგაფიცვო მოძრაობა იაპონელების წარმოებებში, გაიფიცნენ ჩინელი ლოცმანები, რომლებიც იაპონიის გემებზე მსახურობენ. ჩინელთა პიკეტები წარმოებებიდან ხსნიან ჩინელ მოსამსახურეებს.

რეიტერ-ს სააგენტო აღნიშნავს, რომ ბოიკოტმა მთლად შეაჩერა იაპონიის სავაჭრო და სამრეწველო წამოწყებათა მოქმედება.

გოვენის სააგენტოს ცნობით, იაპონიის კონსულმა წინადადება მისცა იაპონიის ქვეშევრდომებს—გადასახლდნენ კონცესიის რაიონში ხოლო ქალებსა და ბავშვებს აუკრძალა ჩინეთის ტერიტორიაზე გადასვლა. თუ არეულობა მოხდება, იაპონიის ქვეშევრდომებს გადაიყვანენ ხანკოუს ნავთსადგურში მდგომ სამხედრო გემებზე (ადს).

მუშები აღშფოთებულნი არიან

ბერლინი, 13 იანვარი. ბერლინში პოლიციის უფროსმა სოციალ-დემოკრატმა ცერგიბელმა აკრძალა მასიური დემონსტრაცია ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის მოსაგონრად, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია საწარმოთა მუშებს შორის.

„როტე ფანე" აქვეყნებს მსხვილი წარმოებების მუშათა კრებების მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლიუციებს, რომლებიც სასტიკ პროტესტს აცხადებენ დემონსტრაციის აკრძალვის წინააღმდეგ.

გერმანიის კომპარტიის და წითელ ფრონტელთა კავშირის ბერლინ-ბრანდენბურგის საოლქო კომიტეტები მოუწოდებენ მუშებს, ორგანიზაციული დემონსტრაციის აკრძალვის გამო, ჩაატარონ მასიური დემონსტრაციები იმგვარად, რომ მთელი კვირა დღის განმავლობაში მუშები მიდიოდნენ ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის საფლავებზე (ადს).

გაფიცულთა შეტაკება შტრეიკბრეხერებთან

ლონდონი, 13 იანვარი. ადელაიდის ნავთსადგურში (ავსტრალია) ათასამდე გაფიცული თავს დაესხა შტრეიკბრეხერებს, რომლებიც გემ „მარიბა"-ზე მუშაობდნენ. დაშავდა 50-მდე შტრეიკბრეხერი. მეზღვაურები შემდეგ თავს დაესხნენ პოლიციას და დაუშინეს ქვები. პოლიციამ დამხმარე ძალების საშუალებით განდევნა მეზღვაურები ნავთსადგურიდან. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთის პრესა საბჭოთა მეორე ნოტის შესახებ

ვარშავა, 14 იანვარი. ოფიციოზი „გლოს პრავდა" მოწინავე წერილს უძღვნის საბჭოთა კავშირის მეორე ნოტას. მოწინავე დაწერილია მეტად გამაღიზიანებელი ტონით, წერილის ავტორი ურჩევს პოლონეთის მთავრობას საბჭოთა კავშირის მეორე ნოტა დასტოვოს სრულიად პასუხგაუცემლად და დაკმაყოფილდეს პოლონეთის მთავრობის საპასუხო ნოტაში აღნიშნული იმ მითითებით საბჭოთა მთავრობის მიმართ სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ პოლონეთის მთავრობას აუცილებლად მიაჩნია წინასწარ მოელაპარაკოს ინიციატორ-სახელმწიფოების ჯგუფს და აგრეთვე ბალტიის სახელმწიფოებს და რუმინეთს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ წერილის ავტორი საგარეო საქმეთა კომისარიატის მაგიერ ორჯერ ხმარობს სიტყვა—კომინტერნს. პოლონეთის მენშევიკური პარტიის ორგანო „რობოტნიკ" ჯერ-ჯერობით კომენტარიებს არ უკეთებს საბჭოთა ნოტას, თუმცა გაზეთი მაინც აღნიშნავს, საბჭოთა მეორე ნოტის დინჯ და კულტურულ ტონს და ხაზს უსვამს საბჭოთა მთავრობის მზადყოფნას შემდეგში თავისი წინადადებების გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლის შესახებ (ადს).

საკითხი ლიტვინოვის ოქმთან შეერთების შესახებ ლატვიასა და ესტონეთში

რიგა, 14 იანვარი. „იუნაკას ზინიას"-ის ცნობით, ლატვიისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, რომელიც შესდგება რეველში თებერვალში განხილული იქნება საკითხი, აღნიშნული სახელმწიფოების შეერთების შესახებ ლიტვინოვის ოქმთან.

ესტონეთის მთავრობის მადლობა

რეველი, 13 იანვარი. ლატვის საგარეო საქმეთა მინისტრმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. პეტროვსკის მადლობა განუცხადა იმ დახმარებისათვის, რომელიც საბჭოთა მთავრობამ ესტონელ მეთევზეებს აღმოუჩინა ჩუდსკის ტბაზე (ადს).

შეტაკება კონფლიქტების ნიადაგზე

ვარშავა, 14 იანვარი. ლვოვის მახლობლად სოფ. ბაციატიჩში გლეხებს და სახერხი ქარხნის ადმინისტრაციას შორის არსებულ კონფლიქტების გამო მოხდა შეტაკება გლეხებსა და პოლიციას შორის. შეტაკების დროს პოლიციამ იხმარა იარაღი. მოკლულია 3 გლეხი და მძიმედ დაჭრილია 10 (ადს).

პილიშვერში დასრულდა მემაღაროეთა გაფიცვა

ვენა, 14 იანვარი. ბუდაპეშტიდან მოსული ცნობებით პილიშვერში დასრულდა მემაღაროეთა გაფიცვა, რომელიც დაიწყო 1928 წლის ნოემბერში.

მეწარმეებთან შეთანხმებით, საკითხი მუშებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რის გამოც გამოცხადებული იყო გაფიცვა, გადაცემული იქნა შერეულ სამედიატორო სასამართლოში, რომლის თავმჯდომარეთაც იქნება მთავრობის წარმომადგენელი. მუშები დასთანხმდნენ კომპრომისზე. მხოლოდ რეფორმისტული პროფკავშირების ბიუროკრატიული აპარატის ზეგავლენის გამო (ადს).

ომარ ხანი აჯანყებულებთან მიდის

ქაბული, 13 იანვარი. ინდოეთიდან მიღებული ცნობებით, ავღანისტანის ტახტის პრეტენდენტი, ეიუბ ხანის შვილი და ავღანისტანის ყოფილი ემირის შირ ალი ხანის შვილიშვილი—მოხამედ ომარ ხანი დეკემბრის დამლევს ალაჰაბადიდან (ჩრდილოეთ ინდოეთი) საიდუმლოთ გაემართა ინდოეთ-ავღანისტანის საზღვრებისაკენ აჯანყებულებთან გადასახვეწლად (ადს).

ლოურენსი ბომბეიდან წავიდა

ლონდონი, 13 იანვარი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„საფოსტო გემით ბომბეიდან ინგლისში წავიდა პოლკოვნიკი ლოურენსი, რომელიც ბოლო დროს სამეფო ავიაციის ინდოეთის ნაწილებში მსახურებდა და რომელიც ამ ხმების გამო, თითქოს დახმარებას უწევდეს ავღანისტანის მეამბოხეებს, ინდოეთის მთავრობის ბრძანება მიიღო—ინგლისში დაბრუნდეს.

„ლატამ"-ის ბაკის პოვნა

ოსლო, 13 იანვარი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: ლეფოტენის შორეულ კუნძულზე მეთევზეებმა იპოვეს ბენზინის ბაკი, რომელიც „ლატამ"-ის ბაკს ჰგავს (ადს).

თოვლი სენაკში

ახალსენაკი, 13 იანვარი. მესამე დღეა, რაც განუწყვეტლივ თოვს. მთიან ადგილებში თოვლის სიღრმე ნახევარ მეტრს აღწევს, ბარში მეტრზედ მეტრს.

რაიონებიდან იუწყებიან, რომ თოვლი ძალიან უშლის ხელს საბჭოებს საანგარიშო კამპანიის ნაყოფიერად წარმოებას, ვინაიდან გაფუჭებული გზები აძნელებენ საანგარიშო კრებებზე დასწრებას (ადს).

მემაღაროეთა გაფიცვა საფრანგეთში

ჯარის კაცთა დაძმობილება მუშებთან

პარიზი 13 იანვარი. „ლიუმანიტე"-ს სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, რომ გარის ქვა-ნახშირის რაიონში გაფიცულ მემაღაროებს და რაიონში ჩასულ საარტილერიო რაზმის ჯარის კაცებს შორის ხდება დაძმობილება. გაფიცვის კომიტეტმა გაიგო, რომ ჯარის კაცები უკმაყოფილონი არიან კვების პირობებით და გადასწყვიტა, მხარი დაუჭიროს მათ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ რაზმის სურსათით მომარაგების საქმის კონტროლს უწევდეს ჯარის კაცთა კომიტეტი. ამას გარდა ჯარის კაცები მოითხოვენ ულუფის გადიდებას. გაფიცვის კომიტეტმა რაზმისათვის შეისყიდა სურსათ-სანოვაგე და თამბაქო. „ფორე"-ს მაღაროს მცველებმა მაღაროში შეუშვეს გაფიცულთა პიკეტი, რომელმაც შეაჩერა მანქანები, ჩააქრო ღუმელები და საშუალება მოუსპო შტრეიკბრეხერებს განეგრძოთ მუშაობა. გაფიცვის რაიონიდან გაიყვანეს საარტილერიო რაზმი და მის ნაცვლად გაგზავნეს სენეგალელი ჟანდარმები (ადს).

დორიო მოითხოვს ჯარის გაყვანას გაფიცვის რაიონიდან

პარიზი, 13 იანვარი. 11 იანვარს დეპუტატთა პალატაში საერთო პოლიტიკის შესახებ გამართული კამათის ბოლოში კომპარტიის სახელით ლაპარაკა დორიომ რომელმაც განაცხადა, რომ კომპარტია დიდ ყურადღებას აქცევს საგაფიცვო მოძრაობას. დორიომ მოიყვანა გარის რაიონში ჯარის კაცთა და გაფიცულთა დაძმობილების ფაქტები და მოითხოვა ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანა გაფიცვის რაიონიდან და დაუყოვნებლივ განხილვა კანონპროექტისა გაფიცულთათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ. დორიომ მოითხოვა აგრეთვე ერთი მილიონი ფრანკის გადადება მუშებისათვის დახმარების მისაცემად (ადს).

რეფორმისტები პროტესტს აცხადებენ მემაღაროეთა გაფიცვის წინააღმდეგ

პარიზი, 13 იანვარი. მემაღაროეთა გაფიცვას, რომელიც აბეირონის რაიონში დაიწყო, ძალზე აბრკოლებენ რეფორმისტები, რომელთაც მოლაპარაკება აქვთ ნახშირის მრეწველებთან ნაწილობრივ დათმობის შესახებ. ზოგან გაფიცვა შეეხო მუშათა 90 პროცენტს, გაფიცვის რაიონებში თავი მოუყარეს რესპუბლიკანური გვარდიის ნაწილებს. ლუარის რაიონში, რეფორმისტების წყალობით, სამუშაოს დაუბრუნდნენ როშელისა და მოლაერის მაღაროების მუშები (ადს).

რეპარაციების საკითხი

გერმანიის ვალის გარშემო

ბერლინი, 13 იანვარი. „ბერლინერ ტაგებლატი"-ს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება:

„პრეზიდენტმა კულიჯმა განაცხადა, რომ, მისი ცნობებით, სარეპარაციო კომისიის ერთად-ერთ ამოცანას წარმოადგენს გერმანიის ვალის საერთო ჯამის გამორკვევა. წლიურად 2,5 მილიარდი მარკის გადახდის საკითხი გადათვალიერებული არ იქნება".

კორესპონდენტი კომენტარიებს უკეთებს განცხადებას და სწერს:

„ეჭვს გარეშეა, რომ კულიჯის განცხადება, რამდენადმე გამოხატავს ჩრდ. ამერ. შეერთ შტატების ოფიციალურ თვალსაზრისს. გასაოცარია, რომ განცხადების ავტორი ექსპერტების კომისიის სესიის წინ შესაწყენარებლად სცნობს იმ უღელს, რომელსაც გერმანიისათვის ორ მილიარდის გადახდა წარმოადგენს"-ო.

კორესპონდენტის წერილმა უკმაყოფილება გამოიწვია გერმანიის პოლიტიკურ წრეებში. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი სწერს:

„თავისებური თვალსაზრისი, რომლის შესახებაც ვაშინგტონიდან იუწყებიან, ეწინააღმდეგება იმ დადგენილებას, რომლის მიხედვითაც ექსპერტებმა სრულიად დამოუკიდებლად უნდა გამოიკვლიონ გერმანიის გადახდის უნარიანობის საკითხი".

ბერლინის პრესაში გამოქვეყნებულია ვაშინგტონიდან მიღებული ცნობები იმის შესახებ, რომ ამერიკელი ბანკირები სარეპარაციო ვალის კომერსიალიზაციის წინააღმდეგნი არიან, ვინაიდან ამჟამად მდგომარეობა ამერიკის ბაზარზე შეუფერებელია ამისათვის (ადს).

ბანკირ მორგანის დანიშვნა ექსპერტთა კომისიაში

ბერლინი, 13 იანვარი. გერმანიის პოლიტიკურ და ფინანსიურ წრეებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ცნობამ იმის შესახებ, რომ ამერიკის მთავრობა სარეპარაციო საკითხის ექსპერტთა კომისიაში თავის წარმომადგენლად ცნობილი ბანკირის მორგანის დანიშვნას აპირებს (ადს).

გერმანიის ბონები ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების ბაზარზე

ნიუ-იორკი, 13 იანვარი. პრესა არაოფიციალურად იუწყება: ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი წინააღმდეგია, რომ ამერიკის ბაზარზე მოათავსონ ახალი გერმანული ბონები სარეპარაციო ვალის კომერსიალიზაციის მიზნით. პრესა იუწყება, რომ ამერიკელი ბანკირებიც წინააღმდეგნი არიან გერმანიის ბონების მიღებისა. ამ ცნობებს ფრთხილად უნდა მოვეპყრათ. ეს ცნობები იმას არ გვიჩვენებენ, რომ ამერიკელი ფინანსისტები სარეპარაციო საკითხის გადათვალიერების წინააღმდეგნი არიან. დამახასიათებელია „ნიუ-იორკ ტაიმსის" შემდეგი განცხადება:

„თუმცა ვაშინგტონი ადასტურებს თავის აზრს, რომ რეპარაციებისა და მოკავშირეთა ვალების საკითხი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არ არიანო, მაგრამ ნამდვილად ეს ორი საკითხი ერთმანეთისაგან განუყოფელია. მართალია, ამერიკელი ბანკირები 6 მილიარდი მარკის ახალი ბონების დაუყოვნებლივ გაყიდვის წინააღმდეგნი არიან, მაგრამ ამერიკის ბაზარს შეუძლია რიგს გარეშე შთანთქას ერთი მილიარდი დოლარის ბონები".

როგორც სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, კულიჯი ფიქრობს, რომ მომავალი სარეპარაციო კონფერენციის მთავარ პრობლემას წარმოადგენს სარეპარაციო ვალის რაოდენობის საბოლოოდ გამორკვევა. (ადს).

საპროტესტო დემონსტრაცია ბულგარეთში

ვენა, 13 იანვარი. სოფიიდან მიღებული ცნობით, ბულგარეთის პოლიციამ კონფისკაცია მოუხდინა დამოუკიდებელი პროფკავშირების ორგანოს „მთლიანობა"-ს საახალწლო ნომერს. იუწყებიან, რომ დედა-ქალაქში და პროვინციაში დააპატიმრეს ბულგარეთის დამოუკიდებელ მუშათა მოძრაობის მუშაკები. თეთრ ტერორთან მებრძოლი კომიტეტის ინიციატივით სოფიაში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია მუშათა მოძრაობის დევნის წინააღმდეგ. დემონსტრანტები პოლიციამ გაფანტა (ადს).

კომუნისტ ხულიო მელიას მოკვლა

მექსიკო, 13 იანვარი. მექსიკის დედა-ქალაქში მოკლეს კომუნისტების ლიდერი ხულიო მელია, მექსიკის კომპარტიის ცეკას წევრი და დევნილ მუშათა დამცველი ლიგის მდივანი. 10 იანვარს საღამოთი კუბის მთავრობის ერთმა საიდუმლო აგენტმა გააფრთხილა მელია, რომ მექსიკაში მოვიდა ორი მკვლელი, რომლებიც გამოგზავნა კუბის დიქტატორმა მაჩადომ. ნახევარი საათის შემდეგ გამოგზავნილი მკვლელები ქუჩაში თავს დაესხნენ მელიას, ესროლეს და მძიმედ დასჭრეს იგი. დაჭრილი ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა.

შარშან მელია კუბაში დააპატიმრეს და როგორც „ბომბისტს" სიკვდილი მიუსაჯეს. საპატიმროში მელიამ შიმშილობა გამოაცხადა და ცენტრალურ ამერიკაში გაქცევა მოახერხა. შემდეგ მექსიკაში გადავიდა. ამას წინად კუბის მთავრობამ პროტესტი განაცხადა იმ დემონსტრაციების გამო, რომლებსაც მექსიკაში კუბელი გადახვეწილები აწყობდნენ მაჩადოს მთავრობის წინააღმდეგ. მაჩადოს გაზეთებს არა ერთხელ მოუთავსებიათ მუქარის წერილი უცხოეთში გადახვეწილი კუბელი რევოლუციონერების წინააღმდეგ (ადს).

საპროტესტო დემონსტრაციები მელიას მოკვლის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 13 იანვარი. მექსიკოდან მიღებული ცნობების თანახმად, იქ, მელიას მოკვლის გამო, გაიმართა მუშათა დიდი საპროტესტო დემონსტრაციები. ცხენოსანმა პოლიციამ გაფანტა დემონსტრანტები, რომლებიც შეიკრიბნენ კუბის საელჩოსა და ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს წინ. მუშათა ანტიმილიტარისტული ორგანიზაციები მკვლელობას კუბის დიქტატორს მაჩადოს აბრალებენ. 11 იანვარს მოხდა დიდი დემონსტრაცია, რომელმაც წითელი დროშებით გაიარა ქალაქის მთავარ ქუჩებზე. მრავალი ათასი მუშა იყო კომპარტიის ცეკას შენობაში, სადაც მელიას კუბო ასვენია.

კუბის ელჩმა პრესაში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აცხადებს, რომ კუბის მთავრობას არავითარი კავშირი არა აქვს მკვლელობასთანო (ადს).

მოკლულ კომუნისტ მელიას დაკრძალვა

ნიუ-იორკი, 13 იანვარი. მექსიკოდან მოსული ცნობებით, მექსიკოში მოკლულ კუბელი კომუნისტის მელიას დაკრძალვას დაესწრო რამოდენიმე ათასი მუშა. დაკრძალვის პროცესიის მსვლელობა დაიწყო მექსიკის კომპარტიის ცეკას შენობიდან. პროცესიის მონაწილეებს მიჰქონდათ წითელი დროშები და ინტერნაციონალის მღერით შეჩერდნენ ეროვნულ სასახლეს წინ, სადაც მოეწყო მგრძნობიარე მიტინგი (ადს).

არჩევნები ელზასში

პარიზი, 13 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

ალტკირხში და კოლმარში (ელზასი) მოხდა დეპუტატთა პალატის დამატებითი არჩევნები (საერთო საპარლამენტო არჩევნებში ამ ოლქებში არჩეულ იქნენ ელზასელი ავტონომისტები რიკლენი და როსე, მაგრამ მათი არჩევა უკანონოდ სცნო დეპუტატთა პალატამ იმ საბაბით, რომ ისინი ავტონომისტთა პროცესზე კოლმარში დამნაშავედ იცნენ) ალტკირხში რიკლენის მაგივრად არჩეულ იქნა ავტონომისტი შტიურმელი, კოლმარში ხელმეორედ მოხდება არჩევნები, რადგან არავის არ მიუღია ხმების აბსოლიუტური უმრავლესობა. ხმების შედარებითი უმრავლესობა მიიღო ავტონომისტმა გაუსმა (ადს).

პროფ. აინშტეინის შრომის გამოცემის გამო

ბერლინი, 13 იანვარი. ზოგად და საერთო შეფარდებულობის თეორიის ავტორმა პროფესორმა ალბერტ აინშტეინმა გადასცა პრუსიის სამეცნიერო აკადემიას ახალი შრომა შემდეგი სათაურით: „ელექტრო-მაგნიტური არეთა ახალი თეორია"

ეს შრომა უფრო ფართოდ განმარტავს და ავითარებს საერთო შეფარდებულობის თეორიას და აღიარებს ერთიანობის პრინციპს მექანიკასა და ელექტრო-დინამიკას შორის. აინშტეინის ეს შრომა მიაჩნია ყველა იმ შრომებზე უფრო საყურადღებოდ, რაც მას გამოუქვეყნებია თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში. ახალი თეორია, რომლის გადამუშავებასაც აინშტეინმა მოანდომა 10 წელიწადი დაწერილია მხოლოდ 5 გვერდზე.

ახლო ხანში პროფ. აინშტეინის ეს ნაშრომი გამოქვეყნებული იქნება „პრუსიის აკადემიის უწყებებში" (ადს).

რეჟისორი პუდოვკინი ჰოლანდიაში

„კინო ლიგის მხოლოდ დახურულ სხდომებზე".

ამსტერდამი, 13 იანვარი. ამსტერდამში ჩამოვიდა საბჭოთა კინო-რეჟისორი პუდოვკინი, ჰოლანდიის კინო ლიგამ პუდოვკინი მიიწვია საბჭოთა კინო ხელოვნებაზე მოხსენების წასაკითხად. ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ყოველგვარი საშუალებით სცდილობს ხელი შეუშალოს მოხსენებას. ჰოლანდიაში შესასვლელი ვიზა პუდოვკინს მისცეს ჰოლანდიის სამხატვრო წრეების დაჟინებითი მოთხოვნით. სამინისტრომ კინო ლიგას მოსთხოვა იმის გარანტია, რომ „პუდოვკინი თავს შეიკავებს პოლიტიკური მუშაობისაგან, არავითარ შემთხვევაში არ გამოვა საჯაროდ და გამოვა „მხოლოდ კინო ლიგის დახურულ სხდომებზე" (ადს).

კურსები აგრონომების მოსამზადებლად

მოსკოვი, 14 იანვარი. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიასთან მოეწყო დაუსწრებელი კურსები აგრონომების მოსამზადებლად. ამჟამად კურსებზე ჩარიცხულია 600 კაცი—სასოფლო-სამეურნეო მუშები, განათლების მუშაკები და საბჭოთა მოსამსახურენი. კურსებს აქვს 4 ციკლი: სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, მემინდვრეობის და მესაქონლეობის (ადს).

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას წინადადება

მოსკოვი, 14 იანვარი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ წინადადება მისცა საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს მიიღონ ყოველი ზომა იმისათვის, რომ, როდესაც დაწესებულებებსა და წამოწყებებში გამოიყენება საარქივო და სხვა ქაღალდის მაკულატურა ქაღალდის მრეწველობისათვის, არ მოისპოს ისეთი საარქივო მასალა, რომელიც შეეხება მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობას, რევოლუციონურ მოძრაობას, საკავშირო კომპარტიის (ბ) ისტორიას, ოქტომბრის რევოლუციას, სამოქალაქო ომს და საბჭოთა მშენებლობას ადგილებზე. ამ საქმისათვის თვალყურის დევნება უნდა დაევალოს სპეციალურად გამოყოფილ პასუხისმგებელ მუშაკებს (ადს).

არჩევნები სამეცნიერო აკადემიაში

ლენინგრადი, 14 იანვარი. 12 იანვარს სამეცნიერო აკადემიაში აკადემიკოსთა საერთო კრებაზე მოხდა სრულიად საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრთა არჩევნები. იმათგან, რომლებიც საარჩევნო კომისიებმა შეარჩიეს, აკადემიაში არჩეულ იქნენ: ალექსეევი, ბახი, ბერნშტეინი, ბორისიაკი, ბუხარინი, ვავილოვი, ვინოგრადოვი, ვლადიმირცევი, გედროიცი, გრუშევსკი, გუბკინი, გულევიჩი, დემიანოვი, ზაბოლოტნი, ზელინსკი ვიტაკოვსკი, კრილოვი, კრჟიჟანოვსკი, ლუზინი, ლუზავსკი, მანდელშტამი, მასლოვი, ლოზინი, ლუ მიტკევიჩი, ნადსონი, ობრუჩევი, პეტრუშევსკი, პოკროვსკი (ენათმეცნიერი), პოკროვსკი (ისტორიკოსი), როჟდესტვენსკი, რიაზანოვი, საკულინი, სამოილოვიჩი, ხოლმცევი, ფავორსკი, ჩაპლიგინი, ჩიჩიბაბინი; არხანგელსკი. პრიანიშნიკოვი.

ლუკინს, დებორინს და ფრიჩეს არ მიუღიათ ხმის ფორმალური უმრავლესობა, ორი მესამედი, და ამიტომ ისინი არ არიან არჩეულნი.

არჩევნების შედეგების გამო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმმა შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა:

„უკვე დამთავრდა აკადემიის ახალი წევრების არჩევნები. აკადემიის წინაშე იშლება ახალი გზები განსაკუთრებით იმის გამო, რომ მასში შევიდნენ ეკონომისტები, სოციოლოგები, ტექნიკოსები, შევიდნენ დიალექტიური მატერიალიზმის მეტად ავტორიტეტული წარმომადგენელნი. სამწუხაროდ, 42 კანდიდატიდან, რომელნიც ერთხმად ან ხმის დიდი უმრავლესობით გავიდნენ განყოფილებებში, საერთო კრებაზე არჩეულ იქნა მხოლოდ 39; სამმა ხმის აბსოლიუტური უმრავლესობა მიიღო, მაგრამ ისინი მაინც აკადემიკოსებად ვერ მოხვდნენ, რადგან მათ წესდებით გათვალისწინებული ხმათა საერთო რიცხვის ორი მესამედი არ მიუღიათ.

გამოვიდა განსაცვიფრებელი, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, გაუგებარი შეუთანხმებლობა განყოფილებაში მიღებულ დადებით შედეგებსა და ხმათა არასაკმაო რიცხვს შორის საერთო კრებაზე.

საერთო კრების შემდეგ პრეზიდიუმს არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა ასეთი არანორმალური მდგომარეობა. მან ეს გარემოება აცნობა საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს და გამოიტანა დადგენილება, რომელსაც მიზნად აქვს გამონახვა სწორი გამოსავლისა, რომ აკადემიის ახალი გაფართოებული შემადგენლობის წინაშე ხელახლა დაისვას საკითხი იმ სამი წევრის შესახებ, რომელთაც ხმების ორი მესამედი არ მიუღიათ. პრეზიდიუმი დარწმუნებულია, საკითხის განხილვის შემდეგ საერთო კრება მხედველობაში მიიღებს არჩევნების შედეგებს განყოფილებებში (ადს).

თათბირი სას.-სამეურნეო გადასახადის შესახებ

მოსკოვი, 14 იანვარი. 11 იანვარს, საღამოთი საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატში გაიხსნა სრულიად საკავშირო თათბირი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. თათბირი გახსნა ამხ. ბრიუხანოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადში შენარჩუნებულ უნდა იქნას წინანდელი კლასობრივი გეზი და შეღავათები ღარიბთათვის, მაგრამ ამას გარდა უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პრაქტიკა ხელს არ უწყობდეს მეურნეობების დაქუცმაცებას.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საკავშირო ცაკის თავმჯდომარე ამხ. კალინინი, რომელმაც აღნიშნა, რომ მოსავლიანობის გადიდება ჩვენი ძირითადი ამოცანაა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადში ამა თუ იმ ცვლილების შეტანის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ამ ამოცანების გადაჭრა. ჩვენ ყოველთვის სწორად არ ვუდგებით არასამიწადმოქმედო შემოსავლის დაბეგვრას. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო სამიწადმოქმედო იარაღის დაბეგვრის დროს. წელს ინდივიდუალური წესით ბევრნი დაბეგვრეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სამიწადმოქმედო იარაღი ჰქონდათ. ამ იარაღის დაბეგვრა მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. ამავე მოითხოვს მოსავლიანობის გადიდების ინტერესი. უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომ გლეხს საშიშრად არ მიაჩნდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანის შეძენა. ფინანსთა სახ. კომისარიატის ორგანოებმა უნდა დაიცვან კულტურულ მეურნეობათა ინტერესები.

საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. იაკოვლევმა, რომელმაც საჭიროდ სცნო რევოლუციონური კანონიერების დაცვა სასოფლო-სამეურნეო გადასახადში. გარდა ამისა, კანონში გათვალისწინებულ უნდა იქნას შეღავათი იმ მეურნეობათათვის, რომელნიც გადადიან მრავალმინდვრიან თესლცვლაზე და მიმართავენ ახალ მეთოდებს მიწის დამუშავებაში. საჭიროა გადასახადის საშუალებით მიეცეთ გლეხს სათესი სივრცის გაფართოების იმპულსი.

სახელმწიფო გადასახადების სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ლევშინმა გააკეთა მოხსენება 1928—29 წლის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შედეგების შესახებ, აგრეთვე იმ შესწორებების შესახებ, რომლებიც შეტანილ უნდა იქნას 1929—30 წლის კანონში. მან განაცხადა, რომ 1 იანვრისათვის უკვე შემოსული იყო გადასახადის წლიური ჯამის 95 პროცენტი. დაბეგვრის წყაროების რაოდენობა და დაბეგვრილი შემოსავლის საერთო თანხა მეტია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ არიან სავსებით აღრიცხული დაბეგვრის ობიექტები და საჭიროა ბრძოლა შემოსავლის გადამალვასთან.

მიმდინარე წლის საგადასახადო პრაქტიკის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ცალკე რაიონების და ცალკე გლეხთა მეურნეობების გადასახადის მნიშვნელოვანი ზრდა. ცალკე რაიონების გადასახადის თვალსაჩინო გადიდება იმის შედეგია, რომ წარმატებით სწარმოებდა ბრძოლა გადასახადის ობიექტების გადამალვასთან. გარდა ამისა, გასულ წლის სტიქიურ უბედურებათა გამო ზოგიერთი რაიონი არ იყო საკმაოდ დაბეგრილი.

უფრო ცუდად იყო დაყენებული ცალკე გლეხთა მეურნეობების დაბეგვრის საქმე. აქ ადგილი ჰქონდა გადასახადის ზედმეტად გადიდების შემთხვევებს.

მომხსენებელმა წამოაყენა შესწორებები, რომლებიც შეტანილ უნდა იქნან კანონში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. უპირველეს ყოვლისა საჭიროა შემცირდეს მარცვლეული მეურნ. დაბეგვრა. საჭიროა შემცირდეს აგრეთვე ის საშუალო შეძლების მეურნეობათა დაბეგვრა, რომელნიც მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებს ინახავენ. ახალ კანონში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ საჭიროა აღინიშნოს, რომ მახლობელი 3 წლის განმავლობაში დაბეგვრა არ იქნება გადიდებული (ადს).

პროფ. გრაფტიო ზაჰესის შესახებ

ბათომი, 13 იანვარი. ბათომში გამგზავრების წინ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს „გლაველექტრო"-ს კომისიის თავმჯდომარემ პროფ. გრაფტიომ დაათვალიერა ზაჰესი.

„ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგური, — განაცხადა მან ამ.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს,—მართლაც საგანგებო ნაგებობაა. იგი ტექნიკურად შესრულებულია საუცხოოდ და საქმის სრული ცოდნით. ჩემის აზრით, თუ ზაჰესის ენერგია დღეს სავსებით არ არის გამოყენებული, ორი-სამი წლის შემდეგ, ადგილობრივი მრეწველობის გაზრდის გამო, ეს ენერგია საკმარისი არც კი იქნება. ელსადგურის დღევანდელი სიმძლავრის გარდა, საჭირო იქნება დამატებითი ტურბინების დადგმა. ეს გარემოება წინასწარ არის გათვალისწინებული ისე, რომ ჰიდროელსადგურის გაფართოვება სწრაფად და დაუბრკოლებლად მოხერხდება. (ადს).

აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის გამოკვლევა

ბათომი, 13 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს „გლაველექტრო"-ს კომისია ექვსი დღეა უკვე, რაც აჭარის წყალს ჰიდროელსადგურის მშენებლობას იკვლევს. კომისიის მუშაობა მალე დამთავრდება. კომისიის თავმჯდომარემ ამ.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, გამოკვლევის წინასწარი შედეგების შესახებ განაცხადა:

„მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა საჭიროებას წარმოადგენს ელსადგური აჭარისტანისათვის და ჩვენ მთავარ ამოცანას შეადგენს გამოვნახოთ ყველაზე უფრო ეკონომიური და რაციონალური გამოსავალი იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც სადგური ჩავარდა ე. ი. რაც შეიძლება მალე დამთავრდეს სადგურის აგება. როგორც ვიცით, მთავარი კაშხალის ქვაბულში ამჟამად მუშაობა შეჩერებულია, რადგან, 17 მეტრის სიღრმის მიუხედავად ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს კლდიან ნიადაგს კაშხალის დასაყრდნობად. ჩემის აზრით, უკლდეობა ვერ დააბრკოლებს მაღალი კაშხალის აგებას. 17 მეტრის სიღრმე დასაყრდენ კბილს საკმაო სიმკვიდრეს მისცემს და წყლის დენა საგუბრის ქვეშ საგრძნობლად შემცირდება. ვფიქრობ, რომ ახლავე შეიძლება დაწყება კბილის საბეტონო სამუშაოებისა. ამავე დროს მუშაობის პროცესში უნდა მოხდეს კბილის შემდგომი გაღრმავება, რაც ტექნიკურად განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს, ამასთან ერთად საჭიროდ მიმაჩნია დამატებითი გამოკვლევის წარმოება ნიადაგის შესასწავლად. კომისიის მუშაობა რამდენიმე დღეს კიდევ გასტანს, რის შემდეგაც კომისია შესძლებს საბოლოო დასკვნის მიცემას. (ადს).

წითელ არმიაში

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მე-7 პარტ-კონფერენცია

მეოთხე დღე

12 იანვარს მთელ დღეს მიმდინარეობდა კამათი ამხ. პეტუხოვის მოხსენების გარშემო წითელ არმიის პოლიტიკურ სამმართველოს მუშაობის შესახებ. სულ ჩაწერილია კამათში 90 კაცი. გამოსული ამხანაგები ჩერდებიან პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობის მრავალ საკითხებზე თავის პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად კონფერენცია დიდ დროს უთმობს აგრეთვე მისალმებების მოსმენას. როგორც ირკვევა კონფერენციის მუშაობის დღეებში თბილისის გარნიზონის თითქმის ყველა ნაწილებში მოხდა უფ. შემადგენლობის და წითელ არმიელთა კრებები, რომლებიც თავის დადგენილებებში ესალმებიან არმიის პარტიულ კონფერენციას და გამოსთქვამენ იმედს, რომ პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უფრო განმტკიცდება ნაწილის მებრძოლთა რიგები. № რკინის გზის ლეგიონის კომკავშირელები თავიანთ დადგენილებაში აღნიშნავენ, რომ „კომკავშირი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს კონფერენციის მუშაობას, შეისწავლის და გაატარებს ცხოვრებაში მის დადგენილებებს".

მე-5 დღე

კვირას, 13 იანვარს კონფერენციაზე ამხ. **ვასილიევმა** გააკეთა მოხსენება კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტიკურ სამმართველოს მუშაობის შესახებ. მოხსენების დასაწყისში ამხ. ვასილიევი ეხება წითელ არმიელთა მასების პოლიტიკურ განწყობილებებს და აღნიშნავს, რომ ს. კ. პ.(ბ) ცეკას ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა სოფლად მუშაობის შესახებ, დიდი გავლენა იქონიეს ჩვენ ყაზარმის ღარიბ და საშუალო ნაწილის განწყობილებებზე. განსაკუთრებით აქებდნენ წითელ არმიელები პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ ღონისძიებებს უკრაინაში ნაკლებ მოსავლიან ადგილებზე დახმარების აღმოჩენისათვის. სთვლის რა მთელ არმიის პოლიტიკურ მორალურ მდგომარეობას საღად, მომხსენებელი ჩერდება იმ მომენტებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ წითელ არმიელთა მასის განწყობილებებზე. მაგალითად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები მიუხედავათ უმაღლეს ხელისუფლების დადგენილებებისა, არ აქცევენ საკმაო ყურადღებას წითელ-არმიელების ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. აუცილებელია მთავრობის ყველა დადგენილებები წითელ არმიელების ოჯახების შეღავათების და უზრუნველყოფის შესახებ ურყევად ტარდებოდეს ცხოვრებაში.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს იმ ცვლილებებს, რომელიც ამ ერთი წლის განმავლობაში შეტანილი იქნა წითელ არმიელების მატერიალურ მდგომარეობაში. ეს არის სანივთო მომარაგების გაუმჯობესება, ულუფის ნორმის გადიდება, ჯამაგირის მომატება სანწყობრო უფ. შემადგენლობისათვის, ზედმეტ მსახურთა და მოხალისეთა მდგომარეობის გაუმჯობესება, მთელ რიგ ქალაქებში (ბაქო, ერევანი, ლენინაკანი, ქუთაისი) ახალ კულტურულ ცენტრების,—წითელ არმიის სახლების შექმნა და სხვა. მაგრამ, ამავე დროს კიდევ მძიმეა ყაზარმების მდგომარეობა, ინვენტარის საქმე, უფ. შემადგენლობის ბინის საკითხი და სხვ. ამ უარყოფითი მოვლენების აღმოსაფხვრელად მომხსენებელი მოუწოდებს, რომ გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა უთავბოლობას, უკულტურობას, ლოთობას და სახალხო ქონებისადმი გაუფრთხილებელ მოპყრობას.

თვით არმიის პირად შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებების შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ აქ თანდათანობით იზრდება მუშების რიცხვი.

ამავე დროს მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წითელ ჯარში ახლად გაწვეულთა შემადგენლობაში ყოველწლიურად იზრდება წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი. აქ მომხსენებელი ბრალს სდებს განათლების კომისარიატების და პოლიტგანათლების ორგანოებს, რომელნიც არ აქცევენ საკმარის ყურადღებას გასაწვევ მასაკის ახალგაზრდობის შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას ეს გარემოება საგრძნობლად აბრკოლებს პოლიტიკურ მუშაობას ახალწვეულ წითელ არმიელებთან და აძნელებს კლასობრივი პრობლემების ღრმათ დასმას მათ წინაშე.

თუ რამდენათ დიდი ცვლილება შეაქვს პოლიტიკურ მუშაობას წითელ-არმიელების შემადგენლობაში—მომხსენებელს მოყავს შემდეგი ციფრები: 1904 წ. დაბ. შემადგენლობაში კომუნისტების რიცხვი წითელ არმიაში გაწვევის დროს უდრიდა 4 პროცენტს, სახლში დათხოვის დროს 19 პროცენტს. კომკავშირელთა რიცხვი გაწვევის დროს 20 პროც., დათხოვნის დროს 15 პროც. უკანასკნელი მდგომარეობა აიხსნება პარტიულ ორგანიზაციის ზრდით უმთავრესად კომკავშირელთა ხარჯზე.

საგრძნობლად იზრდება კომუნისტების რიცხვი მეთაურთა შემადგენლობაშიც. ციფრები (3 წლ. განმ.) ასეთია: 36,5, 45,2, 46,7. უმჯობესდება ხარისხოვანათ მეთაურთა შემადგენლობა სოციალურ მდგომარეობის მიხედვითაც. იზრდება მუშების რიცხვი—11,2, 18,5, 20,2 და შემცირდა ე. წ. „დანარჩენების" რიცხვი: 22,5, 19,7, 18,5.

არმიის პარტიულ ორგანიზაციაში ლტოლვა ყოველწლიურად იზრდება. 1928 წ. პირველ 9 თვეში მიღებული იქნა პარტიაში 2784 კაცი, 746 კაცით მეტი ვიდრე გასულ წლის ამავე თვეებში.

იდეური მდგომარეობა პარტორგანიზაციისა უნდა ჩაითვალოს საღათ. ორგანიზაცია მთლიანია და შემოწმებულია ტროცკიზმთან ბრძოლაში. მტკიცე ბოლშევიკურ პოზიციებზე დგას პარტიული ორგანიზაცია ეხლაც, როდესაც გვიხდება წინააღმდეგობის გაწევა მემარჯვენე გადახრასთან. მერყეობის შემთხვევები აქ წარმოადგენენ იშვიათ გამონაკლისს. მიუხედავად ამისა, ასეთი საფრთხე მაინც დგას ჩვენ წინაშე შემდეგისათვის, ვინაიდან ჩვენ არმიაში ჭარბობს გლეხების და მოსამსახურეების რიცხვი. ამასთან დაკავშირებით პარტორგანიზაციის მიერ ჩატარებული უნდა იქნეს გაძლიერებული ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე არმიაში კომკავშირის ორგანიზაციის მდგომარეობას. სულ არმიაში ამჟამად ახ. ლ. კ. კ. წევრთა რიცხვი უდრის 11,250 კაცს. 1928 წლ. პირველ 6 თვის განმავლობაში კომკავშირში მიღებულ იქნა 2000-მდე ახალი წევრი.

საერთოდ მომხსენებელი სთვლის, რომ პარტიულ-პოლიტიკურ ხელმძღვანელობის დარგში მიღწევები დიდია, მხოლოდ საჭიროა ზოგადი ცვლილებების შეტანა ხელმძღვანელობის ფორმებში.

14 იანვარს გაიხსნა კამათი ამხ. ვასილიევის მოხსენების ირგვლივ. ჩაწერილია 148 ამხანაგი.

ანარიცხები პროფტექნიკური განათლების საჭიროებისათვის

მოსკოვი, 14 იანვარი. ტექნიკური ძალების მომზადების საქმის გასაუმჯობესებლად და პროფტექნიკური განათლებისათვის მტკიცე მატერიალური ბაზის შესაქმნელად, საკავშირო სახკომსაბჭომ დააწესა 3 პროცენტის ანარიცხვა სახელმწიფო-სამრეწველო წამოწყებების და ტრესტების წმინდა მოგებიდან. ამ ანარიცხებისა და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ასიგნობებისაგან დაინტერესებულ დაწესებულებებში სდგება განსაკუთრებული ფონდები პროფტექნიკური განათლების საჭიროებისათვის. სახსრების ნაწილი გამოყენებული იქნება სტუდენტობის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სტიპენდიების გასადიდებლად და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების და ტექნიკუმების კურსდამთავრებულთა უცხოეთში გასაგზავნად. ყოველი საბიუჯეტო წლის პირველი კვარტალისათვის ამ ფონდის 80 პროცენტი განაწილდება საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მოსწავლეთა რიცხვის პროპორციონალურად. დანარჩენი 20 პროცენტი განაწილდება არა უგვიანეს 1 მაისისა (ადს).

კურსები უჯრედების მდივნებისათვის

ყველა საოლქო და სამაზრო სააგიტ.. საპროპ. ბეჭდვითი განყოფილებას.

ც. კ. სააგიტ.-საპრ. ბეჭდვითი განყოფილება ამით გაცნობებთ, რომ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან ეწყობა დაუსწრებელი კომუნისტური უნივერსიტეტი პარტ-უჯრედების მდივნების კვალიფიკაციის და საერთო განათლების ასამაღლებლად.

ამასთანავე ერთად ვაქვეყნებთ დაუსწრებელი კომუნისტური უნივერსიტეტის ადგილების განაწილებას. ყველა საოლქო და სამაზრო სააგიტ.-საპროპ. ბეჭდვითი განყოფილებებმა უნდა შეარჩიონ უჯრედების მდივნებიდან კანდიდატები და მათი სახელი, გვარი და მისამართები აცნობონ ც. კ. სააგიტ.-საპროპ. ბეჭდ. განყოფილებას.

სააგიტ.-საპროპ. ბეჭდ. განყ. გამგე
ს. მამულია.

ადგილების განაწილება ამ.-კავკ. კომ.-უნივერსიტეტთან არსებულ დაუსწრებელ კომუნისტურ უნივერსიტეტში

თბილისის კომიტეტს 25 ადგილი, აჭარისტანს 5, აფხაზეთს 5, სამხრეთ-ოსეთს 5, ქუთაისს 4, ოზურგეთს 4, გორს 5, შორაპანს 4, (ჭიათურას 2), რაჭა-ლეჩხუმს 4, ზუგდიდს 3, ფოთს 3, კახეთს 5, ბორჩალოს 3, ახალციხეს 3, ახალქალაქს 3, სენაკს 3, სვანეთს 1.

მუშკორზე თავდამსხმელთა გასამართლება

პროცესის მესამე დღე

12 იანვრის საღამოს სხდომა

სხდომა იხსნება საღამოს 7 საათზე. მელითონეთა კლუბის ვეებერთელა დარბაზში ისევ ვერ იტევს მოზღვავებულ ხალხს.

[illegible] ბრალდ. **ისაი ლეიბმანის** დაკითხვა. ისაი ლეიბმანს, რომელიც მუშკორზე თავდასხმის დღეს სისხლის სამართლის მილიციაში ქალაქის პასუხისმგებელ მორიგის თანამდებობას ასრულებდა, ბრალად ედება დანაშაულობრივი უმოქმედობა, რითაც მან ხელმეორედ საფრთხეში ჩააგდო ერთხელ სიკვდილს გადარჩენილ მუშკორ ვაჩეიშვილის სიცოცხლე.

ბრალდებულ ლეიბმანის ჩვენება

— მე თავს არაფერში არ ვცნობ დამნაშავედ,—თავხედურად აცხადებს ბრალდებული ლეიბმანი, რომელიც ათასგვარ ჭორებს სთხზავს იმისათვის, რომ თავი დაიძვრინოს ბრალდებისაგან.

მეგობარი მეგობრისათვის

თუ ბრალდებულ ლეიბმანს დაუჯერებთ, მას შეეძლო არ დამორჩილებოდა თანამდებობით მასზე მაღლა მდგომ ინსპექტორ ყვანიას, რომელსაც ლეიბმანთან მიიყვანა განიარაღებული მთვრალი თავდამსხმელი ბრეგაძე და წინადადება მისცა დაუყოვნებლივ ოქმი შეედგინა და დაეპატიმრებინა იგი.

თავმჯდომარის შეკითხვა. გაიგეთ თუ არა საქმის შინაარსი და თუ გაიგეთ, რომ მუშკორზე შეიარაღებულ თავდასხმას ჰქონდა ადგილი, რატომ არ მიიღეთ სათანადო ზომები?

ლეიბმანი მიკიბ-მოკიბულ პასუხს იძლევა. ჯერ ლაპარაკობს, თითქოს ყვანიას არ უთქვამს, რომ თავდასხმა მოხდა მუშკორზე, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თვითონვე იძულებულია განაცხადოს, რომ ყვანიამ მას „ნაწილობრივ" უთხრა ამის შესახებ, მაგრამ სიტყვა „მუშკორი" არ უხსენებიათ.

თავმჯდომარე. დავანებოთ თავი „მუშკორს". დავუშვათ, რომ ბრეგაძემ მოახდინა თავდასხმა ვინმე მოქალაქეზე, იგი განიარაღებული მოგყავთ თქვენს სამორიგეო ოთახში, ვალდებული ხართ თუ არა დაუყოვნებლივ შეადგინოთ ოქმი და თავდამსხმელი დააპატიმროთ?

ლეიბმანი გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება. სიტყვას ვერ პოულობს თავის გასამართლებლად.

თავმჯდომარე. დავანებოთ თავი „მუშ-ყვანიას წერილობითი ჩვენებიდან, სადაც იგი ლაპარაკობს, რომ მან ლეიბმანს გაუხსნა საქმის ვითარება და უთხრა მუშკორზე თავდასხმის შესახებ) რატომ ლაპარაკობს ამას ყვანია?

ლეიბმანი (თავხედურათ) ყვანიას შეუძლია, რაც უნდა ის სთქვას.

ბრალდებული ლეიბმანი ლობე-ყორეს ედება და ლაპარაკობს, თითქოს ყვანიას არ მიუცია მისთვის წინადადება ბრეგაძის დაპატიმრების შესახებ, თითქოს ყვანიას ეთქვას „მილიციის უფროსის თანაშემწე მელაძის მოსვლამდე ოქმს ნუ შეადგენო".

მაგრამ ამ მტკნარი სიცრუითაც ფონს ვერ გადის ბრალდებული ლეიბმანი, იგი ვარდება წინააღმდეგობაში. წინად სთქვა, რომ ყვანიას არ ემორჩილებოდა, ეხლა კი სავსებით ემორჩილება მას.

შეკითხვა რატომ „დაეთანხმეთ" ყვანიას? განა თქვენ დამოუკიდებლად არ შეგეძლოთ საქმისთვის მსვლელობის მიცემა?

ლეიბმანი თურმე „დატვირთული" ყოფილა მუშაობით და ასე „უბრალო" საქმისათვის ვერ მოუცლია.

შეკითხვა. იქნება ამხანაგურმა გრძნობამ გული აგიჩუყათ და ოქმის შედგენის ხალისი დაგიკარგათ? იქნება გინდოდათ მიგეფუჩეჩებიათ თანამოსამსახურის და მეგობრის საქმე?

ლეიბმანი გულწრფელობასთან მწყრალათ არის, სიმართლეს გაურბის და „დაბეჯითებით" განაგრძობს ტყუილების როშვას.

შეკითხვა. მაშასადამე, თქვენ სავსებით „კანონიერად" მიგაჩნიათ ის, რომ თავდამსხმელი ბრეგაძე, რომელიც განიარაღებული მოგიყვანეს, ცოტა ხნის შემდეგ თავისუფლად გაუშვით ქალაქში სანავარდოთ?

ლეიბმანი (უტიფრად) იმდენად, რამდენადაც იგი დაპატიმრებული არ ყოფილა.

თავმჯდომარე. ცხადია, თუ არ დააპატიმრებდით, არ იქნებოდა დაპატიმრებული. (დარბაზში სიცილია).

ლეიბმანს ჰყოფნის იმდენი თავხედობა, რომ სთქვას: ბრეგაძე მხოლოდ დისციპლინარული სასჯელის ღირსად მიმაჩნდა, არც მეტი, არც ნაკლებიო, და ეს მაშინ, როცა, თუ მას დაუჯერებთ, საქმის შინაარს სათანადოთ გაცნობილი არ ყოფილა და არც იცოდა, რა ჩაიდინა მისმა მეგობარმა და თანამოსამსახურე ბრეგაძემ.

ბრალდებული ლეიბმანი რამდენ სიტყვას იტყვის, იმდენ წინააღმდეგობაში ვარდება. ყოველ ნაბიჯზე მას იჭერენ ტყუილებში.

— მაშასადამე, თქვენ აცხადებთ, რომ თქვენ თვის ყვანიას არ მოუცია წინადადება ბრეგაძის დაპატიმრების შესახებ?—ეკითხება ბრალდებულს საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამხ. შუღნია.

ლეიბმანი. არ მოუცია.

საზოგადოებრივი ბრალმდებლის შუამდგომლობით ქვეყნდება სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელ ქუთათელაძის და ბრალდებულ ბახტაძის ძმის წერილობითი ჩვენებები, საიდანაც აშკარა ხდება, რომ ინსპექტორ ყვანიას რამოდენიმეჯერ მიუცია წინადადება ოქმის დაუყოვნებლივ შედგენის შესახებ.

ლეიბმანი ვერაფრით ვერ იმართლებს თავს იმაში, რომ მან ბრეგაძე გაუშვა ერთი საათის ვადით.

— თუ დაპატიმრებული არ იყო რაღად ესაჭიროებოდა შენი გაშვება,—ეკითხებიან ლეიბმანს, რომელიც ამ შეკითხვაზე დუმილს ამჯობინებს.

აშკარა ხდება, რომ ლეიბმანმა მეგობარ ბრეგაძის განსაცდელიდან გამოსაყვანად არ მისცა საქმეს სათანადო მსვლელობა.

მოწმეთა დაკითხვა

ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ იწყება მოწმეთა დაკითხვა. სცენაზე გამოჰყავთ მუშკორი **შალვა ვაჩეიშვილი**, რომელმაც სასამართლოს უნდა აუწყოს მასზე თავდასხმის სურათი.

მუშკორი ვაჩეიშვილი

— 28 სექტემბერს 12 საათზე, ლაპარაკობს მოწმე ვაჩეიშვილი, ჩემი ოთახის კარებზე მოაკაკუნა მეზობლად მცხოვრებმა არქიპო ბახტაძემ, რომელმაც კარების გაღებისას მითხრა: შენთან საიდუმლო საქმე მაქვს და ჩემს ოთახში წამოდიო. მე უარი ვუთხარი მის ოთახში წასვლაზე და ჩემს ოთახში მივიპატიჟე.

ჩემთან იმ დროს ამხანაგები იყვნენ, რომელთაც ბახტაძის სურვილის თანახმად წინადადება მივეცი აივანზე გამოსულიყვნენ. ბახტაძის პირველი შეკითხვა ასეთი იყო: „შენ დასწერე წერილი ჩემს წინააღმდეგ?" მე უარყოფითად ვუპასუხე. ბახტაძე მეკითხება: „შეგეძლო თუ არა დაგეწერაო". მე ამაზე ვუპასუხებ, რომ შემეძლო, მაგრამ არ დამიწერია.

ამის შემდეგ არქიპო ბახტაძე მუქარით მომახალა სიტყვებს: „თუ ვაჟკაცი ვარ დაგაწვენო" და გარბის ოთახიდან.

ამ მუქარის შემდეგ მე ვცდილობდი თავი ამერიდებია ბახტაძისათვის და არსად გადავყროდი, მაგრამ მეორე დღეს შემთხვევით მომიხდა იმ რესტორანში შესვლა, სადაც თავის ამხანაგებთან ქეიფობდა არქიპო ბახტაძე. დამინახა თუ არა, ბახტაძემ აიღო ღვინით სავსე ჭიქა, შემაგინა დედა და წინადადება მომცა დამელია ღვინო. მე მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად შემოვბრუნდი და უსიტყვოდ გამოვედი რესტორანიდან.

იმ ღამის გვიან მივედი სახლში იმ მიზნით, რომ ქეიფიდან დაბრუნებულ მთვრალ ბახტაძეს სახლში არ ვენახე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი შეეცდებოდა თავის მუქარის სისრულეში მოყვანას. დაბრუნების შემდეგ გავიგე, რომ ბახტაძე მოსულიყო და გაელახა ჩემი ამხანაგი [illegible].

მეორე დღეს ბახტაძეს არ შეხვედრივარ. მესამე დღეს, ე. ი. 30 სექტემბერს მე [illegible] აივანზე მეზობლებს ველაპარაკებოდი, როცა მოვიდა ერთი მოქალაქე, რომელსაც ბახტაძესთან ხშირად ვხედავდი და რომლის სახელი და გვარი არ ვიცოდი. როგორც შემდეგში გავიგე ის ყოფილა ბახტაძის დეიდაშვილი ივანე ბრეგაძე.

ბრეგაძემ იკითხა: „ვინ არის აქ ვაჩეიშვილიო". როცა გაიგო, რომ მე ვიყავი, მან წინადადება მომცა წავსულიყავი მასთან ერთად ბახტაძის ოთახში, რაზედაც მე უარი განუცხადე და ჩემს ოთახში მივიწიე. ის შემომყვა ოთახში და კარი გამოხურა. დავსხედით მაგიდის კუთხეში ისე, რომ ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიყავით. ბრეგაძე აღელვებით მეუბნება: „რატომ დასწერე ბახტაძის წინააღმდეგ წერილიო". მე ვუპასუხე, რომ არ დამიწერია.

ამ სიტყვების შემდეგ ბრეგაძემ ჯიბისაკენ წაიღო ხელი. მე წამოვვარდი ზეზე და როცა ბრეგაძემ რევოლვერი ამოიღო, მაშინვე ვტაცე ხელი რევოლვერს. ჩვენს შორის გაიმართა ბრძოლა რევოლვერის წასართმევად. რევოლვერის გასროლა ბრეგაძეს არ შეეძლო, რადგან ლულა მისკენ იყო მიშვერილი და თუ გაისროდა მასვე მოხვდებოდა.

მე რევოლვერზე მაგრად მქონდა ხელი ჩაჭიდებული და მივიწევდი კარისაკენ, ამ დროს აივანზე იყვნენ მეზობლად მცხოვრები ელენე დანელია და მისი პატარა ქალიშვილი თამარი, რომელმაც ფანჯრიდან დაგვინახა ჩვენი ჭიდილი და კარი შემოაღო. კარის გაღებამ და ადამიანის დანახვამ მე გამამხნევა, მოვიკრიბე უკანასკნელი ძალ-ღონე, ამ დროს ელენე დანელიაც გამოეშურა დასახმარებლად, მაგრამ მე უკვე მოვახერხე ბრეგაძისათვის რევოლვერის წართმევა და გავიქეცი აივანზე. რევოლვერის წართმევა მოხდა შუა კარებში.

ასე ასწერს მოწმე ვაჩეიშვილი მასზე თავდასხმის ამბავს. ვაჩეიშვილი ლაპარაკობს, რომ რევოლვერის წართმევა მას გაუადვილა იმ გარემოებამ, რომ თავდამსხმელი ბრეგაძე მთვრალი იყო.

შემდეგ მოწმე ვაჩეიშვილი მოუთხრობს სასამართლოს ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ უყურადღებოდ დასტოვა მისი საქმე სისხლის სამართლის მილიციის პასუხისმგებელმა მორიგემ ლეიბმანმა. ლაპარაკობს, რომ როგორც მას გადასცეს მეზობლებმა, ლეიბმანის მიერ განთავისუფლებული ბრეგაძე ბახტაძესთან და სხვა მთვრალ ამხანაგებთან ერთად [illegible] კიდევ მისულა ვაჩეიშვილის ბინაზე: მეზობლებს გაუგონიათ სიტყვები, [illegible] რომ ჩავვარდე, ჩემსას მაინც [illegible].

მოწმე ვაჩეიშვილი სავსებით ადასტურებს წინასწარ გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებას.

თამარა დანელია

თამარა დანელია—11 წლის ბავშვი,—თავდასხმის უშუალო დამსწრე,—აჩვენებს შემდეგს: მე, დედაჩემი და ჩემი პატარა ამხანაგი აივანზე ვიდექით და ვსაუბრობდით. შალიკოც (ვაჩეიშვილი) იქვე იყო ახლოს პირსაბანთან. მოვიდა უცნობი კაცი. მან შალიკო არქიპო ბახტაძის ოთახში მიიწვია, შალიკო არ გაყვა. შემდეგ ორივენი შევიდნენ შალიკო ვაჩეიშვილის ოთახში. ცოტა ხნის შემდეგ ხმამაღალი ლაპარაკი და ფეხების ბრახუნი გავიგონე. მივედი ფანჯარასთან—და შევიხედე: უცნობი კაცი და ვაჩეიშვილი მაგიდასთან ისხდნენ და საუბრობდნენ. შალიკო ხელებით ლაპარაკობდა. შემდეგ ორივენი უცებად წამოხტნენ. მე უფრო დავინტერესდი, ნელა გავაღე კარები და ყური დავუგდე: ფეხების ბრახუნი გაძლიერდა, ამ დროს შალიკომ დაიყვირა: კარები გააღეთო. მე შევაღე კარები, დავინახე ვაჩეიშვილი და უცნობი კაცი ჭიდაობდნენ. ორივეს რევოლვერზე ჩაეკიდათ ხელი და ერთმანეთს ართმევდნენ. შალიკოს ორივე ხელი ლულაზე ეკიდა. მე შემეშინდა და დავიყვირე—შალიკოს ჰკლავენო. მოვარდა დედაჩემი, და ეცა ორივეს გასაშველებლად. ბოლოს შალიკომ გამოსტაცა რევოლვერი უცნობს და გაიქცა. უცნობი შებრუნდა შალიკოს ოთახში.

ბრეგაძის დამცველი ჯაფარიძე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე მომხდარი თავდასხმის ზოგიერთ საეჭვო მომენტების გამოსარკვევად მოხდეს ოთახის ადგილობრივი დათვალიერება. სასამართლო აკმაყოფილებს შუამდგომლობას.

პროცესის მეოთხე დღე

13 იანვრის დილის სხდომა

13 იანვარს დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა.

მოქ. გრიგოლ დანელია

მოწმე დანელია მრავალი კონკრეტული შემთხვევის დასახელებით იძლევა ბრალდებულ ბახტაძის ყოფა-ცხოვრების დახასიათებას.

— ბახტაძეს თავი ისე ეჭირა, რომ ყველა მოიჯარეებს იგი დიდი პირი გვეგონა. მის ბინაზე ხშირი იყო აყალ-მაყალი, ყვირილი, შფოთი, საეჭვო ყოფა-ქცევის ქალების სიარული. მთელი კვარტალი ბახტაძისა და მისი ამხანაგებისაგან აკლებული იყო, თვით ბახტაძეს თავის მეზობლებთან უსიამოვნება ჰქონდა. საერთოდ, ჩვენ არ მოგვწონდა მისი ყოფა-ქცევა. ვერიდებოდით მასთან საერთო ნაცნობობასაც კი. ერთ კვირა დღეს, როცა შინ სტუმარი მყავდა, გამომიხმო და მითხრა, რომ გავყოლოდი და შევრიგებოდი მის მეზობლად მდგომ ქურიძეს, რომლისგანაც მე ნაწყენი ვიყავი. მე არ დავეთანხმე. ამ უარისთვის მან უმიზეზოთ გამომლანძღა და დამემუქრა. მე გავსწყვიტე მასთან ყოველგვარი ურთიერთობა.

პროკურორი: ბახტაძე ამბობს, რომ მასთან დადიოდა არა ვიღაც საეჭვო ყოფა-ქცევის ქალები, არამედ საცოლე.

მოწმე: საცოლეს ისე უდიერად და ხეპრულად არ გამოაგდებენ სახლიდან, როგორც ბახტაძე მასთან მისულ ქალებს აგდებდა. შემდეგ მასთან დადიოდა არა ერთი, არამედ რამოდენიმე ქალი.

საზ. ბრალმდებელი. მოწმეები ამბობენ, რომ ბახტაძეს ფანჯარასთან კარაბინი ჰქონდა აყუდებული, რას იტყვით, მას სხვა უფრო მოხერხებული ადგილი არ ჰქონდა კარაბინის შესანახად? ან კარაბინი იქნებ თვალსაჩინო ადგილზე იმიტომ ჰქონდა, რომ ეთქვა: შემომხედეთ—მე ვარ ბიჭი თათარხანიო.

მოწმე: როგორ არ ჰქონდა; ცხადია, კარაბინის ფანჯარასთან გამოყუდებით მას სათანადო შთაბეჭდილების მოხდენა სურდა.

საზ. ბრალმდებელი: თუ ბახტაძე მეზობლების შემაწუხებელ ცხოვრებას ეწეოდა, [illegible] დებოშებს აწყობდა, საეჭვო ქალებთან [illegible] მართავდა, რატომ ზომები არ მიიღეთ მანამდე, ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა?

მოწმე: ყველა ერიდებოდა მას, ეშინოდათ მისი დიდი კაცობის, არაფერი გამოგვივა, ტყვილად გადავიკიდებთო. მიუხედავად ამისა, მე მაინც გავგზავნე რედაქციაში წერილი, სადაც ვამხელდი ბახტაძის უმსგავსოებას.

სასამართლოს თავმჯდომარე: რას იტყვით თქვენ მომხდარი ამბავის გარშემო?

მოწმე: ბახტაძე დარწმუნებული იყო, რომ წერილის დამწერი ვაჩეიშვილია, მე მოვისმინე ასეთი საუბარი მისი ვაჩეიშვილთან: შენ დაგლაზნილს არავინ არ გაარჩევს, და თუ გაარჩევს, შევარცხვენ ისეთი სასამართლოთ. თავდასხმის ამბავი მე ჩემმა ცოლმა მითხრა: ვიღაც უცნობი თავს დაესხა ვაჩეიშვილს; ვაჩეიშვილმა თავდამსხმელს რევოლვერი წაართვა. მე გამიკვირდა ვაჩეიშვილის ასეთი ვაჟკაცობა, მაგრამ სიკვდილის სიმწარეს და თავდაცვის ინსტიქტს ბევრი რამ შეუძლია.

ექვთიმე ყვანია

ამავე სახლში მცხოვრები—ექვ. ყვანია, რომელიც იმ ხანებში სისხლის სამართლის მილიციის ინსპექტორად მსახურობდა, შემდეგს მოუთხრობს სასამართლოს: იმ დღეს შინ ვიყავი, ოთახში შემომესმა შალიკო ვაჩეიშვილს ჰკლავენო. გამოვვარდი გარეთ, შევეჩეხე ერთ სამხედრო პირს, რომელსაც რევოლვერი ეჭირა ხელში, მე გამოვართვი მას რევოლვერი (სამხედრო პირისათვის რევოლვერი გადაეცა ვაჩეიშვილს) და შევედი ვაჩეიშვილის ოთახში. ოთახში დამხვდა სისხ. სამართლის მილიციის შენობის კომენდანტი ბრეგაძე, რომელსაც გაკვირვებული შევეკითხე: შენ აქ რა გინდა?—ვაჩეიშვილს ჩვენი არქიპო გაუწყრია და მინდოდა სამაგიერო გადამეხადაო".

საზ. ბრალმდ.: იცოდა თუ არა ბრეგაძემ რომ ვაჩეიშვილი თქვენი ნათესავი იყო?

მოწმე: არ იცოდა და ამიტომ მითხრა გულახდილად. ალბად იგი ფიქრობდა, რომ არქიპო, როგორც მისი დეიდაშვილი ჩემთვის—მისი თანამოსამსახურისათვის უფრო ახლობელი პირი იყო და მეც მისი ხათრით ბახტაძისათვის თავს გამოვიდებდი და დავეხმარებოდი მას. მოლოდინი არ გაუმართლდა. მე მინდოდა იგი წამეყვანა სის. სამ. მილიციაში, მაგრამ მილიციელებმა (ალბად თავის გამოჩენის მიზნით: ხუმრობა ხომ არ არის, ბანდიტი დავაპატიმრეთო) წაიყვანეს რაიონის კომისარიატში, იქიდან სისხლის სამართლის მილიციის სამმართველოში, სადაც დაგვხვდა ლეიბმანი.

მე გადავეცი რევოლვერი ლეიბმანს და მოვახსენე, რომ ამ რევოლვერით ბრეგაძე თავს დაესხა ვაჩეიშვილს, როგორც მუშკორს—მისი დეიდაშვილის საწინააღმდეგო წერილის ავ-

---

ხვალ, 16 იანვარს, საღ. 6 საათ., თბ. ალმასკომის დარბაზში
შესდგება
საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის
მე-10 პლენუმი

დღის წესრიგი:

1. უჯრედთა ბიუროების საანგარიშო—საარჩევნო კამპანიის და რაიპარტკონფერენციების შედეგები.
2. თბილისის პარტკონფერენციის მოწვევის შესახებ.

თბ. კომიტეტის წევრთა და კანდიდატთა, რაიკომების პრეზიდიუმის წევრთა და მსხვილ უჯრედთა მდივნების დასწრება სავალდებულოა.

თბ. კომ. პრეზიდიუმი

საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ საქართველოს ლენინურ კომკავშირის
თბილისის მე-16 სამაზრო საქალაქო კონფერენცია
გაიხსნება დღეს 15 იანვარს, საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პროსპ.).

პროლეტარული რევოლუციის გმირული ეპიზოდი

(კ. ლიბკნეხტისა და რ. ლიუქსემბურგის მკვლელობიდან ათი წლის შესრულების გამო)

მსოფლიო ომით გამოწვეულმა ეკონომიურმა კრიზისმა 1917 წლის დასასრულს მეტად მწვავე ფორმები მიიღო გერმანიაში. იმპერიალისტური ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატიის მიერ შოვინისტურ ბურუსში გახვეული მასები თანდათან ერკვეოდნენ და გამანადგურებელ ომის წინააღმდეგ ხმას იმაღლებდნენ. სასურსათო კრიზისმა, შრომის ნაყოფიერების საგრძნობლად დაცემამ და მეორეს მხრივ სამხედრო დამარცხებებმა დასავლეთის ფრონტზე არაჩვეულებრივი სისწრაფით გაღვივა როგორც მეომარი, ისე ზურგს უკან მყოფ მასების უკმაყოფილება ვილჰელმის იმპერიალისტური პოლიტიკით და კაპიტალისტთა კლასის ოინებით.

სოციალურ უკმაყოფილების ზრდას ხელი შეუწყო არა ნაკლებ ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთში და აღმოსავლეთის ფრონტზე წარმოებულმა „დაძმობილების" და „ომის შეწყვეტის" აქტიურმა პროპაგანდამ ჯარის კაცთა შორის. გერმანიის პროლეტარიატში დაგროვილ ამ უკმაყოფილების პირველი სერიოზული გამომჟღავნება მოხდა 1918 წლის იანვრის უდიდეს გაფიცვაში. გერმანიის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრების მუშათა გაფიცვამ აშკარად დაანახვა ბურჟუაზიას, რომ შეუძლებელია ომის განგრძობა „საბოლოო გამარჯვებამდე", რომ სწორედ ომმა მოახდინა უდიდესი გავლენა გერმანიის პროლეტარიატზე. რომელიც ხმას იმაღლებს არა მარტო ბურჟუაზიის მიერ წარმოებულ იმპერიალისტური პოლიტიკის, არამედ თვით სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგაც—1918 წლის იანვრის გაფიცვას აგრეთვე მიზნათ ჰქონდა, ბრესტლიტოვსკში მომავალ საბჭოთა რუსეთის სამშვიდობო დელეგაციისთვის ხელსაყრელი ატმოსფერის შექმნა. ეს კი ნიშნავდა გერმანიის პროლეტარიატის თანაგრძნობის აშკარა დემონსტრაციას და დახმარების სურვილს პროლეტარულ სახელმწიფოსთვის. მაგრამ მუშათა ეს პირველი გამოსვლა მარცხით დამთავრდა.

ამ დროს გერმანიის პროლეტარიატის ერთგული ბელადი—**კარლ ლიბკნეხტი** ციხეში იყო გამომწყვდეული ანტიმილიტარისტული პროპაგანდისათვის. მან ციხიდან პირველმა გადმოისროლა გამამხნევებელი ლოზუნგები ის მოუწოდებდა მშრომელ მასებს ახალ ბრძოლებისაკენ და სასტიკად კიცხავდა სოციალ-გამცემლებს, კაუცკი-შეიდემანების მიმდევრებს, რომელნიც გზაზე ელობებოდნენ მუშათა კლასს და ხელს უშლიდნენ მას ვილჰელმის ტახტის დამსხვრევაში.

„თქვენ გეუბნებიან—სწერს ლიბკნეხტი მუშებს—ჯერ ადრეა ნუ ჩქარობთ, მსხვერპლს ნუ გაიღებთ, ის უმიზნო და უდროოა, მაგრამ თქვენ კლასობრივი თვითშეგნებით უნდა შეხვდეთ ამ მოღალატეთა საზიზღარ საქმეს და გამოსწვალოთ უფრო და უფრო ერთი აზრით. „**მსხვერპლსაც გავიღებთ. კიდეც ვიბრძოლებთ და მიზანს მივაღწევთ.** დაე ნუ შეარყევს თქვენ რევოლუციონურ სიმტკიცეს „**მაცდურ წინდახედულების მომხიბლავი სიტყვები**"-ო.

გერმანიის მენშევიკები მართლაც ყოველივე ღონეს მიმართავდნენ, რათა დაემშვიდებინათ რევოლუციონური მასები, უკრძალავდნენ მას აქტიურ გამოსვლებს და ყოველივე ეს ხდებოდა იმისათვის რათა შეენარჩუნებინათ მთლიანი მონარქიული გერმანია. რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული დეპუტატი **აუერი** მოემგზავრება 1918 წლის 12 ივნისს ნიურნბერგში მუშების დასაწყნარებლად. მისი მოხსენებით იფუშება მიუნხენში მუშათა დემონსტრაციის გეგმა. ის არწმუნებს მინისტრ-პრეზიდენტს, რომ ახლო მომავალში არაფერია მოსალოდნელი, რომ რევოლუციის საფრთხე თავიდან აცილებულია. აუერები, ებერტები შეიდემანები, ზიუდეკუმები და სხვანი აკავებდნენ მასებს რევოლუციისაგან, რადგან როგორც ამის შესახებ სწერდა 1922 წელს „გეერთი სოციალ-დემოკრატიული გაზეთი: „გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადები გრძნობდნენ, რომ გერმანიის ხალხისათვის ბევრად უმჯობესია სახელმწიფოებრივი მმართველობის (ე. ი. ვილჰელმის მონარქიის—დ. გ.) ფორმის შემდეგი განვითარება კონსტიტუციის დაურღვევლად, ვინემ ძალდატანებითი რევოლუციონური გატრიალება"-ო.

ამით აიხსნება ის გარემოება რომ როდესაც 1918 წლის შემოდგომაზე თვით ლიბერალურმა ბურჟუაზიამ დაიწყო ლაპარაკი „მემარცხენე" კაბინეტის შექმნაზე და კაბინეტის მეთაურად ვითომდა მოლიბერალო პრინცი **მაქს ბადენსკი** წამოაყენა. გერმანიის სოციალ-დემოკრატია პირველი მიესალმა ბურჟუაზიის ამ განზრახვას. სოციალ-დემოკრატია დასთანხმდა მონარქისტულ კაბინეტში მონაწილეობაზე, მან ყოველმხრივ გაუმაგრა ზურგი პრინც ბადენსკის, რადგან ის დაინტერესებული იყო როგორც ვთქვით მონარქიის შენარჩუნებაში. სახელმწიფოებრივი მართველობის ფორმის „დემოკრატიზაციით", რაიც მისი აზრით საუკეთესო საშუალება იქნებოდა ძალდატანებითი რევოლუციონური გადატრიალების თავიდან ასაცილებლად, და ის ხელს უშლიდა „სოციალისტურ კლასიურ სახელმწიფოს დაარსებას".

მაქს ბადენსკის კაბინეტში შესვლით (რაიც გადასწყდა რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ) გერმანიის მენშევიკებს სურდათ ამგვარად მონარქიის შენარჩუნება. ეს აშკარად აღიარა თვით **შეიდემანმა** 1922 წლის დეკემბრის სასამართლოს პროცესზე, სადაც ის იყო გამოწვეული მოწმეთ მასზე მომხდარ თავდასხმის გამო. ამ პროცესზე სოციალ-დემოკრატ შეიდემანმა საუკეთესო გამოცდა დაიჭირა ბურჟუაზიულ მართმსაჯულთა წინაშე და დაუმტკიცა მათ თავისი ერთგულობა ტახტისა და სამშობლოს წინაშე: „ამ საზიზღარ წუთებში (ლაპარაკია 1918 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებზე) ჩვენ ისე ვმოქმედობდით როგორც ამას მოითხოვდა ხალხის უმრავლესობა. მე განვუცხადე მაქს ბადენსკის—ლაპარაკობს შეიდემანი „**თუ თქვენ, რომელიც მონარქიას ემხრობით, გსურთ ამ მონარქიის შენარჩუნება, იმ შემთხვევაში თქვენ უნდა აიძულოთ ვილჰელმი, რათა მან უარი სთქვას ტახტზე. რადგან თუ საქმე კატასტროფამდე მივიდა** (რომლის ასე ეშინოდა ბატონ შეიდემანს—დ. გ.) **მაშინ აღელვებული ხალხი არ დაკმაყოფილდება ტახტზე უარის თქმით, არამედ მოითხოვს მონარქიის მოსპობას**"-ო. „მე შემიძლია—განაგრძობს შეიდემანი თავის მართლებას—მიუთითოთ გრაფ ბერნსტორფის თხზულებაზე, რომელიც ეხლა გამოქვეყნდა და რომელშიაც ის სწერს **შეიდემანი სრულებით არ ილტვოდა რევოლუციისათვის, მაგრამ ის მოითხოვდა იმპერატორის მიერ ტახტზე უარის თქმას, როგორც conditio sine qua non, რათა მონარქია ყოფილიყო შენარჩუნებული**"-ო.

(გაზ. „ფორვერტსი" 1922 წლის 6 დეკემბრის).

ამიტომ, როდესაც მონარქიის კრიზისი იმდენად მომწიფდა, რომ რევოლუცია კარს იდგა, მასები უდიდეს რევოლუციონურ მოძრაობაში მივიდნენ ჟორდანის ტიპის მენშევიკები გერმანიაში აქტიურად წინააღუდგნენ მას და ერთხელ კიდევ სცადეს მონარქიის გადარჩენა. 3 და 4 ნოემბერს გერმანიის სამხედრო ფლოტის ცენტრში—კილში მეზღვაურებმა უარი განაცხადეს ინგლისის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაზე და აჯანყება მოაწყვეს. იმის მაგივრად, რომ „რევოლუციონურ" სოციალ-დემოკრატიას ხელი შეეწყო აჯანყებულთათვის, მათ პირიქით შუამავლობა იკისრეს აჯანყებულ მეზღვაურებს მოსარიგებლად ოფიცრობასთან, რისთვისაც ცნობილი **ნოსკე** გაგზავნეს რევოლუციონური ცეცხლის ჩასაქრობად. ამის მიუხედავად მეზღვაურებმა მაინც თავისი გაიტანეს და პირველებმა შეადგინეს ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭო.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ გაკიცხა ბერლინში გავრცელებული პროპაგანდა, რომელიც მოუწოდებდა მუშათა კლასს საყოველთაო გაფიცვისა და ნამდვილი რევოლუციონური ბრძოლის დაწყებისაკენ. გერმანიის მენშევიკებმა ამ მოწოდებას უპასუხისმგებლო ხალხთა პროვოკაციული გამოსვლა, ქაღალდის ნაგლეჯი უწოდეს. ისინი მოუწოდებდნენ მუშებს, არ აჰყოლოდნენ „უპასუხისმგებლო პირთა" ფეხის ხმას, არ ჩარეულიყვნენ ავანტიურაში. „არ აჰყვეთ მცირე ჯგუფთა და უცნობ წამქეზებელთა მოწოდებას. საქმე ეხება თქვენ და თქვენ ბავშვებს. ამიტომ ერთხელ კიდევ: დაიცავით მთლიანობა, კეთილგონიერება, შეკავშირებული დისციპლინა. **არაა საჭირო რუსული წესები**, წინ მთლიანად შემჭიდროვებული დემოკრატიისა და სოციალიზმის მიზნებისაკენ"—ასეთი უსირცხვილო და მეშჩანური ვაიძვერაობით აღსავსე მოწოდებით მიმართავდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პარტიის ცეკა მუშათა კლასს ნამდვილი რევოლუციონური პროცესის დროს.

არაა საჭირო რუსული წესები, ან როგორც შეიდემანმა უფრო მკაფიოდ განაცხადა, 1924 წლის ებერტის პროცესზე—„**მოძრაობას არ მიეცა რუსული გზით წასვლის საშუალება**"—ეს იმას ნიშნავს რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიას არ სურდა გერმანიის ჩათრევა სოციალისტურ რევოლუციაში, კაპიტალისტური წესწყობილების დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ეს აშკარა იყო მაშინ ყოველი შეგნებული პროლეტარისთვის, ყოველი მუშისათვის, რომელიც არ იმყოფებოდა სოციალ-დემოკრატიის ტყვეობაში, რომელიც არ იღრჩობოდა ოპორტუნიზმის და სოციალ-მონარქიზმის ჭაობში,



სამწუხაროდ მცირე იყო მუშების რიცხვი მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ ებერტ-შეიდემანებს მიჰყვებოდა და ამიტომ უძნელდებოდათ გერმანიის მაშინდელ ბოლშევიკებს, გერმანიის კომუნისტური პარტიის სახელოვან წინამორბედებს **სპარტაკელებს** მუშათა მასების დარწმუნება პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობაში, ბურჟუაზიული წყობილების ძირფესვიანად აღმოფხვრაში.

მაგრამ ვერც მენშევიკების თაღლითურმა მოწოდებებმა, ვერც ნოსკეს შუამდგომლობამ ვერ შეიდემანის წუწუნმა ვერ შეაჩერა რევოლუციის აგორებული ტალღა, რომელიც კილიდან ორი-სამი დღის განმავლობაში (6, 7 და 8 ნოემბერს) მთელ გერმანიას მოედო. მხოლოდ 9 ნოემბერს, როდესაც მთელი გერმანია რევოლუციის ცეცხლის ალში იყო გახვეული და როდესაც ბერლინი რევოლუციონერთა ხელში აღმოჩნდა მხოლოდ მაშინ, დასტოვეს მენშევიკებმა მაქს ბადენსკის მონარქიული კაბინეტი, მხოლოდ მაშინ აღიარეს მონარქია დამხობილად და „მართველობის ძველი სახელმწიფოებრივი ფორმა" განწირულად.

მენშევიკებმა ამგვარად ვერ შესძლეს კრიზისის გადაჭრა მშვიდობიანი გზით, უმტკივნეულოთ მათ ვერ გაუძლეს მუშათა მასების დაწოლას და იძულებით „იცნეს" რევოლუცია. ვილჰელმის ნაცვლად ხელისუფლებას სათავეში სოციალ-დემოკრატი ებერტი მოექცა. შესდგა მინისტრთა ახალი საბჭო სახალხო წარმომადგენელთა საბჭოს სახელწოდებით. კარლ ლიბკნეხტმა (რომელიც ჯერ კიდევ 21 ოქტომბერს იქნა განთავისუფლებული საპყრობილედან) უარი განაცხადა მენშევიკურ-ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობაზე. „სპარტაკ"-მა ზურგი აქცია „რევოლუციონურ" მთავრობას კაპიტალისტთა და ცრუ სოციალისტთა მეტად სახიფათო კოალიციას რუსეთის ბოლშევიკების მსგავსად და ფართო მუშაობა გააჩაღა მუშათა და ჯარის კაცთა მასებში. ბერლინში ჰამბურგში, ბრემენში, მიუნხენში და გერმანიის სხვა ქალაქებში შეიქმნა მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოები, რომელნიც სამწუხაროდ თავიდანვე მეტ წილად შეიდემანელების გავლენის ქვეშ მოექცა. ეს სავსებით დამტკიცდა საბჭოების სრულიად გერმანიის ყრილობაზე 1918 წლის დეკემბერში, სადაც მსგავსად რუსეთის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების პირველი ყრილობისა, დიდ უმრავლესობას შეიდემანელები შეადგენდნენ, ამის მიუხედავად გერმანიის სპარტაკელებმა ლიბკნეხტის, ლიუქსემბურგის და სხვათა მეთაურობით დაიწყეს მასებში, ბერლინში ჰამბურგში, ბრემენში, ტეტის ასაწევად და მებრძოლ ლოზუნგად წამოაყენეს, რეფორმისტულ-ბურჟუაზიული მთავრობის შეცვლა საბჭოთა ხელისუფლებით, პროლეტარიატის დიქტატურით.

ამით აიხსნება სპარტაკელების დევნა, ცილისწამება სპარტაკელთა ბელადების მიმართ, მასების დაშინება ბოლშევიკური „საშინელებით", უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების უფლებათა შეკვეცა და სხვა ღონისძიებანი, რომელნიც მიმართული იყო იქითკენ, რათა ხელი შეეშალათ მასების გამემარცხენებისთვის, ძირშივე ჩაეხშოთ რევოლუციის შემდგომი გაღრმავების ყოველგვარი ცდა და ამგვარად, როგორც განაცხადა ეს 1922 წლის 19 დეკემბერს ცნობილმა **ავგუსტ მიულერმა**, აეცილებინათ გერმანიისათვის „სოციალისტური კლასიური სახელმწიფო".

როგორც რუსეთში ჩხეიძე-წერეთლებმა ისევე გერმანიაში შეიდემან-ებერტებმა სავსებით დაივიწყეს მარქს-ენგელსის ძირითადი მოსაზრება რომ „**მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ აიღოს ხელთ მზამზარეული სახელმწიფო მანქანა და აამუშაოს ის თავისი საკუთარი მიზნებისათვის**". რომ მუშათა კლასმა უნდა „დაამსხვრიოს" ის, რაც მარქსის თქმით იქნება „ნამდვილი ხალხური რევოლუციის წინასწარი პირობა". პირიქით შეიდემანებმა, რომელთაც არ სურდათ **რუსეთის გზით** სიარული, ხელუხლებლად დასტოვეს ძველი სასახელმწიფოებრივი აპარატის დამსხვრევისა. პოლიცია, ჩინოვნიკობა და სასამართლო. ეს არაერთხელ აღიარეს თვით სოციალ-დემოკრატიის ბელადებმა, ისინი ამით კიდეც ამაყობდნენ და ამაყობენ დღემდეც, რომ გერმანია აცდინეს ბოლშევიკურ ექსპერიმენტს რომ არავის არ მისცეს საშუალება გერმანიის სახელმწიფოებრივი აპარატის დამსხვრევისა ებერტ-შეიდემანის მთავრობამ აკრძალა წითელი გვარდიის დაარსება, აღადგინა ჯარში ძველი დისციპლინა და წაართვა ჯარის კაცთა საბჭოს „თვითნებურად" მოპოვებული უფლებები. გენერალ გინდენბურგთან შეთანხმებით გამონახა შეთანხმების გზა პროფესიონალურ კავშირებსა და დამქირავებელთა შორის დაუბრუნა ოფიცრობას ძველი უფლებანი, აკრძალა ყოველგვარი გაფიცვები, პირველ რიგში სამხედრო მრეწველობაში და არ ალაგმა არც ერთი კონტრრევოლუციონური გენერალი. ებერტ-შეიდემანის პოლიტიკამ თვით მემარცხენე სოციალ-დემოკრატებიც ალაშფოთა, რომელნიც 29 დეკემბერს გამოვიდნენ „რევოლუციონური" მთავრობიდან (სახალხო რწმუნებულთა საბჭოდან) და მჭიდრო კავშირი დაამყარეს სპარტაკელებთან.

სპარტაკელები და დამოუკიდებელი (მემარცხენე) სოციალ-დემოკრატები გაერთიანდნენ ებერტ-შეიდემანის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ მიერ გადმოსროლილმა საბჭოების ძალაუფლების დამყარების ლოზუნგმა თანდათანობით მიიმხრო მუშათა მრავალი ათასები, მენშევიკური მთავრობის მემარჯვენე პოლიტიკამ ალაშფოთა გერმანიის ყველა მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებში თვით მათი მომხრე პროლეტარიატი.

6 დეკემბერს ბერლინში დაიწყო მუშათა და ჯარის კაცთა მღელვარება რომელიც მოედო რურის ოლქს, და ზემო სილეზიას, მიუნხენს ბრემენს და სხვა ქალაქებს, მაგრამ „სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ" კონტრრევოლუციონური ოფიცრობისა და პოლიციის რაზმების დახმარებით ყველგან სასტიკად ჩააქრო სპარტაკელთა „გამხრწნელი გავლენის ქვეშ" მოქცეული მასების „უაზრო გამოსვლები" ძირშივე ჩაკლა მათი მისწრაფება „აქტიურ მოძრაობისაკენ".

მაგრამ ამის მიუხედავად მუშათა მასები მაინც არ ცხრებოდნენ და ისინი მზად იყვნენ იარაღით ხელში გაჰყოლოდნენ ბოლშევიკებს რეფორმისტული მთავრობის ჩამოსაგდებათ. „დამოუკიდებელ" სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლის ეიხგორნის გადაყენებამ ბერლინის პოლიციის უფროსის თანამდებობიდან საბაბი მისცა სპარტაკელებს და „დამოუკიდებლებს" აქტიური გამოსვლისათვის. 6 იანვარს მართლაც მოხდა ბერლინის მუშების შეიარაღებული გამოსვლა, უდიდესი დემონსტრაცია ლოზუნგებით: „ძირს მემარჯვენე მთავრობა ებერტ-შეიდემანისა". „გაუმარჯოს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოებს" ამ დღესვე არჩეულ იქნა ბერლინის აჯანყებულ მუშების მიერ რევოლუციონური კომიტეტი **ლიბკნეხტისა და ლედებურის** მეთაურობით, რომელსაც მიენდო ახალი მთავრობის (საბჭოთა მთავრობის) შედგენა. შეიარაღებულმა მუშებმა დაიკავეს მთელი რიგი რედაქციები, გამომცემლობანი და მათ შორის სოციალ-დემოკრატების ცენტრალური, რევოლუციისადმი მტრულად განწყობილ გაზეთის „ფორვერტსის" („წინ") რედაქცია. 6 იანვარს მდგომარეობის გამწვავების გამო, სოციალ-დემოკრატი **ნოსკე**, რომელიც თავიდანვე ბევრს მუშაობდა მონარქიის შესანარჩუნებლად, ხოლო შემდეგ რევოლუციის მოსაყუჩებლად დანიშნულ იქნა ბერლინში და მის მიდამოების ჯარების მთავარსარდლად.

6 იანვრიდანვე დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა მთავრობის ჯარებისა **ნოსკეს** მეთაურობით ბერლინის აჯანყებულ პროლეტარიატის წინააღმდეგ. ნოსკემ ბრწყინვალეთ შეასრულა დაკისრებული ამოცანა. ის აღმოჩნდა ყველაზე მედგარი და ულმობელი პროლეტარული რევოლუციის მებრძოლთა განადგურებაში. ამ ბრძოლაში მან გვერდში ამოიყენა გერმანიის იუნკრობა და შავი ოფიცრობა. დამფრთხალი ბურჟუაზია მხსნელად აცხადებდა სოციალ-დემოკრატ ნოსკეს მზად იყო გაეღო ფული, იარაღი. ყოველივე ოღონდ თავიდან აეცილებინა პროლეტარული რევოლუცია, „რუსეთის დამღუპველი ამბები". ბერლინში ნამდვილი სამოქალაქო ომი გაჩაღდა. ლიბკნეხტი როზა ლიუქსემბურგი და სპარტაკელების სხვა ბელადები მოწინავე ბარიკადებზე იბრძოდნენ. მთელი კვირის განმავლობაში ბერლინი აღარ ცხოვრობდა თავისი ნორმალური ცხოვრებით. ქუჩებში ხელჩართული სისხლისმღვრელი ბრძოლა სწარმოებდა. ვინაიდან საკმაო არ შეიქნა ბერლინში მყოფი ჯარები, აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ნოსკემ პროვინციიდან გამოიწვია ჯარის საიმედო ნაწილები და რამდენიმე დღის სასტიკის ბრძოლების შემდეგ (14 იანვარს) ჩააქრო სპარტაკელთა აჯანყება ბერლინში. აჯანყების დამარცხების მიზეზათ უნდა ჩათვალოს ის, რომ ბერლინს ვერ დაუჭირა მხარე თავის დროზე რევოლუციონურმა პროლეტარიატმა გერმანიის სხვა ადგილებში და რაც მთავარია ჯერ კიდევ ნორჩ კომუნისტურ პარტიას არ ჰყავდა მუშათა მასებში მოპოვებული უმრავლესობა; მწვავე ბრძოლებში ის მარტო ბერლინის პროლეტარიატზე დაყრდნობილი აღმოჩნდა.

უშუალო ბრძოლებიდან კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი უვნებელი გამოვიდნენ. მაგრამ აჯანყების ჩაქრობას მოჰყვა სასტიკი რეპრესიები. აჯანყებულთა მასიური ამოხოცვა, ყოველგვარი გასამართლების გარეშე, როგორც აჯანყების ხელმძღვანელთა ისე მის მონაწილეთა.

თავისი ჯალათური საქმე სოციალ-დემოკრატმა ნოსკემ დაასრულა ყველაზე საშინელი ვერაგობით, რომელიც კი ახსოვს პარიზის კომუნის ჯალათის ტიერის შემდეგ ევროპის მუშათა მოძრაობას. 15 იანვარს მან მუხანათურად განგმირა გერმანიის პროლეტარიატის დიდი ბელადები, იანვრის აჯანყების და საერთოდ პროლეტარული რევოლუციის ხელმძღვანელები—**კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი**.

ლიბკნეხტს და ლიუქსემბურგს იცნობდა გერმანიის მუშათა კლასი, მათ იცნობდნენ პროლეტარები გერმანიის გარეთაც—საფრანგეთში, პოლონეთში, რუსეთში და სხვაგან, როგორც იმპერიალისტური ომის მოწინააღმდეგეებს, ბურჟუაზიის შეურიგებელ კლასიურ მტრებს და როგორც დიდ რევოლუციონერებს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ აუცილებელ საჭიროებად სცნო მათი თავიდან მოშორება მეტი სიმშვიდის შესაქმნელად ბურჟუაზიისთვის.

მათი მოკვლით ჯალათმა ნოსკემ დიდი სახელი მოიხვეჭა გერმანიის კონტრრევოლუციონურ ბურჟუაზიაში. მან ბისმარკისებური სისასტიკით და ტიერისებური ვაიძვერაობით გაანადგურა პროლეტარული აჯანყება. კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მკვლელობა ჯალათ ნოსკეს სახელოვან დამსახურებათ მიაჩნდა. ის არც მალავდა ამას, ნოსკეს ეგონა, რომ მან სპარტაკელთა დამარცხებით და მისი ბელადების მოკვლით ააცილა გერმანიას სამუდამოდ პროლეტარული რევოლუციის საფრთხე. ლიბკნეხტი და ლიუქსემბურგი იყვნენ ნოსკეს თქმით (იხ. მისი წიგნი „კილიდან კაპამდე") დამნაშავენი, რომ „**უსისხლოდ** დაწყებული გადატრიალება **სამოქალაქო ომათ** გადაიქცა ყველა მისი საშინელებებით.

„ფორვერტსი" და საერთოდ მთელი სოციალ-დემოკრატია („დამოუკიდებელთა" გამოკლებით) აღტაცებით მიეგება ნოსკეს „გმირობას" და გაამართლა მის მიერ საიმპერიო ჯარების გამოწვევა ბერლინის აჯანყებულ პროლეტარიატის წინააღმდეგ. მონარქისტული იუნკრების და თეთრგვარდიელ გენერლების გამოყენება და რაც მთავარია თვით ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის მოკვლაც. „ლიბკნეხტი—ასე სწერდა ცინიკურად „ფორვერტსი" არ იყო „ჩვეულებრივი ბოროტმოქმედი" და ის არ მომკვდარა ჩვეულებრივი ბოროტმოქმედის სიკვდილით, არამედ ექსტრა-ორდინალურ ძალდატანებითი სიკვდილით".

ნოსკემ კი ამ დამსახურებისათვის თვითვე უწოდა საკუთარ თავს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ვეიმარის ყრილობაზე—**სისხლიანი ძაღლი**.

„**მე მოვკიდე ხელი ამ საქმეს** (ლაპარაკია სპარტაკელთა 1919 წლის იანვრის აჯანყების ჩაქრობაზე), **თუმცა ვიცოდი, რომ მე გერმანიის რევოლუციას მთელი ისტორიის გასწვრივ გამატარებდნენ „სისხლიანი ძაღლის"** სახით. მე შევასრულე ეს სისხლიანი საქმე; მოვალეობის ღრმა შეგნებით. მაშინ მე უთხარი საკუთარ თავს: ვინმემ ხომ უნდა გააკეთოს ისტორია, მაგრამ ჩემთვის ცხადი იყო და ეს მოვალეობა იმას ნიშნავდა, რომ **მე უნდა გამევლო გერმანიის რევოლუციაში, როგორც სისხლიან ძაღლს**". („ვეიმარის პარტიული ყრილობა", ოქმი გვ. 202).

საუცხოვო სახელწოდებაა. ზედმეტია ნოსკესთვის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის სამაყო ჯალათისათვის უკეთესი სახელწოდების მონახვა. მარქსმა თავის დროს პარიზის კომუ-ჯალათს ტიერს უწოდა „ბანალური მზაკვრობაში ხელმომთბარი, არტისტი ვერაგობასა და გამცემლობაში". მაგრამ ტიერი ხომ ბურჟუაზიის წრიდან იყო გამოსული, ბურჟუაზიული მინისტრი, ნაპოლეონის იმპერიალისტური ჯარის გენერალი, ხოლო ნოსკე გერმანიის სოციალ-დემოკრატი, ყოფილი მუშა, მენშევიკების ძველი პარტიული მუშაკი, კაუცკის ამხანაგი, იმ კაუცკის, რომელიც ასე უტიფრად უსაყვედურებდა რუსეთის ბოლშევიკებს ბურჟუაზიის და მისი აგენტების წინააღმდეგ მიმართულ ტერორს.

კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მკვლელობა, როგორც არა ერთხელ აღუნიშნავს ეს ამხ. **ლენინს** არის გერმანიის მთელი სოციალ-დემოკრატიის საერთაშორისო რეფორმისტული სოციალიზმის ამ მოწინავე რაზმის საქმე; კარლ ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის მკვლელია არა მარტო „**სისხლიანი ძაღლი**" **ნოსკე**, არამედ აგრეთვე კაუცკი, შეიდემანი, ჰილფერდინგი და საერთოდ მთელი მეორე ინტერნაციონალი.

ამ საზიზღარი ამბავის შემდეგ განვლო ათმა წელმა. არ გამართლდა ჯალათ ნოსკეს იმედი. გერმანია ვერ იქნა განთავისუფლებული არა თუ საბოლოოდ, არამედ ერთი წუთითაც ბოლშევიზმის გავლენისაგან. 1919 წლის იანვრის შემდგომმა ამბებმა და განსაკუთრებით 1923 წლის რევოლუციამ ცხადყვეს, რომ იანვრის გმირული ეპიზოდის დროს დაცემულთა გვამებზე გაიფურჩქნა გერმანიის ძლიერი კომუნისტური პარტია ახალი ლიბკნეხტებითა და ლიუქსემბურგებით, რომელიც აუცილებლად შეასრულებს სპარტაკელთა მიერ დაწყებულ სახელოვან საქმეს.

მსოფლიო მუშათა კლასი, პროლეტარულ რევოლუციისათვის მებრძოლი მასები ზიზღით მოიხსენიებენ 10 წლის თავზე გერმანიის „სოციალისტთა" ამ ვერაგობას. ლიბკნეხტი სცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს მებრძოლ ჩაგრულთა და განსაკუთრებით გერმანიის კომუნისტთა გულში, მათ გონებაში ბუდობს ლიბკნეხტის აზრი, მათ ძვალსა და რბილში გამჯდარია ლიბკნეხტის დაუცხრომელი რევოლუციონური სული, მათ დღემდე უნათებს გზას ლიბკნეხტი, ისინი დღესაც საზრდოობენ ლიბკნეხტის მებრძოლი იდეებით.

1919 წლის იანვრის აჯანყების გმირების და ბელადების ჯალათთა შესახებ ჩვენ შეგვიძლია სხვა სიტყვებით იგივე გავიმეოროთ, რითაც დაასრულა მარქსმა 1871 წლის საფრანგეთის სამოქალაქო ომის შავი ძალების დახასიათება: წამებულმა სპარტაკელებმა ძეგლი დაიდგეს მუშათა კლასის დიად გულში, ხოლო მათი ჯალათები ისტორიამ გააკრა იმ სამარცხვინო ბოძზე, საიდანაც მათ ვერავითარი ძალა ვერ მოჰგლეჯს.

დ. გვაზავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშკორზე თავდამსხმელთა გასამართლება

ტორს, ამასთანავე მოვსთხოვე შეედგინა სათანადო ოქმი და დაეპატიმრებია ბრეგაძე. ჩემმა წინადადებამ გააბრაზა ბრეგაძე როგორ, შენ ბედავ ჩემს დაპატიმრებასო, და დედა შემომაგინა. ლეიბმანმაც მითხრა: რა საჭიროა ოქმის შედგენა, მელაძე ჩამოვა და გაარჩევს ამ საქმესო. შემდეგ მე წამოვედი სამმართველოდან. როცა საღამოს შინ დავბრუნდი, გადმომცეს: ბრეგაძე ისევ მოვიდა აქ რევოლვერით შეიარაღებული, აივანზე გაიარ-გამოიარა და ჩვენსკენ არწივივით იცქირებოდა. ამის გაგონებაზე აღშფოთებული გავეშურე სისხლის სამართლის მილიციისაკენ, იქ ბრეგაძე არ დამიხვდა: გაენთავისუფლებიათ. იქვე მაგიდაზე ვნახე პატაკი, სადაც აღნიშნული იყო, თითქოს ბრეგაძეს ჩაედინოს რაღაც უმნიშვნელო დებოში, გაეშვათ რამდენიმე ხნით, მაგრამ არ დაბრუნებულა. აშკარა იყო საქმის მიჩქმალვის განზრახვა. მე პატაკზე შენიშვნა გავაკეთე იმ მიზნით, რომ ეს პატაკი არ გამოეცვალათ და მივმართე მორიგ გამომძიებელს დაუყოვნებლივ მიეცა საქმისათვის მსვლელობა, მაგრამ ისიც საქმეს გულგრილად მოეკიდა. მან გაამართლა კიდეც ლეიბმანი, მითხრა: ლეიბმანს შეეძლო ბრეგაძის განთავისუფლებაო. ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ლეიბმანიც და აგრეთვე სხვებიც ცდილობდნენ საქმის მიფუჩეჩებას.

ბრეგაძის ჩვენს ბინაზე მეორედ მოსვლის ამბავი მეზობლებს ეთქვათ აგრეთვე ვაჩეიშვილისათვისაც, რომელიც ბრეგაძის შიშით გადამალულიყო. მე პირადად რამდენიმეჯერ შევიხედე მის ოთახში, ოთახი დაკეტილი იყო და შიგ არავინ იმყოფებოდა.

მოწმე ყვანიაც ბახტაძეს ახასიათებს, როგორც დებოშებს, აყალ-მაყალის მოყვარულს, მეძავ ქალებთან მოქეიფეს და მოუსვენარ საქმეთა პიროვნებას.

ელენე დანელია

მოწმე ელენე დანელია შეკითხვაზე: იცნობდა თუ არა ის ბრეგაძეს, აცხადებს, რომ ამ შემთხვევამდე მას ბრეგაძე არც კი ენახა. ამასვე იმეორებენ ამ სახლის თითქმის ყველა მდგმურები. აშკარაა, რომ ბრალდებულ ბრეგაძის მტკიცება, თითქოს ის ერთი წელიწადი (ბახტაძის თქმით კი ორი თვე) სცხოვრობდა ამ ბინაზე, საიდანაც შემდეგ გააგდო ბახტაძემ—ზღაპარია, რომელიც შეთხზულია იმ მიზნით, რომ დაამტკიცონ ერთი მხრით ბრეგაძის ნაცნობობა ვაჩეიშვილთან (თითქოს იმ დღეს ბრეგაძე მივიდა თავის კარგ ნაცნობთან), და მეორე მხრით ბრეგაძის ცუდი განწყობილება ბახტაძესთან (ბრეგაძე, როგორც წაქეზებული და მოძულე არ იკისრებდა ბახტაძის დავალებას). უდავოა, რომ არც ერთ მდგმურს ბრეგაძის ვინაობა არ სცოდნია, მაშასადამე არ ეცოდინებოდა იგი არც ვაჩეიშვილსაც.

მოწმე ე. დანელია ახასიათებს ბახტაძეს და ამბობს: ისეთი აყალ-მაყალი იყო ბახტაძის ბინაზე, რომ ჩვენ—ოჯახის ქალები მათი შიშით გარედ ვერ გამოვდიოდითო. ბახტაძესთან ბევრი ქალები დადიოდა. ამბობდნენ დანიშნულია, დანიშნულია; ყველა მასზე დანიშნული როგორ იქნებოდა“.

საჯ. ბრალმდ: ეხლა როგორია მდგომარეობა?

მოწმე: ბახტაძის წასვლის შემდეგ მთელ კვარტალში სრული სიწყნარეა. მოვისვენეთ, ჩვენ მშვიდობიან ცხოვრებას არავინ არღვევს.

საჯ. ბრალმდებელი: რას იტყვით ვაჩეიშვილის ყოფა-ცხოვრებაზე?

მოწმე: ვაჩეიშვილის არა თუ რაიმე ცუდი საქციელი არ გვინახავს, არც არაფერი ცუდი გაგვიგონია.

შემდეგ მოწ. ელ. დანელია, რომელიც თავდასხმის უშუალო მნახველია, ასე აგვიწერს ამ ამბავს:

უცნობის მოსვლის დროს (ბრეგაძეს გულისხმობს) ჩემი ბავშვით აივანზე ვიდექით. უცნობმა ვაჩეიშვილი ოთახში შეიწვია. მე ყურადღება არ მიმიქცევია. ცოტა ხნის შემდეგ მომესმა ბავშვის ყვირილი: შალიკოს კლავენო. მივიხედე, ოთახის კარებთან იბრძოდა ვაჩეიშვილი და უცნობი. ორივე რევოლვერს ებღაუჭებოდნენ გაფითრებულნი იყვნენ. მე ვცადე გაშველება. რევოლვერზე ორივეს ხელი მაგრად ჰქონდა ჩაკიდებული. ჩემის მხრით რევოლვერის მათი ხელებიდან გამოგლეჯა შეუძლებელი იყო; 5—7 წუთის ბრძოლის შემდეგ ვაჩეიშვილმა რევოლვერი წაართვა უცნობს და გაიქცა. უცნობი კი შებრუნდა ვაჩეიშვილის ოთახში. შემდეგ გავიგე, რომ ეს უცნობი ბახტაძის ნათესავი იყო, რომ ის მოუგზავნია ბახტაძეს. ეს სარწმუნო იყო, რადგან ბახტაძეს რამდენიმეჯერ უთქვამს: ათი წელიწადი რომ დავჯდე, ვაჩეიშვილს სამაგიერო უნდა გადავუხადოო.

ინ. გელოვანი

მოქ. ინდიკო გელოვანი ერთი იმ მილიციელთაგანია, რომელმაც დაპატიმრებული ბრეგაძე რაიონის კომისარიატში მიაცილა. მოწმე გელოვანი აცხადებს, რომ გზაზე ლაპარაკის დროს და აგრეთვე თვით შემთხვევის ადგილას მან შეიტყო, რომ ბრეგაძე თავს დასხმია ვაჩეიშვილს მისი დეიდაშვილის საწინააღმდეგო წერილის დაწერისათვის. ამავე მოწმის გადმოცემით, გზაზე და კომისარიატის შენობაში ვიღაც უცნობი ეხვეწებოდა ყვანიას შეერიგებია ვაჩეიშვილი ბრეგაძესთან და გაენთავისუფლებია ეს უკანასკნელი, მაგრამ ყვანია არ დასთანხმდა, თვითონ ბრეგაძე მეხვეწებოდა,—ამბობს გელოვანი,—ნუ მიშვები ამ საქმეს, რაიონის კომისარიატში ნუ მიგყავარო, (ბრეგაძე უმჯობესად სცნობდა წაეყვანათ სისხლის სამართლის მილიციაში, სადაც თითონ მსახურობდა და სადაც ძმა-ბიჭურად შესძლებდა ამ უსიამოვნო ისტორიიდან თავის დახწევას).

საჯ. ბრალმდ.: ბრეგაძე რომ სხვა მოქალაქე ყოფილიყო, გაუშვებდით?

მოწმე: რასაკვირველია არა.

საჯ. ბრალმდ.: კანონიერად მიგაჩნიათ თუ არა ლეიბმანის მიერ ბრეგაძის განთავისუფლება?

მოწმე: არა, არ არის კანონიერი.

ამხ. ს. მეგრელიშვილი

ამხ. ს. მეგრელიშვილი სასამართლოს აცნობს ბახტაძის სამსახურიდან მოხსნის ისტორიას. რედაქციებს წესად აქვთ შემოღებული რომელიმე პასუხისმგებელ ამხანაგებზე მისულ წერილის შინაარსი წინასწარ აცნობონ მ. გ. ინსპექციის პარტკოლეგიას, რასაკვირველია, ავტორის ვინაობის გამოუმჟღავნებლად. ამავე წესით ჩვენ წერილი მივიღეთ ბახტაძეზე, რომელიც ჩვენთან არ მსახურობდა. მე გამოვარკვიე, რომ იგი საქმის მწარმოებლად მუშაობდა ს.-ქ. მ. გ. ინსპექციის პარტკოლეგიაში. დავიბარე, გავაცანი წერილის შინაარსი, მან განმიცხადა, ვიცი ვინც არის მაგ წერილის დამწერიო. წერილში წაყენებული ბრალდება დადასტურდა. მე დავსვი საკითხი ბახტაძის მოხსნის შესახებ, თვით ბახტაძეს ამის შესახებ არავითარი განცხადება არ მოუცია და არც იყო საჭირო. მეორე დღეს ჩვენთან გამოცხადდა ვაჩეიშვილი, რომელმაც გვაცნობა, რომ მასზე, როგორც მუშკორზე. მოახდინეს თავდასხმა,—ბახტაძის საწინააღმდეგო წერილის დაწერა მე დამაბრალესო—განაცხადა მან. მე გავეცი განკარგულება დაეპატიმრებიათ ბახტაძე და ბრეგაძე. ბახტაძემ მთხოვა, რომ ცოტა ხნით მედროვებიაო: საქმეები მაქვს ჩასაბარებელიო, (და არა ფული, როგორც განაცხადა დაკითხვის დროს ბახტაძემ).

საჯ. ბრალმდ.: იცოდით თუ არა, თქვენ რედაქციიდან წერილის მიღებამდე, ბახტაძის ბოროტმოქმედება?

მოწმე: არ ვიცოდი. მის მოხსნას საფუძვლად დაედვა მხოლოდ და მხოლოდ რედაქციიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია.

საჯ. ბრალმდებელი: ფიქრობდით თუ არა, რომ ბახტაძე არ იყო პარტიის წევრი.

მოწმე: მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ის პარტიის წევრი იყო.

საჯ. ბრალმდ.: შესაძლებელია თუ არა სხვა მოქალაქეებსაც ეფიქრათ, რომ ბახტაძე პარტიის წევრია.

მოწმე: რასაკვირველია.

ამით დამთავრდა 13 იანვრის დილის სხდომა.

შემდეგ სასამართლომ ადგილობრივ დაათვალიერა ის ადგილი, სადაც თავდასხმა მოხდა.

13 იანვრის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომა იხსნება ისევ მელითონეთა კლუბის დარბაზში საღამოს სრულ 7 საათზე. გრძელდება მოწმეთა დაკითხვა.

მოწმეები „მკლავებმეების“ წინააღმდეგ

მეტად საყურადღებო ჩვენებას იძლევა კომკავშირელი სტუდენტი პლატონ გადელია, რომლის ყოველ სიტყვაში გამოსჭვივის გულწრფელი და სამართლიანი გულისწყრომა თავაწყვეტილ ხულიგნების—ბახტაძის და ბრეგაძის სხვადასხვა უმსგავსობათა გამო.

— ბახტაძეს ვიცნობ, როგორც ტიპიურ ხულიგანს, ლაპარაკობს მოწმე გადელია. საკმარისია მას თვალში არ დაუჯდეს ვინმე, რომ ცხვირ-პირი დაუსისხლიანოს მან. ლოთობა, დებოში, ცემა-ტყეპა, როსკიპ ქალებთან ჩხუბი, აზარტული თამაში—აი რა ახასიათებს ბახტაძეს. მოწმე ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ უდანაშაულოდ მიბეგვა იგი ბახტაძემ.

28 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე, ლაპარაკობს მოწმე, მთვრალი ბახტაძე ამოდის აივანზე და დაეძებს ვაჩეიშვილს. ვაჩეიშვილი ვერსად ნახა, გამოეშურა ჩემსკენ სიტყვებით, „შენ ალბად ვაჩეიშვილის ამხანაგი ხარო“, შემომაგინა და გამარტყა, შემომახია ტანზე ხალათი. მას თან ახლდა თავისი ძმა მიხეილ ბახტაძე, რომელსაც დაჭერილი ვყავდი. იქვე ამოშიშვლებული რევოლვერით იდგა ბახტაძის ამხანაგი, რომელიც იძახოდა: „ხელი არ გააძრიო, თორემ გაგათავებთ“.

შეატყობინეთ თუ არა მილიციას იმის შესახებ, რომ თქვენ გცემეს?—ეკითხებიან მოწმეს.

მოწმე: ბახტაძეს ყოველგან თავისი გაჰქონდა. ყველას აშინებდა თავისი „დიდკაცობით“, ამიტომ ზედმეტად ვსცანი მილიციაში განცხადება. სამაგიეროთ მივმართე მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

მოწმე გაბედავა (წითელი მეთაური) ახასიათებს ბახტაძეს, როგორც ჩვენი დროის „მკლავაძეს“, რომელსაც სახახელოდ მიაჩნია ვინმეს მიბეგვა და ადამიანის დამცირება.

ბახტაძე ისეთ უზნეო ცხოვრებას ეწეოდა ბინაზე, ლაპარაკობს მოწმე გაბედავა, რომ ერთხელ იგი იძულებული გახდა მილიციელი მიეყვანა ბახტაძის ასალაგმავად.

— რაზედ ასტეხა ჩხუბი ბახტაძემ?—ეკითხებიან მოწმეს.

მოწმე ლაპარაკობს, რომ ჩხუბი ნარდის თამაშის ნიადაგზე აუტეხა ბახტაძემ ვიღაც მოქალაქეს.

მოწმე გაბედავა ეხება აგრეთვე მუშკორ ვაჩეიშვილზე თავდასხმის ამბავს და მდგომარეობას ისევე აგწერს, როგორც სხვა დამსწრე მოწმეები.

მოწმე თათუშა ცოტაძის ქალი ადასტურებს სასამართლოში იმ ფაქტს, რომ თავდასხმის მეორე დღეს დილით ერთად ენახათ ბახტაძეს და ბრეგაძეს და შუაში ეწვათ ვიღაც ქალი.

მოწმე მელაძე: სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე ამხ მელაძე აცხადებს, რომ ლეიბმანს არავითარი უფლება არ ჰქონდა არ დაეპატიმრებია ბრეგაძე, როცა ის [illegible] განიარაღებული მიუყვანეს მორიგეობის დროს. მოწმე ლაპარაკობს აგრეთვე, რომ საჭირო არ იყო მის დაბრუნებამდე დაცდა. ლეიბმანს დაუყოვნებლივ შეეძლო ოქმის შედგენა და საქმისათვის სათანადო მსვლელობის მიცემა.

დაკითხულ იქნენ აგრეთვე მოწმეები ნ. კახიანი, ნიკოლაიშვილი, ტ. ყვანიას მეუღლე, რომლებიც თავის ჩვენებით ამაგრებენ ბრალდებას.

მოწმების დაკითხვის დასასრულს, ბრალდებული ბახტაძე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა გამოწვეულ იქნეს მოწმე ქურიძე, რომელიც თუ ბრალდებულს დაუჯერებთ, მას დადებითად დაახასიათებს.

ჯერ კი არც ერთ მოწმეს არც ერთი სიტყვა არ უთქვამს ბრალდებულთა სასარგებლოდ.

სასამართლო აკმაყოფილებს ბრალდებულ ბახტაძის შუამდგომლობას.

შემდეგ სხდომაზე დაკითხულ იქნება დამატებით გამოწვეული მოწმე ქურიძე, რის შემდეგ დაიწყება მხარეთა კამათი.

ა. ბახტაძე გაძევებულია კომკავშირის რიგებიდან

საქ კომკავშირის ცეკას დადგენილება

მიმდინარე წლის 14 იანვარს შესდგა საქართველოს კომკავშირის ცეკას სამდივნოს სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი მუშკორის მდევნელ კომკავშირელის არქ. ბახტაძის შესახებ და დაადგინა: ა. ბახტაძე გამორიცხულ იქნას კომკავშირის რიგებიდან უკან მიღების უფლების აღკვეთით.

შორს ბახტაძეები ჩვენგან

პროლეტარულ სასამართლოს წინაშე, ბრალდებულთა სკამზე, სხედან მუშკორზე თავდამსხმელები, მათ შორის კომკავშირელის ქურქში გახვეული ხულიგანი და ბანდიტი „ძველი კომკავშირელი“ არქიპო ბახტაძე რომელიც ფიქრობს, რომ მას თითქოს პასუხისმგებლობისაგან საქართველოს ლენინური კომკავშირის წევრობა იხსნის.

შეიძლება საქართველოს ლენინურ კომკავშირში იყვნენ შემომძვრალი არქიპო ბახტაძეებისთანა გმირები, მაგრამ თვითეული კომკავშირელის და პატიოსანი მოქალაქის მოვალეობას შეადგენს მათი საჯაროთ გამომჟღავნება, რომ ამ გზით გავწმინდოთ ორგანიზაცია მავნე ელემენტებისაგან.

დღეს, როდესაც კომკავშირი ატარებს მოსამზადებელ მუშაობას სოციალურად უცხო ელემენტებისაგან გაწმენდისათვის, ამ დროს ჩვენ ნათლად ვხედავთ ზოგიერთ „კომკავშირელის“ ხულიგნურ და ბანდიტურ გამოსვლებს, რომლებიც თავიანთ მოქმედებით სახელს უტეხენ ლენინურ კომკავშირს.

როგორც ვთქვით, ერთ-ერთ ასეთ ხულიგანთაგანს წარმოადგენს არქიპო ბახტაძე, რომელიც დღეს ბრალდებულთა სკამზე ზის. იგი გამორიცხულია კომკავშირის რიგებიდან შემოსვლის უფლების აღკვეთით. დღეის შემდეგ იგი ვეღარ გაბედავს ატაროს კომკავშირელის სახელი. პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ დაისჯება როგორც ბანდიტი და ხულიგანი, ვერც ერთი დამცველი ვერ დაიცავს მას, როგორც კომკავშირელს და მოქალაქეს. დღეის შემდეგ იგი რევოლიუციონურ ახალგაზრდების რიგებს აღარ ეკუთვნის.

ალი.

მუშკორის მდევნელები სასტიკად უნდა დაისაჯონ

სიკვდილი მუშკორთა მდევნელებს

26 კომუნარის სახელობის მექანიკური სახელოსნოს პროფაქტივმა მოისმინა რა ამხ. მეშველიანის მოხსენება მუშკორ ვაჩეიშვილზე თავდასხმის შესახებ, გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

26 კომუნარის სახელობის მექანიკური სახელოსნოს მუშები გამოვსთქვამთ რა უდიდეს აღშფოთებას მუშკორ ვაჩეიშვილზე თავდასხმის გამო, რომელიც მოახდინეს საზოგადოების ნაძირალებმა ბრეგაძის და ბახტაძის სახით, პროლეტარულ სასამართლოსაგან მოვითხოვთ მუშკორთა მოძრაობის ხელისშემშლელთა სასტიკ დასჯას სოციალური დაცვის უმაღლესი ზომის გამოყენებით.

გაუმარჯოს გაბედულ, მუშკორულ კრიტიკას.

სიკვდილი მუშა-კორესპონდენტების მდევნელთ.

—:—

ბახტაძე და ბრეგაძე სასტიკად უნდა დაისაჯონ

სახალხო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების კედლის გაზეთ „ლენინის გზა“-ს სარედაქციო კოლეგია მუშკორებთან ერთად აღნიშნავს, რომ უპასუხისმგებლო პირების, ბახტაძის და ბრეგაძის ვერაგული მოქმედება, რაც გამოიხატა მათ მიერ მუშკორ ვაჩეიშვილზე თავდასხმაში, ვერ შეანელებს მუშკორთა საერთო ბრძოლას ბახტაძეებისა და ბრეგაძეების ასალაგმავად და იმ მახინჯ მოვლენების აღმოსაფხვრელად, რაც ხელს უშლის საბჭოთა სისტემის განმტკიცებას.

კედლის გაზეთ „ლენინის ხმა“-ს სარედაქციო კოლეგია და მისი მუშკორთა აქტივი აცხადებს რა პროტესტს ასეთი მოქმედების წინააღმდეგ, მოითხოვს, რათა მოქ. ბახტაძე და ბრეგაძე საბჭოთა კანონების მიხედვით სასტიკად დაისაჯონ.

—:—

დეპეშა სამტრედიის მუშკორებისაგან

სამტრედიის მუშკორთა კრებამ მოისმინა მოხსენება გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორ ვაჩეიშვილზე შეიარაღებულ თავდასხმის შესახებ. კრება აღნიშნავს, რომ მოქ. ბახტაძე და ბრეგაძის მოქმედება მიმართულია იმ ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელიც მედგრად სდგას საბჭოთა მშენებლობის სადარაჯოზე და ყოველმხრივ ხელს უწყობს მის წინსვლას. კრება დიდ აღშფოთებას გამოსთქვამს ბახტაძისა და ბრეგაძის მოქმედების გამო და მოითხოვს თავდამსხმელების სასტიკად დასჯას.

სამტრედიის რკინის გზელ მუშკორთა ორგანიზაციის მინდობილობით ქვანტალიანი.

სასამართლოს მორიგი სხდომა შესდგება დღეს ტრამვაის მუშათა კლუბში (მუშტაიდის მახლობლად) საღამოს სრულ ხუთ საათზე.

დღევანდელ სხდომაზე დაიწყება მხარეთა კამათი.

საღამო, რომელიც დღეს უნდა შემდგარიყო ტრამვაის მუშათა კლუბში, გადადებულია 17 იანვრისათვის.

საბჭოების საანგარიშო კამპანია

თბ. საბჭო ანგარიშს აბარებს ამომრჩევლებს

მოუსმინეთ საბჭოს ანგარიში

11 იანვარს შესდგა ნავთლუღის საქ. ხიდურში ჯგუფკომში შემავალ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ, მოხსენებით გამოვიდა ამხ. ა. ანთიძე. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსულმა მუშებმა აღნიშნავდნენ მთელ რიგ მიღწევებს საბჭოს მუშაობაში და მიუთითებდენ აგრეთვე ნაკლზეც. მოკამათენი უმთავრესად შეეხენ საბინაო მშენებლობას, წყალსადენის მუშაობას, სინათლეს, სწავლა-განათლების საქმეს, მოძრაობის მოწესრიგებას და სხვ.

კრებამ თბილისის საბჭოს საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და მომავალი საბჭოს მუშაობისათვის პრაქტიკული წინადადებების შემუშავება დაავალა საარჩევნო კომისიას.

ახალი წინადადებები საბჭოს მუშაობის გასაცხოველებლად

14 იანვარს გრუზგოსტორგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ამხ. არეშიძემ გააკეთა მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ათზე მეტმა ამხანაგმა. ორატორები ერთხმად და კმაყოფილებით აღნიშნავდენ თბ. საბჭოს მიღწევებს, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავდენ საბჭოს მუშაობაში შემჩნეულ დეფექტებსაც.

ამომრჩევლები მოითხოვდნენ, რათა მეტი ყურადღება მიექცეს დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეს.

მოითხოვდენ აგრეთვე სასკოლო ქსელის გაფართოებას, გეგმიან საბინაო მშენებლობას, ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგებას და სხვა.

დასასრულ კრებამ მოიწონა საბჭოს მუშაობა და შეიმუშავა ღონისძიებები მომავალი საბჭოს ნაკაზში შესატანად.

რას უნდა მივაქციოთ მეტი ყურადღება

10 იანვარს სახელმწიფო ბანკის კლუბში შესდგა თბილისში არსებულ ყველა ბანკების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენება საბჭოს მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. დუმბაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა თბილისის საბჭოს მუშაობაში აღნიშნული მიღწევები და ნაკლოვანებანი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო დამსწრეთა უმრავლესობამ, რომლებიც უმთავრესად აღნიშნავდენ შემდეგს: საბჭო სათანადო კონტროლს არ უწევდა საბინაო მშენებლობის საქმეს, ახლად აშენებული სახლები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი სასწავლო ოთახებით, რის გამო წესდება სხვადასხვა ჯგუფების მორიგეობა. მასწავლებლები ბევრ სკოლებში დატვირთულნი არიან მუშაობით, ტრამვაის ვაგონები იმდენად იტვირთება მგზავრებით, რომ შესაძლებელია მალე გაფუჭდეს. ქალაქის განაპირა უბნებში აბანოები არ მოიპოვება; მთელ რიგ დაწესებულებებში, როგორიცაა თელასი, უჭსი, სასამართლო და სხვ. ბიუროკრატიზმი თითქმის პირვანდელ მდგომარეობაში იმყოფება. ზოგიერთი აფთიაქები ვერ ასწრებენ წამლის დამზადებას, ზოგში კი წამლის მიღება ყოველგვარ რიგს გარეშე შეიძლება. ამიტომ საჭიროა იმ აფთიაქების რიცხვის გადიდება.

კამათის დასრულების და ამხ. დუმბაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ, მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლითაც კრებამ თბილისის საბჭოს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

საანგარიშო კამპანია თბილისის მაზრაში

საანგარიშო კამპანია უკვე ჩატარდა თბ. მაზრის შემდეგ თემებში:

დუშეთის თემში. დუშეთის თემში საანგარიშო კამპანია ჩატარდა ხუთ პუნქტზე. ხუთივე პუნქტზე ამომრჩევლების რიცხვი უდრის 748. აქედან კრებებზე გამოცხადდა 455, მათ შორის ქალები 139. ამომრჩეველთა საერთო აქტიობა უდრის 70 პროცენტს. საანგარიშო მოხსენებები გააკეთეს თემის საბჭოს წევრებმა. მოხსენებების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 44 ამომრჩეველმა, მათ შორის ხუთმა ქალმა. კამპანიის დროს ამომრჩევლები შეეხენ გზების გაყვანის საქმეს, თვითდაბეგვრის გატარებას, საბჭოს წევრების შერჩევას, კულტგანმანათლებელ მუშაობის სისუსტეს, სკოლისათვის შენობის აგების საჭიროებას, მიწადმოწყობას და სხვ. საერთოდ ხუთივე პუნქტზე კრებები ჩატარებულ იქნა ხალი თვითკრიტიკის ნიშან ქვეშ და ღარიბ გლეხთა დიდი აქტიობით.

თელეთის თემში. საანგარიშო კრებები მოეწყო თელეთის თემის ოთხ პუნქტზე. ოთხივე პუნქტზე ამრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენს 1101. კრებებზე გამოცხადდა 664 მათ შორის 484 კაცი (72 პროც.) და 180 ქალი 26,9 პროც.) კრებებზე საანგარიშო მოხსენებები გააკეთეს ადგილობრივ თემ-აღმასკომის თავმჯდომარემ და წევრებმა, აგრეთვე თბილისის აღმასკომის წარმომადგენლებმა. მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში ამომრჩევლები უმთავრესად ეხებოდნენ კოოპერატივის გახსნის საჭიროებას, საკრედიტო ამხანაგობის დაარსებას, მიწის მოწყობას და სხვ. კამათში მონაწილეობა მიიღო 18 კაცმა. ოთხივე პუნქტზე კრებები დიდის წარმატებით იქნა ჩატარებული.

სართიჭალის თემში. სართიჭალის თემში საანგარიშო კრებები შესდგა 4 პუნქტზე; ამრჩეველთა რიცხვი უდრის 1959. აქედან კრებებზე გამოცხადდა 983 კაცი. მათ შორის 801 მამაკაცი (81,4 პროც.), და 182 ქალი (18,5 პროც.). საერთო დასწრება უდრის 50,2 პროც. დამსწრეთა რიცხვის სიმცირე, კერძოდ ქალების კრებებზე ნაკლები რაოდენობით მონაწილეობა გამოიწვია ცუდმა ამინდმა. მოხსენებების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი, ორატორები შეეხენ საბჭოს მუშაობას და მის ნაკლს კულტურულ საგანმანათლებლო დარგში, გლეხკომების, კოლექტივების და საკრედიტო ამხანაგობების მუშაობას, საგზაო მშენებლობას, მიწად მოწყობას და სხვ. გარდა ამისა ამომრჩევლები მოითხოვდნენ აგროდახმარების გაძლიერებას, სკოლების გახსნას, სარწყავ არხის გაყვანას და სხვ. კამათში სულ მონაწილეობა მიიღო 38 კაცმა.

ყარაიას თემში. საანგარიშო კრებები ყარაიას თემში მოწვეული იქნა 5 პუნქტზე. ამრჩეველთა საერთო რაოდენობა უდრის — 2.760 კაცს. კრებებზე გამოცხადდა 1.423 ამრჩეველი, მათ შორის 1037 კაცი (87,6 პროც.) და 386 ქალი (18,9 პროც.).

ანგარიში ჩააბარეს თემსაბჭოს წევრებმა. კამათში მონაწილეობა მიიღო 50 ამრჩეველმა, რომლებიც შეეხენ განათლების, მიწად-მოწყობის, კოოპერაციის, თვითდაბეგვრის, კოლექტიურ მეურნეობის და სახოფლო-სამეურნეო გადასახადის საქმეს და სხვ.

არც ერთ თემში ანტისაბჭოთა ხასიათის გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია. ზოგიერთ პუნქტებში შემჩნეული იქნა, რომ კულაკები ფარულად ცდილობენ ჩაშალონ საანგარიშო კრებები, რისთვისაც თავიანთ მეზობლებს ურჩევდენ არ წასულიყვნენ კრებაზე და სხვ. თავის დროზე მიღებული ზომებით მათი განზრახვა ჩაფუშული იქნა თვით ღარიბების გლეხების მიერ.

ამრიგად, ოთხივე თემში საანგარიშო კამპანია შედარებით შარშანდელთან დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

ასურეთის თემში. საანგარიშო კამპანია ასურეთის თემში დაიწყო ამა წლის 5 იანვრიდან. დღემდე საანგარიშო კამპანია ჩატარებული იქნა 8 პუნქტზე.

ყველა პუნქტებზე ითვლება—1607 ამომრჩეველი, მათ შორის—920 კაცი და 787 ქალი. საერთოდ საანგარიშო კრებაზე დაესწრო 888 (52 პროც.) ამომრჩეველი, აქედან 76 პროც. კაცები და 20 პროც. ქალები. ღარიბების გლეხობის თითქმის მთელი 100 პროც. ესწრება საანგარიშო კრებებს და შესამჩნევ აქტიობას იჩენს. ღარიბი გლეხობიდან თვითეულ პუნქტზე საშუალოდ კამათში მონაწილეობას ღებულობდა 20—25 გლეხი.

ერთ პუნქტზე გამოვიდა ერთი გლეხი, რომელმაც კულაკის ჩაგონებით განაცხადა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ მომწონს იმის გამო, რომ მდიდარი ხალხი მას არ უყვარსო; ამაზე საპასუხოდ გამოვიდა 5 ღარიბესი გლეხი, რომლებმაც სათანადოთ შეაფასეს მისი სიტყვები და გამოააშკარავეს ის ფაქტი, რომ იგი მოსყიდული იყო კულაკისაგან.

ალბულაღის თემში. საანგარიშო კრება ჩატარდა ორ პუნქტზე—სოფ. ჩხვიტაში და ალბულაღში. ჩხვიტაშის პუნქტზე—ამომრჩეველი არის 123, კრებაზე გამოცხადდა 55 კაცი (86 პროც.), ქალი—20 (33 პროც.). საერთო დასწრება უდრის 62 პროც.

თემსაბჭოს ანგარიშის გარშემო შემოტანილი იყო 19 შეკითხვა. კამათში მონაწილეობა მიიღო 17 კაცმა, აქედან 13 ღარიბებმა გლეხმა და 2 ქალმა, წელს ამ პუნქტზე აქტიობა შესამჩნევად გაიზარდა განსაკუთრებით ღარიბ გლეხობაში.

ალბულაღის პუნქტზე ირიცხება 459 ამომრჩეველი, საანგარიშო კრებას დაესწრო 200 46 პროც.), აქედან 99 კაცი, 101 ქალი კრება გაგრძელდა 4 საათი. შეკითხვები შემოვიდა 35. კამათში მონაწილეობა მიიღო 30 კაცმა.

საკონკურსო კომისიის სხდომა

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ დაადგინა საარჩევნო კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებაზე გამოაცხადოს კონკურსი რისთვისაც დაარსა საკონკურსო კომისია.

გუშინ ამხ. ფარო ჟაფარიძის თავმჯდომარეობით შესდგა ამ კომისიის პირველი სხდომა, რომელზედაც კონკურსის მნიშვნელობაზე და მისი ტექნიკურად ჩატარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მ. ქვირიკაშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით მაზრებზე, ქალაქებსა და ავტონომიურ ერთეულებს შორის საარჩევნო კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებაზე მოეწყობა კონკურსი. ასეთივე კონკურსი მოეწყობა თემებს, რაიონებს, წარმოებებსა და დაწესებულებებს შორის.

იმ მაზრას, ან ავტონომიურ ერთეულს, რომელიც საუკეთესოდ ჩაატარებს საარჩევნო კამპანიას, ჯილდოთ მიეცემა გრძელვადიანი სესხი და გაუდიდდება ბიუჯეტი საგზაო მშენებლობისათვის და მაზრაში ჯანმრთელობის საქმის გასაუმჯობესებლად.

დაჯილდოებულ ქალაქში კი სახელმწიფო ხარჯზე გაიხსნება ახალი სამკითხველოები, კულტურული ორგანიზაციები და სხვ.

ადგილობრივ, როგორც თემებს, ისე წარმოება-დაწესებულებებს შორის კონკურსის ჩატარება ევალებათ სამაზრო საარჩევნო კომისიებს. მათვე ევალებათ გამოყონ შესაფერი ჯილდოები საარჩევნო კამპანიის საუკეთესოთ ჩამტარებელ თემის, ან წარმოების დასაჯილდოებლად.

კომისიამ გამოიმუშავა ღონისძიებები კონკურსის ჩასატარებლად.

ნაკლი უნდა გამოსწორდეს

საგურამოს თემი, თბ. მაზრა

საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა საგურამოს თემში ძალზე მოიკოჭლებს. თემის საარჩევნო კომისიაში არ არიან ჩაბმული აქტიური გლეხები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებას და მოსახლეობის ასი პროცენტით ჩაბმას ამ კამპანიაში. მთელ მუშაობას საარჩევნო კამპანიაში აწარმოებს რამდენიმე პირი, რომლებიც ოდნავადაც ვერ ასრულებენ და ვერ ატარებენ ცხოვრებაში ხელისუფლების დირექტივებს საბჭოთა არჩევნების შესახებ.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საბჭოთა საანგარიშო კრებებს გლეხობა ძალიან ნაკლებად ესწრება. განსაკუთრებით ღარიბი გლეხობა სრულიად არ არის წინასწარ მომზადებული იმისათვის, რომ დაესწრონ საანგარიშო კრებებს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ თემის საბჭოს მუშაობის შეფასებაში. გარდა ამისა, არც გლეხებმა და არც თვით საბჭოს დეპუტატებმა რომლებმაც გლეხობას უნდა ჩააბარონ თავიანთი მუშაობის ანგარიში, არ იციან როდის და სად არის დანიშნული საბჭოს საანგარიშო კრება.

მაგალითად, 6 იანვარს, სოფ. წინამძღვარიანთკარში შესდგა ამავე სოფლის და სოფ. გალავანის გლეხთა საანგარიშო კრება. კრებას, საარჩევნო უფლების მქონე 848 კაციდან დაესწრო მხოლოდ 69 კაცი და 5 ქალი, სულ 74. კრებაზე დასმული იყო ორი საკითხი: თბილისის მაზრის საბჭოს მუშაობა და თემსაბჭოს ანგარიში. პირველ საკითხზე მოხსენებამ გასტანა 3 საათზე მეტი. ამასთან მოხსენება იმდენად მძიმედ და გაუგებარი იყო, რომ გლეხობამ ვერაფერი გამოიტანა მისგან. მომხსენებელი ხშირად ხმარობდა მაგალითად შემდეგ სიტყვებს: „ინდივიდუალური“, „აგრო პუნქტი“, „კოლოგრამი“ და სხვა ასეთებს. ასეთ გაუგებარ სიტყვებით თავმობეზრებულმა ბევრმა გლეხმა მიატოვა საანგარიშო კრება და ბოლოს მივიღეთ ის, რომ თემსაბჭოს მუშაობის შეფასებაში 74 კაციდან მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 32 კაცმა. ამგვარად, 843 ამომრჩეველში თემსაბჭოს მუშაობას გაეცნო 32 კაცი. რა ფასი აქვს ასეთ საარჩევნო კრებას?

გარდა ამისა საანგარიშო კრებებს უმთავრესად საშუალო გლეხობა ესწრება. სოფ. ბიწმენდის საანგარიშო კრებას არც ერთი ღარიბი გლეხი არ დასწრებია. აქედან ნათლად სჩანს ის გარემოება, რომ თემის საარჩევნო კომისიას ღარიბ გლეხობაში არავითარი წინასწარი მუშაობა არ უწარმოებია. ასეთივე მდგომარეობაა თემის კომკავშირის ორგანიზაციაშიც. კომკავშირი სრულიად არ არის მომზადებული საანგარიშო კრებისათვის, ამიტომ ღარიბ გლეხობასთან ერთად კომკავშირელებიც ნაკლებად ესწრებიან კრებას.

საგურამოს თემის საარჩევნო კომისიამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას, კომისიამ მუშაობაში უნდა ჩააბას ღარიბ გლეხობისა და კომკავშირის აქტივი, რათა საანგარიშო კამპანიის დროს დაშვებული შეცდომები არ განმეორდეს საბჭოთა არჩევნების დროსაც.

გ. ნ.

როგორ მიმდინარეობს საანგარიშო კამპანია

(შორაპნის მაზრა)

საბჭოების საარჩევნო კამპანიის მოსამზადებელი მუშაობა მაზრაში ჭიათურის სამრეწველო რაიონის გამოკლებით დასრულდა გასული წლის 30 დეკემბრისათვის.

საანგარიშო კამპანია დაიწყო 1-ლ იანვრიდან. საბჭოების ანგარიში მოისმინილია კომუჯრედებში და ღარიბ გლეხთა სათემო კრებებზე.

მიღებულ ცნობებით: 16 თემში ანგარიშის ჩაბარება მიმდინარეობს უბნებში. აღნიშნული თემები შეიცავს 197 საანგარიშო უბანს.

საანგარიშო კამპანია საერთოდ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

არგვეთის თემში 14 საანგ. უბნიდან საანგარიშო კრებები ჩატარდა 10 უბანში.

ძირეთის თემში 14 უბნიდან ანგარიში ჩაბარებულია 7 უბანში.

კორბოულის თემში: ყველა უბნებში ჩატარებულია საანგარიშო კრებები გარდა ერთისა.

ბორითის თემში: 13 იანვარს დასრულდა უბნებში ანგარიშის ჩაბარება.

კიცხის თემში: 20 უბნიდან ანგარიში ჩაბარებულია 16 უბანში.

საბჭოების ანგარიში ტარდება ფართო თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ—დასწრების პროც. 70-დან—80 პროცენტს აღემატება. ღარიბ გლეხთა აქტივობა საკმაოდ დიდია. მაგ. კიცხის თემში ღარიბები კულაკებისა და თავად-აზნაურების მიმართ სასტიკად ილაშქრებდნენ და ამხელდნენ მათ მოქმედებებს.

ზოგიერთ უბნებში საანგარიშო კრებები უამინდობის გამო ვერ შესდგა. ქალთა დასწრება შედარებით ძალზე გაზრდილია, გარდა ბორითის თემისა, სადაც დასწრება სუსტი იყო.

მერევის, ჭალის და ხრეითის თემებში ანგარიშების ჩაბარება უბნებში ჯერ არ დაწყებულა.

მაზრაში მივლინებული მუშაკები უკვე მუშაობენ ადგილებზე—ასევე გამოიყო ადგილობრივად 6 მუშა, (ჭიათურიდან—2, ზესტაფონიდან—2 და შორაპნიდან—2), რომლებიც გაემგზავრენ თემებში.

საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობა-მონაწილეობა შესაფერისადაა დაყენებული და დამაკმაყოფილებელია.

გ. პ.

საანგარიშო კამპანია სენაკის მაზრაში

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

10 იანვრიდან დაიწყო საანგარიშო კამპანია სენაკის მაზრაში. მიუხედავად ცუდი ამინდებისა, მუშაობა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. ამომრჩეველთა დასწრება საანგარიშო კრებებზე უდრის 50—60 პროცენტს. ამინდის გამოკეთებისთანავე დამსწრეთა რიცხვი საგრძნობლად გადიდდება.

არჩევნების საუკეთესოდ ჩატარების მიზნით თემებს შორის ეწყობა შეჯიბრება. ბანძის თემმა გამოიწვია აბაშის თემი იწვევენ თემებს აგრეთვე ზუგდიდის მაზრიდანაც.

მოხსენებების ირგვლივ დიდი აქტივობაა. ფართო თვითკრიტიკით სწარმოებს წარსულ მუშაობის შეფასება. მიღებულია ყოველგვარი ზომები მუშაობაში დაშვებული სუსტი მხარეების გამოსასწორებლად. მაზრის ყველა ორგანიზაციების მიერ თემებში მივლინებულია პასუხისმგებელი ამხანაგები მუშაობის სახელმძღვანელოდ.

ჩუქირიძე.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

პოლონეთის პასუხი.—რადიკალები და სოციალისტები პუანკარეს სამსახურში.—დაუესის გეგმა და ამერიკა.—სამხედრო დიქტატურა სამხრეთ-სლავიაში.—მდგომარეობა ავღანისტანში

ორი კვირის შემდეგ, როგორც იქნა, პოლონეთმა გამოგზავნა პასუხი საბჭოთა წინადადებაზე, რომელიც მოითხოვდა ე. წ. კელოგის ხელშეკრულების ძალაში შეყვანას ორივე მხარის ურთიერთობაში. ეს დაგვიანება ერთის მხრივ აიხსნება იმით, რომ პოლონეთი საგარეო პოლიტიკაში დამოკიდებულია თავისი „მაღალი მფარველებისაგან“. ხოლო მეორე მხრით იმ უხერხული მდგომარეობით, რომელიც საბჭოთა მთავრობის ნაბიჯმა შექმნა პოლონელ (და სხვა ქვეყნების) იმპერიალისტებისათვის. მათ წინაშე ძნელი ამოცანა იდგა: მშვიდობიანობის მოყვარულთა ნიღაბის შენარჩუნება და ამავე დროს უარყოფა საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო წინადადებისა, ისიც იმ წინადადების, რომელიც იმპერიალისტურ სახელმწიფოების მიერ ხელმოწერილ პაქტს ემყარება.

განუწყვეტელი მოლაპარაკების შემდეგ, რომელსაც ვარშავა აწარმოებდა პარიზსა, ლონდონსა და ბუქარესტთან, მათი აზრით თითქო გამონახულ იქნა სათანადო ფორმულა ამ მიზნის მისაღწევად. პასუხში ვკითხულობთ: „პოლონეთის მთავრობა პრინციპიალურად მომხრეა მიიღოს წინადადება, მაგრამ..“ ძაღლის თავი სწორედ ამ „მაგრამ“-ში მარხია. „პრინციპიალურ“ თანხმობას დართული აქვს იმდენი შენიშვნები, რომელნიც მას ყოველგვარ ღირებულებას უკარგავენ და გვიჩვენებენ, რომ პოლონეთის მთავრობას არ სურს ჩვენთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება და რომ მისი პოლიტიკა მუქარას წარმოადგენს მშვიდობიანობისათვის აღმოსავლეთ ევროპაში.

პოლონეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ მისი „მშვიდობიანი პოლიტიკა ყველა მეზობლის, მაშასადამე, საბჭოთა კავშირის მიმართაც უდავო ფაქტია“-ო. სინამდვილე სულ წინააღმდეგს გვეუბნება. სახელდობრ იმას, რომ პოლონელი იმპერიალისტები ნიადაგს ამზადებენ ჩვენზე გამოლაშქრებისათვის და ამავე დროს ცდილობენ ლიტვის დაპყრობას. და ამის შემდეგ სავსებით თვალთმაქცურია პოლონეთის მმართველთა „გაოცება“ რომ საბჭოთა მთავრობამ პირველ ყოვლისა მას მიმართა ხსენებული წინადადებით. ჩვენი ასეთი ნაბიჯი სავსებით გასაგებია პოლონეთის იმპერიალისტების ამ აგრესიულ ზრახვების გამო და იმიტომაც, რომ პოლონეთს კელოგის პაქტზე ხელი აქვს მოწერილი.

ერთ-ერთ საბუთად, რომლის გამო პოლონეთი შეუძლებლად სთვლის ჩვენი წინადადების მიღებას, საპასუხო ნოტა ასახელებს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა მთავრობას არ მოუწვევია რუმინეთი და ბალტიის მხარის სახელმწიფოები (გარდა ლიტვისა) ეს ყურით მოთრეული „საბუთია“ ჩვენი წინადადების უარყოფის გასამართლებლად (პოლონეთის „პრინციპიალური თანხმობა“ ხომ არსებითად უარის თქმას უდრის). ჯერ ერთი, ეს სახელმწიფოები (გარდა ლიტვისა) არც კი შეერთებიან კელოგის პაქტს და, მაშასადამე—საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო მათთვის წინადადება მიეცა ამ პაქტის ძალაში შეყვანის შესახებ. შემდეგ: საბჭოთა მთავრობას ცალკე და გარკვევით ჰქონდა აღნიშნული, რომ მის მიერ წარმოდგენილ ოქმს შეუძლია შეუერთდეს ყოველი ქვეყანა.

აქ, ცხადია, იგულისხმებოდნენ რუმინეთი და ბალტიის სახელმწიფოებიც. თავის თავადაც უცნაურია, რომ ხსენებულ ქვეყნებზე პოლონეთი „მზრუნველობას“ იჩენს. განა, სხვათა შორის, ესეც არ მოწმობს, რომ იგი თავის მეთაურობით ლამობს მათგან შექმნას ანტისაბჭოთა ბლოკი.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ საბჭოთა წინადადება თურმე „პოლონეთის მთავრობისათვის წარმოადგენს გულმოდგინე შესწავლის საგანს“ და რომ იგი „თავის მოვალეობად სთვლის უშუალოდ მიმართოს ამ (დაინტერესებულ) სახელმწიფოებს და გამოარკვიოს მათი აზრი თქვენი წინადადების შესახებ პარიზის აქტზე ხელმოწერიდან ოთხ თვე ნახევარმა განვლო, ხოლო ჩვენს წინადადებას ორი კვირის განმავლობაში იხილავდენ პოლონეთი და მისი მოკავშირენი თუ „ხაზეინები“. ნუ თუ ეს დრო საკმარისი და საკმარისზე მეტიც არ იყო იმ მარტივ საკითხზე საბოლოო დასკვნის გამოსატანად, შევიდეს თუ არა ძალაში ეს პაქტი. ცხადია, რომ ესაა მხოლოდ საქმის გაჭიანურების და იმპერიალისტების მხრით ნამდვილი ზრახვების დაფარვის ცდა.

ასეთ აზრს ვერ გააბათილებს პოლონეთის „პრინციპიალური თანხმობა“. იგი ვერ შესძლებს იმის მიფუჩეჩებას რომ კაპიტალისტური ქვეყნები მშვიდობიანობაზე კი არ ფიქრობენ, არამედ ომზე და რომ ერთად ერთი საბჭოთა მთავრობა სდგას მშვიდობიანობის სადარაჯოზე. ამხ. ლიტვინოვის პასუხი, რომელიც ამსხვრევს პოლონეთის მთავრობის „საბუთების“ ხუხულას, ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს.

***

საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ ხმების შედარებითი უმრავლესობით (317—253-ის წინააღმდეგ) პუანკარეს მთავრობას ნდობა გამოუცხადა. როგორც თავის დროზე გვქონდა აღნიშნული, პუანკარემ ამას წინად ჩამოაგდო ლაპარაკი თავის გადადგომის შესახებ. ეს მხოლოდ მანევრი იყო თავის მდგომარეობის განსამტკიცებლად. მართალია, მან ამ მხრივ ვერ მიაღწია იმას, რომ ოფიციალურად (რამდენადაც საქმე კენჭის ყრის შედეგს ეხება) მიემხრო გაბუტული რადიკალები, მაგრამ ის მაინც შესძლო, რომ პალატაში 64 ხმის უმრავლესობა შეაგროვა.

ამავე დროს მას იმედი აქვს,—და არა უსაფუძვლოდ,—რომ კრიტიკულ მომენტში რადიკალების მეტი ნაწილი, თუ ყველა არა, მის წინ წამოიჩოქებს. აბა განსაჯეთ: მათ წარმომადგენელმა თავის პარტიის სახელით პუანკარეს „ულრმესი პატივისცემა“ გამოუცხადა, მაშინ როცა მათ მის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ამით რადიკალებს სურთ აღნიშნონ, რომ ისინი შესაძლებლად სცნობენ თვითონ „მემარცხენე“ პუანკარესთან თანამშრომლობას, მაგრამ ამას ხელს უშლიან ის უკიდურესი მემარჯვენე მინისტრები, რომელნიც მასზე გავლენას ახდენენ და თითქო მისი სურვილის წინააღმდეგ აშკარა რეაქციონურ პოლიტიკას ატარებენ. რა თქმა უნდა, არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება უთანხმოებაზე პუანკარესა და მის ზოგიერთ კოლეგებ შორის. პუანკარეს „მემარცხენეობაც“ ხომ სასაცილოა. მაგრამ რადიკალებს ასეთი ვერსია ესაჭიროებათ ნიადაგის მოსამზადებლად, რომ დაიბრუნონ წინანდელი მდგომარეობა, ე. ი. შევიდნენ პუანკარეს კაბინეტში, თუ მოსახლეობის თვალში ძალზე გაბახებული რამოდენიმე მინისტრი გადაყენებული იქნება. მაგრამ პუანკარე ამაზე ჯერ ჯერობით არ წავიდა: მან. მემარჯვენენი (უფრო მემარჯვენენი, ვიდრე პუანკარე?) არჩია რადიკალებს, ვინაიდან იგი დარწმუნებულია, რომ უკანასკნელნი ფაქტიურად მის ნებისყოფას დაემორჩილებიან.

ამავე დროს რადიკალები იმის წინააღმდეგ არ იქნებოდენ, რომ სოციალისტებთან ერთად შეედგინათ „მემარცხენე მთავრობა“ და რომ აღდგენილი ყოფილიყო წინანდელი „მემარცხენე“ ბლოკის მსგავსი რამ. მაგრამ ეს მოუხერხებელია თემთა პალატაში ეხლა არსებულ ძალთა განწყობილების დროს. ამასთან, ასეთი მთავრობა, როგორც წინანდელმა გამოცდილებამაც დაგვანახა, არსებითად ისევ მსხვილი კაპიტალის ნებისყოფის გამტარებელი იქნებოდა.

რადიკალების მაგალითზე მჭერმეტყველურად სჩანს, რომ წვრილ ბურჟუაზიის პარტიას თავისი ხაზი არ მოეპოვება და ის მხოლოდ მსხვილი კაპიტალისტურ ჯგუფების მაჩანჩალაა. ამას სრულებით არ ეწინააღმდეგება რადიკალების ეხლანდელი „ოპოზიციონერობა“. ის ნაკარნახევია მათ მიმდევართა შორის უკმაყოფილების ზრდით, რასაც საფუძვლად უდევს წვრილ ბურჟუაზიის მასის ზედმეტი დაბეგვრა. სამხედრო ხარჯების არაჩვეულებრივი ზრდა, სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების კანონის გაუქმებისაგან გადადგმული ნაბიჯი და სხვ. პუანკარეს მთავრობის ასეთ პოლიტიკას რადიკალები იძულებული არიან სიტყვიერად მაინც მხარი არ დაუჭირონ, რომ შეინარჩუნონ თავის ამომრჩეველთა ნდობა. მაგრამ თავის ნამდვილ ვინაობას, ცხადია, ისინი ვერ დაფარავენ ასეთი გამჭვირვალე მანევრით.

გაცილებით უფრო საძაგელია როლი „სოციალისტების“, რომელთაც თავი ჯერ კიდევ მოაქვთ მუშათა კლასის წარმომადგენლებად. ისინი „ვერ ამჩნევენ“ საფრანგეთის იმპერიალიზმის მტაცებლობას და ომებს კოლონიებში, ხოლო საჭიროდ სცნობენ ილაპარაკონ „დაჩაგრულ“ უკრაინისა და საქართველოს შესახებ, რომ ამით გაუადვილონ პუანკარეს ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ამ პროვოკაციულ გამოსვლაზე შეჩერება. მით უმეტეს, რომ ამხ. კაშენმა ჯეროვანი პასუხი გასცა რენოდელებს, იმპერიალიზმის ამ აგენტებს; მან შეუბრალებლად ამხილა მათი გამცემლობა და იმპერიალიზმის ზრახვები და საქმენი. ამავე დროს ამხ. კაშენმა სწორად დაახასიათა საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს ხალხთა უფლებებს და ქმნის ყველა პირობებს მათი ძმური თანამშრომლობისა და დაუბრკოლებელი განვითარებისათვის.

***

პუანკარემ კამათის დროს დეპუტატთა პალატაში განაცხადა: „ამჟამად მთავრობის კრიზისი იქნებოდა სერიოზული უხერხულობა, მაგრამ ამ ბოროტების გამოსწორება შესაძლებელია, მაშინ როდესაც რამოდენიმე კვირის მერე მთავრობის კრიზისი გამოიწვევდა გაცილებით უფრო სარიოზულ შედეგებს“-ო. მას აქ მხედველობაში აქვს გერმანიასთან მოლაპარაკება: თუ ამ მოლაპარაკების დაწყებისას გართულდებოდა საფრანგეთის შინაური მდგომარეობა მთავრობის კრიზისის სახით, ეს ზიანს მიაყენებდა საფრანგეთის იმპერიალიზმის ინტერესებს.

ხსენებული მოლაპარაკება უახლოეს მომავალში დაიწყება. სარეპარაციო კომისიამ (და არა მთავრობებმა) უკვე გამოჰყო „დამოუკიდებელი“ ექსპერტები რეპარაციების საკითხის და დაუესის გეგმის გადასასინჯავად. მოსალოდნელია თუ არა რეპარაციების აუტანელი ტვირთის შემსუბუქება გერმანიისათვის? ამაზე, სხვათა შორის პასუხს გვაძლევს რეპარაციების გენერალურ აგენტის, ამერიკელ პარკერ გილბერტის მორიგი წლიური ანგარიშიც ამ ანგარიშში იგი აღნიშნავს, რომ გერმანიის მეურნეობა აყვავებას განიცდის და ამ ქვეყანას არ გაუძნელდება ყოველ წლიურად 2½ მილიარდი მარკა იხადოსო (დაუესის გეგმის თანახმად, 1928—29 წლიდან გერმანიას ყოველ წლის ამდენი ფულის გაღება ევალება რეპარაციების ანგარიშში).

როგორც ეტყობა, სარეპარაციო ჯამის მნიშვნელოვან შემცირებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ამ მხრივ თითქო მიღწეულია იგივეობა საფრანგეთსა და ამერიკას შორის. საფრანგეთი, როგორც ვიცით, იმდენს მოითხოვს გერმანიისაგან, რამდენიც მას ეყოფა ამერიკას ვალების გასასტუმრებლად და ომის დროს დანგრეულ ოლქების აღსადგენად. გილბერტის ანგარიში ამტკიცებს პუანკარეს პოზიციას ამ საკითხში.

გასაგებია, რომ გერმანიის „მეგობარ“ ამერიკის წარმომადგენლის გილბერტის ხსენებულმა გამოსვლამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გერმანიაში. ეს მით უფრო, რომ მისი დახასიათება გერმანიის მეურნეობისა სრულებით არ არის სწორი. საქმე ის არის, რომ მეურნეობის „აყვავება“ იქ არ აიხსნება მისი შინაგანი მიზეზებით, არამედ ხელოვნური ხასიათისაა და ემყარება უცხოეთიდან აღებულ ვალებს. გერმანიის საერთო დავალიანება სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების მიმართ შეადგენს კოლოსალურ ციფრს—აღწევს 52-დან 61 მილიარდ მარკამდე. აქედან მარტო სარეპარაციო ვალდებულებები შეადგენენ 30—40 მილიარდ მარკას. გერმანია არსებითად წარმოადგენს უცხოეთის კაპიტალის კოლონიას. ამოდენა ვალების და მათი პროცენტების გასტუმრება სულ უფრო მძიმე მდგომარეობას ქმნის გერმანიისათვის. თავის თავად, საკუთარი რესურსებით მას რომ არ შეუძლია რეპარაციების განზრახული რაოდენობით გადახდა, ეს არ არის საეჭვო. ამავე დროს გილბერტი, რა თქმა უნდა, ანგარიშს არ უწევს, რომ, მიუხედავად მეურნეობის აღორძინებისა, გერმანიაში 2 მილიონზე მეტი უმუშევარია და რომ მუშები მეტად დაბალ ხელფასს ღებულობენ. ასეთი მდგომარეობა აიხსნება რაციონალიზაციით და მუშების უსაზღვრო ექსპლოატაციით, რასაც გერმანელი კაპიტალისტები მიმართავენ როგორც თავის ჯიბეების გასასქელებლად, ისე უცხოეთის ვალების დასაფარავად. ამასთან, სახელმწიფო ამავე მიზნით აძლიერებს გადასახადებს, რომლებიც მეტ წილად მშრომელ მასებს აწევს, და ამცირებს მოსახლეობის სოციალურ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

რით აიხსნება გილბერტის აღნიშნული ნაბიჯი? როგორც ვსთქვით, არსებობს შეთანხმება· ერთი მხრით ამერიკასა და მეორე მხრით საფრანგეთსა და ინგლის შორის დაუესის გეგმის გადასინჯვის საკითხში. გერმანიამ საფრანგეთსა და ინგლისს უნდა მისცეს თავის რკინის გზებით და მრეწველობით უზრუნველყოფილი ობლიგაციები. ამ ობლიგაციებში მან წლიურად უნდა იხადოს დაახლოებით 2 ნახევარი მილიარდი მარკა. ამერიკა ასეთ კომბინაციით პირველ ყოვლისა იმიტომაა დაინტერესებული, რომ აქციების უმრავლესობის გაყიდვა უნდა მოხდეს ნიუ-იორკში. ამნაირად, ამერიკის კაპიტალი დაეუფლება გერმანიის მეურნეობას. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ამერიკისა და ინგლის-საფრანგეთის ბლოკის წინააღმდეგობათა შენელებას: ამერიკის მძლავრად შეჭრა გერმანიის ეკონომიკაში, პირიქით, გააღრმავებს ამ წინააღმდეგობას. ამით არც რეპარაციების პრობლემა გადაიჭრება არსებითად.: თავის ვალების გასასტუმრებლად გერმანიას მოუხდება უკიდურესობამდე გაადიდოს ექსპორტი, რაც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების საგარეო ბაზრების შეზღუდვას გამოიწვევს; ამას კი ისინი, ცხადია, ვერ შეურიგდებიან. ამ წინააღმდეგობათა ზრდასთან ერთად უფრო გაძლიერდება გერმანიის მშრომელთა ექსპლოატაცია, რასაც კლასობრივ ბრძოლის შემდგომი გამწვავება მოყვება.

***

საბოლოოდ გამორკვეულია, რომ სამხედრო გადატრიალება სამხრეთ-სლავიაში მოხდა საფრანგეთის და ინგლისის მთავრობათა დასტურით. ცოტა წინედ სამხრეთ-სლავიის მეფის გამგზავრება პარიზში, საფრანგეთის ბელგრადელ ელჩის დაახლოვება სამხრეთ-სლავიის სამხედრო წრეებთან და სხვა ამ მხრივ არავითარ ეჭვს არ სტოვებს. გასაოცარიც იქნებოდა, რომ სამხრეთ-სლავიის მმართველთ ასეთი ნაბიჯი გადაედგათ თავისი ნამდვილი ბატონების თანხმობის და კარნახის გარეშე. ამგვარად, ძველ პარლამენტარულ ქვეყანათა მთავრობები პარლამენტარიზმის (რამდენადაც ამაზე ლაპარაკი შეიძლება სამხრეთ-სლავიაში გადატრიალებამდე არსებულ წყობილების შესახებ) მესაფლავეთა როლში გამოდიან. ეს ის ხალხია, რომელიც პარლამენტარიზმზე და დემოკრატიაზე თვალთმაქცურად მჩეს ფიცულობს· მაგრამ ასეთი მოქმედების წინაშე როგორ შეჩერდებოდენ პუანკარე - ჩემბერლენები, რომელნიც თავის სახელმწიფოებში მართველობის ფაშისტურ მეთოდებს ამეფებენ მით უმეტეს, რომ სამხედრო დიქტატურის გამოცხადება სამხრეთ-სლავიაში მათ აუცილებლად მიაჩნიათ თავის იმპერიალისტურ მიზნებისათვის.

საქმე ის არის, რომ სამხრეთ-სლავიას ღრღნის გამწვავებული ნაციონალური ბრძოლა; ამ ქვეყანაში მოქცევია მრავალი ხალხი, რომელთა ბურჟუაზიის ინტერესები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან. ეს ბრძოლა აუძლურებს სამხრეთ-სლავიის სახელმწიფოს და გამოუსადეგრად ხდის მის გამოყენებას იარაღად საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტური ზრახვების გატარებისათვის, რომლებიც პირველ ყოვლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული. მათ გადასწყვიტეს სერბელ ბურჟუაზიის და მემამულეთა დიქტატურის დამყარება და ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის ძალით ჩახშობა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს გზა ხელს ვერ შეუწყობს სამხრეთ-სლავიის მთლიანობის განმტკიცებას და მის გაძლიერებას, პირიქით—ამას მხოლოდ საწინააღმდეგო შედეგები შეიძლება მოყვეს.

საყურადღებოა, რომ ოპოზიციის ლიდერები გადატრიალებაზე პირველ ხანებში, ერთგვარად იმედს ამყარებდნენ: მოსალოდნელია დევნილ ეროვნებათა მდგომარეობის გაუმჯობესებაო. ეს ცხადია, იყო თავის მოტყუება, ამ დიქტატურის ხელისუფლების გულის მოგების ცდა, რაც იარაღის დაყრას ნიშნავს. ოპოზიციონურ ორგანიზაციების დაშლამ და მათ წინააღმდეგ მიმართულმა რეპრესიებმა ყველას დაანახვა (თუ არსებობდა ისე გულუბრყვილო და ბრმა ვინმე, ვისაც ეს ესაჭიროება) გადატრიალების ნამდვილი აზრი. მასებისათვის საქმეთა ვითარება სავსებით გარკვეულია და ისინი აქედან შესაფერ დასკვნას გამოიყვანენ, ე. ი. გააძლიერებენ ბრძოლას თავისუფლებისათვის.

გარდა იმისა, რომ მომხდარი გადატრიალება უფრო გამოუთხრის ძირს სამხრეთ-სლავიის მთლიანობას, იგი ამავე დროს ვერ განამტკიცებს მის საგარეო მდგომარეობასაც. სამხრეთ-სლავია, მისი შინაური გართულების პირობებში, უფრო, ვიდრე დღემდე შეიქნება იტალიის და საფრანგეთის იმპერიალიზმის შეხლა-შემოხლის ასპარეზად.

***

ავღანისტანში მდგომარეობა უკანასკნელ დღეებში არსებითად შეიცვალა· როგორც ვიცით, ფადიშახის მთავრობა ამარცხებდა აჯანყებულებს. მაგრამ მას საბოლოო ანგარიშით ძალა არ ეყო ამხედრებული ფეოდალურ - კლერიკალური რეაქცია ჩაეხშობია. აქ პირველ ყოვლისა აშკარად მოსჩანს ინგლისის იმპერიალიზმის ხელი. ლონდონმა, რომელიც იმთავითვე ასულდგმულებდა აჯანყებას და მის გამარჯვებაზე დიდ იმედებს ამყარებდა ავღანისტანის დამონების და ანტისაბჭოთა გეგმების განხორციელების საქმეში, ყოველგვარი ზომა იხმარა, რომ ძალზე შერყეულ აჯანყებულთათვის უფრო გაემაგრებია ზურგი.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ფადიშახის მთავრობას თავისი მდგომარეობა არ ჰქონდა შინ საკმაოდ განმტკიცებული· სავაჭრო ბურჟუაზია და ინტელიგენცია, რომელთაც იგი ემყარებოდა, სუსტი და შეუკავშირებელი აღმოჩნდა. ჯარიც მას მცირე ყავდა. მთავარი კი ის არის, რომ მან რეფორმების გატარება ისე დაიწყო, რომ ხელუხლებლად დასტოვა მემამულეთა ეკონომიური ბატონობა· ყველაფერ ამან გადასწყვიტა აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლის ბედი.

ფადიშახი იძულებული შეიქნა აჯანყებულთა მიმართ სერიოზულ დათმობებზე წასულიყო. ისინი შეიცავენ ყოფა-ცხოვრების და კულტურის დარგში მომხდენილ ცვლილებათა მთელი რიგის უარყოფას, როგორიცაა გაუქმება ჩადრის მოხსნის აკრძალვისა, ვაჟთა და ქალთა ერთად სწავლებისა, ევროპიულ ტანისამოსის შემოღებისა და სხ.

ამავე დროს მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკური ხასიათის დათმობები: უმაღლეს სამღვდელოების და ფეოდალების წარმომადგენლებისაგან არსდება „სენატი“, რომლის სანქციის გარეშე რაიმე საგულისხმო სახელმწიფოებრივი ღონისძიება არ შეიძლება გატარდეს; ცალკე ტომთა მეთაურებს უფლება ენიჭებათ თავისი შეიარაღებული რაზმები იყოლიონ და სხ.

ასეთ კომპრომისის საფუძველზე ხდება რეაქციის და პროგრესიულ ძალების დროებითი „შეთანხმება“. ვამბობთ დროებითი, ვინაიდან შეუძლებელია ხანგრძლივად ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება. ავღანისტანის ბურჟუაზია, რომელიც ეხლა იდგამს ფეხს, თავის განვითარების პროცესში აუცილებლად უნდა დაეტაკოს საშუალო საუკუნოების ჯგუფებს და წყობილებას, რომელნიც მას გზას ულობავენ. მაგრამ ეხლანდელმა მწარე გაკვეთილმა ქვეყნის პროგრესიული ნაწილი უნდა დაარწმუნოს, რომ ფეოდალიზმის დამარცხება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ მას თავისი სიძლიერის საფუძველი გამოეცლება, თუ პირველ ყოვლისა აგრარულ ურთიერთობაში მოხდება რადიკალური გარდატეხა გლეხთა სასარგებლოდ.

ბ. კ—ლი.

ჭიათურა

კულტგანმანათლებელი მუშაობა მუშებში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის შავი ქვის წარმოების მთავრობის ხელში გადმოსვლასთან დაკავშირებით ადგილობრივი პროფკავშირები ენერგიულად შეუდგნენ ქარხანა-მაღაროების მუშებს შორის კულტურულ განმანათლებელ მუშაობის წარმოებას. ამჟამად ჭიათურის ქარხანა-მაღაროებთან გახსნილია 11 სამკითხველო და 8 ბიბლიოთეკა, რომლებშიაც მოიპოვება მუშებისათვის საჭირო ლიტერატურა. წერა-კითხვის მცოდნე მუშების 90-ს პროც. გამოწერილი აქვთ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები.

მთელ სამრეწველო რაიონში არსებობს ორი მუშათა კლუბი. ცენტრალური მუშათა კლუბი და ყოფ. „კარუტოს" მუშათა კლუბი. ცენ. მუშათა კლუბს მრავალი ღირსშესანიშნავი მიღწევები აქვს, მაგრამ აქვს აგრეთვე ნაკლიც, რაც უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ კლუბი მთლიანად ვერ ამართლებს თავის იდეოლოგიურ მხარეს და ხშირად იტვირთება თეატრალური მუშაობით, მიუხედავად იმისა, რომ ამ კლუბთან 11 სხვადასხვა წრე არსებობს, საერთოდ საკლუბო მუშაობა ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. წრეებში ძალზე სუსტათ მიმდინარეობს მუშაობა. მთავარი ყურადღება აქ ექცევა სასცენო საქმეს.

რაც შეეხება ყოფ. „კარუტოს" მუშათა კლუბს, იგი გაცილებით უკეთ ემსახურება თავის მიზანს, ვიდრე ცენტ. მუშათა კლუბი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ კლუბის ირგვლივ მუშები ერთსულოვნად არიან დარაზმული და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ყოველგვარ მუშაობაში.

გარდა ამ ორი კლუბისა ჭიათურის სამთამადნო კავშირის რაიკომი ამ დღეებში გახსნის 2 ახალ კლუბს მღვიმევის და სვანიშვილის მაღაროების მუშებისათვის, ამ კლუბების გახსნა კავშირს უჯდება 8.500 მანეთი. გარდა ამისა ყველა ქარხანა-მაღაროებთან გახსნილია წერა-კითხვის არა მცოდნე და მცირე მცოდნეთა სალიკვიდაციო სკოლები, სადაც 250 მუშა სწავლობს. მუშების გასამხედროების საქმეც საგრძნობლად გამოცოცხლებულია; არსებობს სამხედრო წრეები და კუთხეები, სადაც მუშაობა სისტემატიურად მიმდინარეობს. ამ მუშაობის კიდევ მეტად გაცხოველების მიზნით, კავშირს განზრახული აქვს შვებულ წითელ-არმიელთა და მეთაურთა გამოყენება.

საერთოდ კულტურულ მუშაობის გაღრმავებას ხელს უშლის ძალების უყოლობა. კავშირს გადაწყვეტილი აქვს ახლო მომავალში შექმნას კულტურულ მომუშავეების კადრი სათანადო ხელფასის დანიშვნით.

სამთა-მადნო პ.-კავშირის რაიკომს განზრახული აქვს ჩამოაყალიბოს ფიზკულტურის წრეები, პერევისის მეჩხერის, საროკის ყოფ. სვანიშვილის და ყოფ. თოფურიძე ანჯაფარიძის სამუშაოთა მუშების. განზრახულია აგრეთვე ახალ სამუშაოებთან დაკავშირებით დამატებით გაიხსნას წერა-კითხვის მცირემცოდნე და უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები. კავშირის გადაუდებელ ამოცანას შეადგენს სამკითხველო-ბიბლიოთეკების გამგეების მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსების მოწყობა, მოეწყობა აგრეთვე წიგნის მეგობართა წრეები და იურიდიულ რჩევა-დარიგებათა ბიუროები.

სამთა-მადნო პ.-კავშირის რაიკომი ხელშეკრულებას სდებს სახკინმრეწვთან ჭიათურის კლუბებისათვის კინო-სურათების სისტემატიურად გაგზავნის შესახებ.

კ. ღვალაძე.

ჭიათურის ქრონიკა

ხის მასალის დამზადება

ჭიათურის შავი ქვის ტრესტი ხის მასალის დამზადება მაღაროების გასამაგრებლად შეუდგა საჩხერის ტყეებში.

მასალის დამზადებაზე ამჟმად დაბანდებულია ორასამდე კაცი.

ახალი კლუბები

სამთა-მადნო კავშირის ჭიათურის რაიკომი შეუდგა მუშათა კლუბების აგება-მოწყობას მღვიმევში და რგანში. კლუბების მოწყობა რაიკომს უჯდება 8.000 მანეთი.

კინო მაღაროებში

ამჟამად ჭიათურის მაღაროებთან მუშაობს 4 კინო-აპარატი.

მუშაობის გაფართოებასთან ერთად მოკლე ხანში კინოების რიცხვიც გადიდებულ იქნება.

მუშკორთა ექსკურსია

მოეწყო ჭიათურის მუშკორთა ექსკურსია ქუთაისში.

მუშკორებმა დაათვალიერეს ქალაქი. გაეცნენ დაწვრილებით მუშაობის მიმდინარეობას რიონჰესზე.

ექსკურსიაში მიიღო მონაწილეობა 22 კაცმა, ექსკურსიამ გასტანა 2 დღე.

შეფობა

ჭიათურის თეატრის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა აიყვანოს შეფობის ქვეშ პერევისის მუშათა კლუბი.

გამოყოფილია საშეფო კომისია, რომელშიაც შედიან რეჟისორი კოტე ანდრონიკაშვილი, ბ. ლეჟავა და ო. გვინჩიძე.

ქურთ-ეზიდების კლუბის გახსნა

კვირას, 13 იანვარს გაიხსნა ქურთ-ეზიდების კლუბი (პლეხანოვის პრ., № 52), რომელიც პირველია საქართველოში.

საზეიმო სხდომა კლუბში გახსნა კომპარტიის თბილისის კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. აკიროვმა, რომელმაც დაახასიათა ეზიდების კულტურული ჩამორჩენილობის მიზეზები და აღნიშნა რომ ეზიდების ახალგაზრდობა და მშრომელი ელემენტები ვალდებული არიან მთელი ენერგიით დაეწაფონ კულტურას, მოსპონ თავიანთ შორის წერა-კითხვის და პოლიტიკური უცოდინარობა და ამ საქმეში ჩაბან ეზიდების მთელი ჩამორჩენილი ნაწილი, რათა მშრომელმა ეზიდებმა შესძლონ აქტიური მონაწილეობის მიღება სოციალისტურ მშენებლობაში.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, დაიწყო მისალმებები.

თბილისის პოლიტგანის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ხოსიანმა. მზიდავ მუშების სახელით ამხ. მურაზმა 26 კომუნარის სახელობის რაიკომის სახელით—ამხ. სააკიანმა, ტრანსპორტის მუშათა კავშირის სახელით—ამხ. სტეპანოვმა, ეროვნულ უმცირესობათა სახელით—ამხ. პიტოევმა, კომუნალურ მუშათა კავშირის სახელით სახელით—ამხ. ორმოცაძემ, ქალთა განყოფილების სახელით—ამხ. მატინიანმა კომკავშირის ცეკას სახელით—ამხ. ხერგეევმა, იზიდ ქალების სახელით—ამხ. ჩატუევამ და მირზოევამ და სხვ.

საზეიმო სხდომის შემდეგ, სომხურ ენაზე დადგმული იქნა სააგიტაციო პიესა „მეეზოვე".

ქრონიკა

ამხ. ა. ფანცულაიას დანიშვნა

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფსაბჭოს კულტ-განყოფილების გამგის მოადგილედ დანიშნა ამხ. აკაკი ფანცულაია.

გურიის ნავთის სამუშაოთა კონსულტაცია

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა გურიაში ნავთიანი ადგილების გამოსაკვლევ სამუშაოთა კონსულტაციისათვის მოწვეულ იქნეს სათანადო სპეციალისტი.

საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ჩატარებული იქნეს თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმება. საქ. პროფსაბჭოსთან გამოყოფილი იქნება კომისია, რომელშიაც შევლენ ს. მ. უ. ს. პროფსაბჭოს და მუშგლეხინის წარმომადგენლები. თვითეულ კავშირთან გამოყოფილი იქნებიან რწმუნებულები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ მუშაობას ადგილებზე. წარმოებებში გამოყოფილი იქნება შემოწმების ჩამტარებელი კომისიები.

შემოწმების დამთავრების შემდეგ პროფსაბჭო მოაწყობს კონკურსს. დაწესებული იქნება ჯილდოები როგორც საუკეთესო საწარმოო თათბირებისათვის, ისე საუკეთესო კორესპონდენციებისათვის.

ქალაქის კომენდატისაგან

ქალ. თბილისისა და მისი მიდამოების კომენდატი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ რომ 16 იანვარს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე მლაში ტბების რაიონში იწარმოებს საარტილერიო სროლა.

სხვადასხვა

◆ იურისკონსულტთა თათბირი. 15 იანვარს, საღ. 6 საათზე იუსტიციის სახ. კომისარიატში მოწვეულია იურისკონსულტებისა და კონსულტანტების თათბირი, რომელზედაც გარჩეული იქნება იურისკონსულტთა ბიუროს დაარსებასთან დაკავშირებული საკითხები.

◆ პროფ. ნუცუბიძის მოხსენება. ოთხშაბათს, 16 იანვარს ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში შესდგება პროფ. შ. ნუცუბიძის მოხსენება რელიგიისა და კულტურის შესახებ.

◆ თბილისის გარნიზონის აღლუმი. კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პარტიული კონფერენციის გახსნის გამო, გუშინ გაიმართა თბილისის გარნიზონის ნაწილთა აღლუმი. ჯარის ცხენოსანმა ნაწილებმა ცერემონიალური მარშით ჩაიარეს წითელი არმიისა და ფლოტის სახლთან სადაც მიმდინარეობდა კონფერენცია.

ჯარის ნაწილებს ესალმებოდენ კონფერენციის პრეზიდიუმის წევრები;

◆ ქუნთრუშას ეპიდემია. ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით, უკანასკნელი კვირის განმავლობაში ქუნთრუშას და ხუნაგის ეპიდემიას საგრძნობი შესუსტება იმჩნევა.

◆ ქუთაისის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება სთხოვს ყველას, ვისაც მოეპოება რაიმე ცნობები, მოგონებანი და საბუთები ქუთაისის 1-ლი საავადმყოფოს დამაარსებლის ექ. სამსონ თოთურიას შესახებ, გადმოგზავნონ ასეთი ა. წ. 10 თებერვლამდე ქუთაისში ექ. გ. ლოსაბერიძის სახელზე (რუსთაველის ქუჩის შესახვევი, 3).

◆ მოზარდ მაყურებელთა თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება პიესა „ალტაელი რობინზონები" პირველ აბონიმენტისათვის № 300-მდე. დასაწყისი საღ. 5 საათზე.

◆ დღეს თეატრებში. რუსთაველის თეატრში—„ლიანდაგი გუგუნებს" ოპერაში—„ფაუსტი" პიროგოვის მონაწილეობით.

ამიერ-კავკ. სას.-სამ. საკრედიტო სისტემის წარმომადგენელთა თათბირი

კვირას, 13 იანვარს, ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის შენობაში გაიხსნა ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის წარმომადგენელთა თათბირი.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: სისტემის საორგანიზაციო საკითხები, სისტემის ცალკე საფეხურების შორის ოპერატიულ-ფინანსიური ურთიერთ დამოკიდებულება, თანხების მობილიზაცია სისტემაში, ღარიბ გლეხობისა და სოციალისტური სექტორისათვის თანხების მიწოდება და მოხსენება 1928—29 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ.

ამხ. კ. ჩხენკელის მოხსენება

პირველ სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. კ. ჩხენკელის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა იმ ნაკლოვანებებზე, რომელთაც ადგილი აქვს სისტემაში. მიზეზები ამისა მრავალია, მაგრამ უმთავრეს ყურადღებას იქცევს მუშაკთა მოუმზადებლობა და სისტემის არსებული ორგანიზაციული ფორმები. ეს ფორმები ისეთი რთულია, რომ მათი დაძლევა ადგილობრივ მუშაკებს არ შეუძლიათ. ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკრედიტო ამხანაგობას დირექტივებს აძლევენ მრავალი ორგანიზაციები (კოოპერაცია, ბანკი, ფინსახკომი, მუშგლეხინი, მებამბეობის კომიტეტი, წყალთა მეურნეობის სამმართველო და სხვ.). ძირითად ქსელის მუშაკებმა არ იციან ვის დაუჯერონ. ბოლოს და ბოლოს, ისინი არავის არ უჯერებენ და მუშაობენ თავისებურად. ამის შედეგია მუშაობის ხაზის გამრუდება და დისციპლინის დაცემა.

მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება იმით, რომ ძირითადი ქსელი უნდა გადავიდეს წმინდა საკრედიტო-კოოპერატიულ საქმიანობაზე. ამასთანავე საჭიროა საკრედიტო ამხანაგობებს ხელმძღვანელობდეს ერთი ორგანიზაცია. მათ უნდა ხელმძღვანელობდენ ბანკები. საკრედიტო ამხანაგობებმა უნდა აწარმოონ მხოლოდ საკრედიტო ოპერაციები, ხოლო სამეურნეო, აგრიკულტურული და სხვა ოპერაციები უნდა გადაეცეს სასოფ.-სამეურნეო კოოპერაციას.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ვადა გადაცილებულ სესხებს და აღნიშნა, რომ ასეთი სესხების რაოდენობა ოთხ მილიონ მანეთს უდრის ამის მიზეზად ამხ. ჩხენკელი სთვლის ადგილობრივ მუშაკების საქმიანობის სისუსტეს.

მოხსენებამ გამოიწვია ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათი დამთავრდა საღამოს სხდომაზე. კამათში მონაწილეობა მიიღო 23 კაცმა.

ორშაბათს, 14 იანვარს, დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. ჩხენკელის საბოლოო სიტყვა და აირჩია 5 კაცისაგან შემდგარი კომისია—მოხსენების შესახებ რეზოლიუციის შესამუშავებლად.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის წევრის ამხ. ა. კარახანიანის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის ცალკე საფეხურთა შორის ოპერატიულ-ფინანსიური ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათის შემდეგ არჩეულ იქნა კომისია რეზოლიუციის შესამუშავებლად.

შემთხვევები

ხანძარი ზემო-ავჭალაში

გუშინ სოფ. ზემო-ავჭალიდან (მცხეთის სამილიციო უბანი) დაბრუნდა თბილისის სისხლის სამართლის მილიციის ინსპექტორი ა. ჯიქია, რომელმაც გამოარკვია ხანძარის გაჩენის მიზეზები. მან ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

11 იანვარს ღამით ხანძარი გაუჩნდა ადგილობრივი მცხოვრების სამსონ კაკაურიძის სახლს.

საღამოს 9 საათზე კაკაურიძე თავისი ცოლით სადგურში წავიდა. ბინაზე დასტოვა მძინარე ორი პატარა ბავშვი—მიხეილ (7 წლისა) და ვლადიმერ (4 წლისა). შემთხვევით მაგიდაზე დატოვებული ლამპა აფეთქდა და ცეცხლი წაეკიდა მაგიდას. ცეცხლი ადვილათ ვრცელდებოდა, რადგან შენობა ხის იყო. კაკაურიძე ღამის 12 საათზე დაბრუნდა სახლში, როცა ბინას მიუახლოვდა, მან შენიშნა ცეცხლი, შევარდა ბინაში, მაგრამ ბავშვები უკვე ცეცხლის ალში იყო გახვეული და მათი გადარჩენა შეუძლებელი შეიქნა.

სავსებით დაიწვა ორი ოთახი, ერთი სარდაფი და საოჯახო ავეჯეულობა.

ხანძარით გამოწვეული ზარალი 4.000 მანეთს უდრის.

ცეცხლის წაკიდება

შურისძიების მიზნით სოფ. მარტყოფში ბოროტგამზრახველებმა ცეცხლი წაუკიდეს მოქ. ვასო ემილაშვილის და გიორგი ჯერენაშვილის საბძელს, საბძელი დაიწვა. ძიება სწარმოებს.

აფერისტი

ამას წინად დომენტი ლედანისძე ყიფიანმა (41 წლისა) მოქ. მიხეილ პანამარიოვს და გაჯი ჯაბრაილოვს აფერისტული გზით გამოსტყუა 240 მანეთი და მიიმალა.

ამ დღეებში სისხლის სამართლის მილიციამ ყიფიანი დააპატიმრა.

როგორც გამოირკვა, ყიფიანს აქვს აფერისტობისა 9 რეგისტრაცია.

მძარცველების დაპატიმრება

ა. წლის 7 დეკემბერს სოფ. კულარის (ბორჩალოს მაზრა) ცხენთაშენის თანამშრომელი ბაირამ ნაგი-ოღლი, რომელიც სამსახურის საქმეებზე იყო ჩამოსული თბილისში სადგურის ქუჩაზე შემთხვევით გაიცნო ნინა გრიგოლის ასულ აბაშიძეს, რომელმაც იგი წაიყვანა ვერის ბაღში. ბაღში შესვლისთანავე აბაშიძის ქალმა მოქ. იოსებ გიგოლაძე მაისურაძის დახმარებით ჯერ სცემა ნაგი-ოღლის და შემდეგ გაძარცვა მოუნდომა. ნაგი-ოღლიმ ხელიდან გაუსხლტა მძარცველებს, გადავარდა მტკვარში და გასცურა მეორე მხარეს.

ბოროტმოქმედებმა მოახერხეს 20 მანეთის და ქუდის წართმევა მისთვის.

მომხდარი ამბის შესახებ ნაგი-ოღლიმ განაცხადა მილიციაში, ორთავე ბოროტმოქმედი დააპატიმრეს.

მძარცველები გამოტყდენ დანაშაულში.

გვამის პოვნა

პრესის ქ. 12, სახლის ეზოში იპოვნეს მამაკაცის გვამი. მკვდარის ვინაობა გამოურკვეველია. გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

დაჭრა

გუშინწინ ღამით — გუსეინ სადიმოვთან (მცხ. ნიკ. ბარათაშვილის ქ. 1,) სტუმრად მივიდა თამარ საბას ასული გიორგიევა (მცხ. კარლ მარქსის ქ., 2). ცოტა ხნის შემდეგ, სადიმოვს ესტუმრა გიორგიევას ყოფილი ქმარი—ივანე შახნაზაროვი (მცხ. კარლ მარქსის ქ.). წაეჩხუბა ყოფილ ცოლს და ჩხუბის დროს დანით დასჭრა: თამარა გიორგიევა მარიამ გაბრიელის ასული იბრაგიმოვა და გუსეინ სადიმოვი. დაჭრილებს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

— მეშწევანილეთა ბაზარზე ვიღაც ბოროტმოქმედმა დანით მძიმედ დასჭრა გიორგი პაპოსძე აკოფოვი (მცხ. ხიდისთავის პირველი ჩიხი, 6). დაჭრილი გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

ხანძარი რკინისგზელთა კლუბში

კვირას, 13 იანვარს, ნაშუადღევის პირველ საათზე ხანძარი გაუჩნდა ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რკინის გზელთა კლუბს.

ცეცხლი დაიწყო კლუბის სახურავიდან, საიდანაც შემდეგ გადავიდა ჭერზე. ცეცხლი ვრცელდებოდა მეტად ადვილად, რადგან შენობა ხისაა.

ხანძრის გაჩენის შესახებ საჩქაროდ ტელეფონით აცნობეს რკინის გზის სახანძრო რაზმს, ერთი რაზმი უძლური გამოდგა ცეცხლის სტიქიასთან ბრძოლაში. ამის გამო რკ. გზ. რაზმის მოსაშველებლად გამოვიდა პირველი და მეორე სახანძრო რაზმი.

ცეცხლი ჩააქრეს ერთ საათში.

ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ გამოირკვა რომ ნაწილობრივად დამწვარია შენობის ზემო სახურავი, დაზიანებული და ჩამონგრეულია რამოდენიმე ოთახის კედლები.

დაზიანდა აგრეთვე სათეატრო დარბაზიც. კლუბის ქონება დაწვისაგან გადაარჩინეს. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

როგორც გამოირკვა, ცეცხლი გაჩნდა საკვამლე მილის გაუწმენდაობის გამო.

შესდგა სპეციალური კომისია ხანძრისაგან გამოწვეულ ზარალის გამოსარკვევად.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება სთხოვს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს აუცილებლად გამოცხადდენ ამხ. ვარო ჯაფარიძესთან:

ბელიაევსკაია, მამულია, მგელაძე, ქუონია, ფოცხიშვილი, თალაკვაძე, საგერაშვილი, გალდავა, ჩარკვიანი და ჩერქეზიშვილი.

სახ. უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიური ფაკულტეტის პარტუჯრედის ბიუროს და ა.ლ.კ.კ. ორივე უჯრედის ბიუროების გაერთიანებული სხდომა შესდგება დღეს, ნაშუადღევის სრულ 1-ლ საათზე.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, შუადღის 12 საათზე შესდგება აგიტპროპთათბირი. თათბირზე უნდა გამოცხადდენ ყველა უჯრედების მდივნები და აგრეთვე შემდეგი ამხანაგები: მიხ. ჩიკვაიძე, შერმადინ სიხარულიძე, კონსტანტინე მეძველია, დიმიტრი ბებია, დავით კუმლაშვილი, ბაბო სახოკია, ტიოპა შიგრელიშვილი და ნინო მესხი.

დღეს, ნაშუადღევის 5 საათისათვის რკინის გზის მე-8 შრ. სკოლის შენობაში პლეხ. პრ. № 136) დანიშნულია 1-ლი რაიონის კომკავშირელ განათლების მუშაკთა უჯრედის კრება.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან არსებულ კომუჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე. სხდომა გაიხსნება ზოგად ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. №2).

ბიუროს წევრების დასწრება სავალდებულოა.

ოთხშაბათს, 16 იანვარს, საღამოს 6 საათზე და 80 წ. 26 სახელობის რაიკომი აწყობს დისპუტს, შემდეგ თემაზე: „მორალი და რელიგია". მოხსენებით გამოვა პროფ. ბოლოტნიკოვი. დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ ამხ. ადამიანი, გიდონი, შახოვი, გლადენკოვი, პარქარიანი და სხვ.

დისპუტზე დასასწრებათ მოწვეულნი არიან ურწმუნოთა აქტივი, განათლების მუშაკნი, მედმუშაკები, კომკავშირელები და რელიგიურ და სექტანტურ ორგანიზაციების წევრები.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 15 იანვარი

დღეს, 15 იანვარს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა რადიო-გაზეთი; მოხსენება—„10 წელი რ. ლიუქსემბურგის და კ. ლიბკნეხტის მოკვლიდან"; სომხური რადიო-გაზეთი, იურიდიული კონსულტაცია; რ. ლიუქსემბურგის მიძღვნილი და კ. ლიბკნეხტის [illegible] კონცერტი; [illegible] ინფორმაცია; ამინდის ბიულეტენი და 16 იანვრის პროგრამის გადმოცემა.

სუჯუნის თემის კომპარტიის და კომკავშირის ორგანიზაციები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 12 იანვარს გარდაიცვალა კომუნიზმისათვის მებრძოლი, სენაკის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე

ამხ. მამანტი მურზას ძე მიმინოშვილი

დაკრძალვა ოთხშაბათს, 16 იანვარს, ქ. სენაკში.

აბაშის თემის კ. პ. წევრები: ლეონტი თოდუა, სერგო გაბუნია, თედორე ჩოჩია, კ. ლიპარტია, ი. ჭანტურაია, ა. ტყებუჩავა, ნ. კაკარავა, დ. სიმონია, ა. გვაზავა, ტ. ქორჩილავა და ს. ჭანტურაია აუწყებენ ამხანაგებს გამობრძმედილი პარტიის ძვირფასი წევრის

ა ხ. მამანტი მიმინოშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

დასავლეთ საქართველოს [illegible] კოოპერატიული ამხანაგობა „ეჯოგე"-ს გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება „ეჯოგე"-ს საბჭოს წევრის

ამხ. მამანტი მიმინოშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

პარმენ და ანნა საბაშვილები—ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ძვირფასი

ამხ. მამანტი მიმინოშვილის

უდროოდ გარდაცვალებას ქ. სოხუმში 126

ღრმად დამწუხრებული მაძიდა ეკატერინე თეიმურაზის ასული ბიძა მასწავლებელი ალექსანდრე ვასილის ძე გორგაძე გულის ტკივილით აუწყებენ ნაცნობებს, ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი პირველის ძმისწული და მეორის შვილივით აღზრდილი

სერგო კლიმენტის ძე ებანოიძე

გამოსვენება მოხდება მარტის ქ. (ყოფ. ბოგოსლოვის) № 6 დღეს 15 იანვარს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ.

კლავდია თედორეს ასული ბოკატოვა, დიმიტრი და ელენე ჩიჯავაძეები, ბარბარე კობიაშვილი და ნინო გაბუნია აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 12 იანვარს ნავთლუღში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

იოსებ (სოსო) თეოფანეს ძე ჩიჯავაძე

დასაფლავება დღის ოთხ საათზე 129

მეუღლე ელაიია, შვილი ეთერი, მამა, სარდიონი და ძმა პეტრე ანთაძეები, დები ვერა, ლუბა და დეიდა ანა აუწყებენ საზოგადოებას, რომ სამშაბათს, 15 იანვარს 1 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ალექსანდრე სარდიონის ძე ანთაძეს

ხსოვნის აღსანიშნავად 1 6

მე-8-ე მთლიანი შრომის სკოლის ა. ლ. კ. კ. უჯრედი, ნ./ვ. კოლექტივი და მოსწავლეთა თვითმართველობა ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, ამავე სკოლის მასწავლებლის ალექსანდრე გორგაძის შვილის

სერგოს

უდროოდ გარდაცვალებას 132

რუსთაველის თეატრი

დღეს, 15 იანვარს საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენილი იქნება
ვ. კირშონის
„ლიანდაგი გუგუნებს"
დრამა 4 მოქმედებით და 9 სურათ. თარგმ. ალ. ბოკერიას
დადგმა შ. ალსაბაძის მხატვარი ირ. გამრეკელი.
ბილეთების ფასი ჩვეულებრივია დასაწყისი სრულ 8 საათზე

2—2 ნ. 2079

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი არფასტო სოლეი აპოლო	მეორე კვირა გრძელდება ორ სერიათ დღეს პირველი სერია ჯანყი რეჟისორი—ა. წუწუნავა. ოპერატორი—ა. დიღმელოვი. საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები.
პალასი	მეორე კვირა გრძელდება ზვავი ნინა ლის, პერესტიანის და პანოვის მონაწილეობით
მინიონი	მხატვრული სურათი კედელს იქით ბუჩმას, კოშევსკის და დიუსიმეტიერის მონაწ.
დარბაზი	უკანასკნელად თბილისში მისს-მენდ უკანასკნელი მე-3 სერია
პროლეტარი ავლაბარი	ამერიკელი ქალის თავგადასავალი 1 და 2 სერია ერთად

0—11

ცირკი
კოლოსი
ტელეფ. № 8—64

დღეს
მხოლოდ
ერთ
დღეს
განახლებული სანახაობა
ახალი გასტროლები
პროგრამა 3 განყოფილებათ
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე
ანონსი: ჩამოვიდა ეროსი გამოდის ხვალ

3—3 ნ. 2119

მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის
„საქართველოს კ.პ. (ბ)ც.კ.-სა და თბ.კ.-ს მოამბე"-ზე
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯელ ქართულ და რუსულ ენაზე
ჟურ. „საქ. კ.პ. (ბ)ც.კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე"

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს ხელმძღვანელი ორგანოა პარტაქტივისათვის: ეს ჟურნალი ათავსებს ინფორმაციას საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს პლენუმების, პრეზიდიუმების, სამდივნოების, განყოფილებებისა და კომისიების მუშაობისა და აგრეთვე საქართველოს პარტორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

„საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე"-ში თავსდება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს ყველა რეზოლიუციები, ცირკულიარები და სხვა ოფიციალური მასალები, რომელიც სავალდებულოა და სახელმძღვანელოა ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის.

„საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე" უნდა ჰქონდეს ყოველ კომიტეტს, უჯრედს, პარტიის ყოველ წევრს, როგორც აუცილებელი საჭირო სახელმძღვანელო მათ ყოველდღიურ მუშაობაში.

ჟურნალის ფასი:

1 წლით—2 მან. 00 კაპ.	3 თვით— მან. 55 კაპ.
6 თვით—1 მან. 15 კაპ.	1 თვით— მან. 20 კაპ.

ფული უნდა გადმოიგზავნოს შემდეგის მისამართით: ქ. თბილისი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — საფინანსო განყოფილება.

10—9 ნ. 2011

დიდი წარმატების გამო
მეორე კვირას გრძელდება
ჯანყი
პირველი სერია
კინო-თეატრებში
აპოლო, არფასტო, სოლეი, განთიადი
რეჟისორი ა. წუწუნავა
ოპერ. ა. დიღმელოვი

მალე
საუკეთესო სურათი
აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
გილიანის ასული
ი. სლეზკინის რომანის „ახალი მთვარის" მიხედვით.
აზერბეიჯანის სახელ.-წ. კინო-მრეწველობის ნაწარმოები. ნ. 2123

საჭიროა ორთქლის ქვაბი
სიგრძით 4—5 მეტრი, დიამეტრი 1½ მეტრი,
დაბალი წნევისა 4 ატმოსფერიანი
ასეთის მქონეთ სთხოვენ მიმართოთ: გოგოლის ქ. № 63
2—1 ტელ 4—65 „საქართველოს ღვინო"-ს 111

17 იანვრიდან განახლდება
მუშათა ახალგაზრდობის მასიური
გაზეთის
„МОЛОДОЙ ЛЕНИНЕЦ"-ის
(საქართველოს ლენინურ კომკავშირის ცეკას და თბილისის კომიტეტის ორგანო) გამოცემა.
ხელის მოწერა თებერვლისათვის
მიიღება გაზეთის კანტორაში რუსთაველის პროსპექტი № 20.

საქ. ს. ს. რესპ. სახკომსაბჭოს მიერ
მოწვეული
თათბირი
ჩაის კულტურის შესახებ
გაიხსნება დღეს, 15 იანვარს,
საღამოს 6 საათზე სასახლის წითელ დარბაზში,
შესვლა სათანადო მანდატებით სასახლის კომენდანტურიდან.
სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობა.
ნ. 2122

საიჯარო ვაჭრობა

მუშკოოპის გამგეობა აცხადებს, რომ ა. წ. 20 იანვარს, დილის 10 საათიდან დანიშნულია საიჯარო ვაჭრობა ყინულის ჩაბარების შესახებ, მუშკოოპის მთავარ საწყობში (ქორესის ქ. № 7 და კამოს ქუჩის კუთხე).

ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება ამხ. ხვედელიძესთან, ყოველდღე დილის 9 საათიდან—12 საათამდე.

ნ. 2121

ა.-კ. რკ. გზ. შენობის ამგები კანტორა
(კლარა ცეტკინის ქ. № 164) ნიშნავს
საჯარო ვაჭრობას
რომლითაც გაიცემა შემდეგი სამუშაოები:

1) მოზაიკური სამუშაოები.

იატაკი	300 კვ. მ.
კლინტუსი	880 მ.
საფეხურები	350 მ.

2) პარკეტის სამუშაოები:

პარკეტი ასფალტზე	930 კვ. მ.
პარკეტი ხის იატაკზე	940 კვ. მ.

3) სადურგლო სამუშაოები:

ფანჯრის ჩარჩოები მაგარი ჯიშის ხიდან	175 კვ. მ.

დაწვრილებითი კონდიციების და ცნობების მიღება შეიძლება კანტორაში სამუშაო საათებში.

დახურულ კონვერტებით განცხადებების მიცემის უკანასკნელი ვადა—პარასკევი, ა. წ. 19 იანვარი, დღის 12 საათი. განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს ქვითარი რკ. გზ. მთავარ სალაროში საწინდარის შეტანის შესახებ 1000 მანეთის რაოდენობით ან ცნობა საწინდარისაგან განთავისუფლების შესახებ. ნ. 2120

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 18 იანვარს დღის 2 საათზე თავისავე კამერაში (სასამართლოს ქუჩაზე № 32-ში ოთახი 10) საჯარო ვაჭრობით გაყიდის ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა კუთვნილ სავაჭრო სამრეწველო ბანკის ექვსი ათას სამასი მანეთის აქციებს, შეფასებულს 6.000 მანეთად შაქრის ტრესტის და მოქ. ს. წერეთლის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბ. შრომის და სამაზრო საქალაქო სასამართლოსაგან 13 სექტემბრის და 26 ივნისის 1928 წლის თარიღით № 582—441/2 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. 135

ქ. თბ. მე 5 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
ბ. გამაზოვი

აცხადებს, რომ ის 18 იანვარს 1929 წ. დღის 12 საათზე „ახალ ბაზრის" პირდაპირ, აბასთუმნის ქუჩაზე, სასადილოში „ხიდის-კარი" საჯარო ვაჭრობით გაყიდის პეტრე ილიას-ძე გოცირიძის მოძრავ ქონებას: კონიაკს და არაყს, ოუშის ბურბლით და სასადილოს ავეჯეულობას შეფასებულს 180 მანეთად, სარა სამსონის ასულის მეტონიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ამბროლაურის სახალხო სასამართლოსაგან 20 იანვარს 1927 წ. თარიღით, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 133

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს, რომ 23 იანვარს 1929 წ. ფანიანის მინდორში დღის 2 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მოძრავ ქონებისა სიმონ თომას-ძე ზეგიაშვილის, რომელიც აღწერილია მეცხვარეთა კავშირის „მწყემსი"-ს ვალში, თანახმად მაჩხაანის უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა 6 აპრილის 1928 წ. № 562, 564. სია გასასყიდ ქონებისა: 100 სული მშრალი დედალი ცხვარი და 30 სული ბატკნიანი (ეხლა თოხლები) ცხვარი, შეფასებული 1400 მ.-ნ. უკეთუ ამ დღეს ვაჭრობა არ შესდგა, რაიმე მიზეზების გამო, მეორე ვაჭრობა შედგება ა. წ. 30 იანვარს. ნ. 2117

ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—1

მათემატიკოსი
ხუციშვილი
ამზადებს მათემატიკაში და ფიზიკაში უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. მისამართი ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქ. № 26. 127 4—1

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული. 6144 50—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან. ვენერიული და კანის სნეულებანი. იღებს: დილა-საღამოს. ნ. 8 25—1

ლოგოპედი
ა. ა. პაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132. 13—1 ნ. 1608

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა კონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 საათ საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის) მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ. 459 25—1

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგან სნეულება—სპეციალ ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით. ნ. 25—11

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს", პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—3

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. ყოფ. ელისაბედისა № 47, ელმენი № 5 90. ნ. 16 25 1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12-67. ნ. 21—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 109 25—1

დავკარგე, სამხედრო გაწვევის წიგნაკი გაცემული ვანის სამხედრო მაგიდის მიერ დავით ილიას ძე მაღლაკელიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2118

დავკარგე, სიღარიბის მოწმობა გაცემული დაბა ვანის თემ-საბჭოს მიერ აბემა იოსების ძე თეთრუაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2118

დავკარგე: სიღნაღის მაზრის მონადირეთა კავშირის წიგნაკი, საალრიცხვო წიგნაკი და პირადობის მოწმობა ალექსანდრე წაწალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 130

დავკარგე: მოწმობა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებისა № 8995 სოლომონ ხიზანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 124

დავკარგე: ვინაობის წიგნაკი გაცემული რაჭის მაზ. სოფ. ბარის თემ. აღმ.-დან, სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა გაც. ქ. ონის სამხედრო მაგიდიდან - ოთაე არჩილის ძე კახეთელიძის სახელზე, ჩ. გ. 128

დავკარგე: თბილისის უნივერსიტეტიდან მიღებული სალექციო წიგნაკი (მატრიკული) № 1916 ანდღულაძის სახელზე, ჩ. გ. 131

დავკარგე, დამზღვევ სალაროს წიგნაკი მართა ილიას ასულ მაჩაბლის სახელზე, ჩ. გ. 13

პოლიგრაფტრესტის მე-8 სტამბა, კამოს ქუჩა № 63.

მთავლიტი № 904.